პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმიანათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კვარეზე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებზე—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან. განმეორებითი გამოცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 224 (1079) ოთხშაბათი 1 ოქტომბერი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კ. № 224 (1079)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ჩინეთში გრძელდება სისხლისმღვრელი ბრძოლ[illegible] მხარეს შორის.

— მაროკკოში დაიწყო გაცხარებული ბრძოლა ესპანელებს და აჯანყებულებს შორის.

— ერთა ლიგის საბჭომ დაამტკიცა [illegible] ხარჯთ-აღრიცხვა 23 მილიონი ოქროს ფრანკის რაოდენობით.

— გერმანიის კომპარტიამ პირველი ინტერნაციონალის 60 წლის თავზე მოაწყო მრავალრიცხოვანი მიტინგები.

— იტალიის წყლებში ამოიღეს გერმანიის მიერ ომის დროს ჩაძირული ხუთი გემი.

შაბათს, 4 ოქტომბერს დილის 10 საათზე სასახლის წითელ დარბაზში
შესდგება

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის

გაფართოებული პლენუმი

საქ. კომპარტიას სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივანთა თანდასწრებით

საქართველოს კომპარტიის ცეკას ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ცეკას მდივანი—**მ. კახიანი.**

---

1 და 2 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე

მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის

გაფართოებული პლენუმი

რაიკომების, ახალგ. ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის და საქ. პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციების ბიუროს თანდასწრებით

დღის წესრიგი:

1) ცეკას მოხსენება მომხსენებელი **კახიანი.** 2) კომპარტიის თბილისის კომიტეტის და ახალგ. ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ანგარიში. 3) პარტიაში ახალ წევრების მიღების შესახებ. 4) საქ. პროფკავშირთა საბჭოს კომფრაქციის ანგარიში. 5) მუშათა მთლიან კოოპერატივის ანგარიში. 6) სარაიონო და თბილისის ქალაქის პარტკონფერენციების შესახებ. 7) მიმდინარე საქმეები

თბილისის კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

თბ. კომიტეტის მდივანი—**რუბენი**

1106

ერთიანი პარტიული დღისათვის

საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტი** წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 3 ოქტომბერს, **ერთიან პარტიულ დღეს** დღის წესრიგი შეიმუშავონ თვით რაიკომებმა და უჯრედებმა

თბილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი**

ერთა ლიგა და გერმანია

როგორც დღევანდელი ცნობებიდან სჩანს, გერმანიის მთავრობამ მიმართა მემორანდუმით ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოებს—გერმანიის მიღების შესახებ ამ ორგანიზაციაში.

ამაზე მოლაპარაკება გერმანიასა და ანტანტის ქვეყნებ შორის ეს რამოდენიმე ხანია წარმოებს და, როგორც ეტყობა, საკითხი გერმანიის „სასარგებლოდ“ გადაწყდება: ებერტის რე[illegible]კა მიღებულ იქნება ერთა [illegible] წევრად.

რას ნიშნავს ეს?

თუ რას წარმოადგენს ე. წ. ერთა ლიგა, ეს საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის,—და არა მარტო მათთვის,—ცხადი და გამორკვეულია. იგი ვერსალის „საზავო“ ხელშეკრულების დამატებაა, მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნების მტაცებლურ ნადავლის დამცველი ორგანოა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პოლიტიკის ყველა მთავარი საკითხები, აგრეთვე ის საკითხები, რომელნიც ეხებოდნენ დამარცხებულ და მცირე ერთა ინტერესებს, მათ უფლებებს,—გადაჭრილი იყვნენ ერთა ლიგის დაუკითხავად, მისი მონაწილეობის გარეშე. მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, ფაქტიურად ინგლის-საფრანგეთის მიერ. მკითხველი წარმოიდგენს, თუ როგორ გადაჭრიდენ მათ გამარჯვებული იმპერიალისტები. აქ ჩვენ საქმე გვაქვს დაჩაგრულ ხალხების უფლებების სრულ უარყოფასთან, გათელვასთან.

ამის წინააღმდეგ ერთა ლიგას კრინტიც არ დაუძრავს. ეს ხომ თავის თავის წინააღმდეგ გალაშქრება იქნებოდა.

თუ ერთა ლიგაში ისმებოდა დაჩაგრულ ხალხთა საკითხები, ასეთები გადაჭრილ იქნენ აშკარად ამ ერების საზიანოდ და მჩაგვრელ სახელმწიფოების და მათი ვასალების, ყურმოჭრილ ქვეყნების სასარგებლოდ.

ამგვარად, ერთა ლიგა ინგლის-საფრანგეთისათვის წარმოადგენს შირმას და მას დავალებული აქვს ამ სახელმწიფოების ძალადობის აქტების დადასტურება და გამართლება.

ეს, სახელწოდებით პაციფისტური დაწესებულება შექმნილია იმისათვის, რომ ვითომდა ხალხთა შემაკავშირებელ, მშვიდობიანობის დამამყარებელ საერთაშორისო საზოგადოების ნიღაბ ქვეშ ევროპის იმპერიალისტებმა აკეთონ თავიანთი ბნელი საქმეები და ამით რამოდენიმედ მაინც დაფარონ ფართე მასსის წინაშე თავიანთი მტაცებლობა.

ერთა ლიგის ერთ დამახასიათებელ თვისებათაგანს შეადგენს შეურიგებელი მტრობა საბჭოთა კავშირისადმი. თავისი მომავლინებლების მსოფლიო ომში გამარჯვებულ კაპიტალისტურ მთავრობების კარნახით, როცა ისინი საჭიროდ დაინახავენ, ეს „პატივცემული“ დაწესებულება „ამას იმაღლებს“ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ამის ერთი მაგალითი ჩვენ ეხლაც დავინახეთ, როცა ერთა ლიგამ მოიწადინა, მენშევიკების ავანტიურასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩარევა.

აი, ამ ერთა ლიგას ახლო მომავალში შეემატება ახალი „ძალა“ გერმანიის სახით.

რაც არ უნდა იძახონ ერთა ლიგის შესახებ მისმა შემქმნელებმა, რომ იგი ხალხთა საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, ამასთან დაჩაგრულ ერთა უფლებების დამცველ დაწესებულებას,—ეს არავის სჯერა.

არსებითად რომ არ შევეხოთ საკითხს, ფორმალურადაც მის გარეშე არიან დარჩენილი მთელი რიგი დამარცხებული ქვეყნები, მათ შორის პირველ ყოვლისა გერმანია.

ეს გარემოება აშკარად ეუბნება მშრომელ მასსებს, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს მხოლოდ გამარჯვებულთა დაწესებულებას. ეს უკარგავს მას ნდობას და ავტორიტეტს.

ასეთი შეხედულების გასაქარწყლებლად და ხალხთა მასსების მოსატყუებლად ვერსალის გმირებს შესაძლებლად და საჭიროდ მიაჩნიათ ერთა ლიგაში მის გარეშე დარჩენილ სახელმწიფოების, პირველ რიგში გერმანიის შეყვანა.

მაგრამ რა შედეგი მოჰყვება ამას გერმანიისათვის?

ერთა ლიგაში გაბატონებული არიან ინგლისი და საფრანგეთი. მისი ხელმძღვანელ ორგანოების აგებულება ისეთია, რომ ყველა საკითხებს იქ სწყვეტენ ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები.

გერმანიის შესვლით ერთა ლიგაში მისი ასეთი სტრუქტურა და ინგლის-საფრანგეთის როლი არსებითად არ შეიცვლება, რამდენიც არ უნდა ეცადოს ამას გერმანია.

ერთა ლიგაში შესვლით გერმანიამ უნდა გაიზიაროს ამ დაწესებულების დებულებანი და იკისროს ის ვალდებულებანი, რომელთაც იგი თავის წევრებს აკისრებს. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ერთა ლიგა ვერსალის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის დამცველია. მაშასადამე, გერმანიამ „კანონიერად“ და „სამართლიანად“ უნდა სცნოს მთელი ის ძალადობა, რომელიც გამარჯვებულმა ქვეყნებმა ჩაიდინეს დამარცხებულ და მცირე ხალხების მიმართ, კერძოდ გერმანიის მიმართ ერთა ლიგაში შესვლით გერმანია ხელფეხს იბორკავს, კარგავს იმ დამოუკიდებლობის ნასახსაც, რომელიც მას კიდევ შერჩენია.

გერმანიის მთავრობის განზრახვაა—გახდეს სრულუფლებიანი წევრი ერთა ლიგის და მისი საშუალებით შეეცადოს თავის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ამ შემთხვევაში ის სულ წარიშლება ევროპიდან, როგორც რაიმე ღირებულების მქონე საერთაშორისო ფაქტორი. დოუესის გეგმის მიღების შემდეგ გერმანიის მთავრობის ეს ახალი ნაბიჯი ამთავრებს ამ ქვეყნის სრულ დამონების პროცესს საფრანგეთ-ინგლისის მიერ.

ერთი გარემოებაა კიდევ ხაზგასასმელი. საბჭოთა კავშირი, როგორც ვიცით, არ შედის ერთა ლიგაში. ვერც შევიდოდა იმ ორგანიზაციაში, რომლის პოლიტიკა ძალადობასა და ხალხთა დამონებაზეა დაფუძნებული.

რა დამოკიდებულება დამყარდება ჩვენს კავშირსა და გერმანიას შორის მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ერთა ლიგის წევრი გახდება?

ერთა ლიგა საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერია. გერმანია, როგორც მისი წევრი და თავისთავადაც უძლური ქვეყანა, ამ ორგანიზაციის საერთო პოლიტიკის გავლენაში მოექცევა ჩვენი რესპუბლიკების მიმართ.

აქვე აღსანიშნავია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოზიცია ამ საკითხში. ამას წინედ გაზ. „ფორვერტს“-ი (გერმანელ მენშევიკების ცენტ. ორგანო) იუწყებოდა,—რომ გერმანიის მთავრობის წრეებში ემჩნევათ მიდრეკილება—ხალხთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხი დაუკავშირონ საბჭოთა კავშირის ერთდროულ შესვლას ამ ორგანიზაციაში გაზეთი ასეთ პოლიტიკას აღიარებდა შემცდარად და აღნიშნავდა, რომ ამჟამად გერმანიისათვის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი ლოზუნგი: შესვლა ერთა ლიგაში.

ამგვარად, გერმანელი მენშევიკები, მარქს-შტრეზემანის მთავრობაზე უფრო შორს მიდიან თავისი ქვეყნის ერთა ლიგის, ე. ი. ინგლის-საფრანგეთის „სამოწყალოდ“ გადაცემაში და მის საბჭოთა კავშირისაგან დაშორებაში.

ისინი აქაც ააშკარავებენ თავიანთ ორგანიულ სიძულვილს მშრომელთა სახელმწიფოსადმი, რევოლიუციისადმი. არაფერი საერთო ჩვენთან—აი, მათი ლოზუნგი!

ბურჟუაზიული გერმანიის და ანტანტის ქვეყნების ეს ნაბიჯი უნდა ჩაითვალოს მტრულ აქტად საბჭოთა კავშირის მიმართ. „მოკავშირეთა“ მიზანია გერმანიის და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის რაპალოს ხელშეკრულებით დამყარებული დამოკიდებულების დარღვევა და ჩვენი საერთაშორისო სიძლიერის შესუსტება.

ასეთია მათი განზრახვა. სულ სხვა საკითხია, მიაღწევენ ისინი ამას თუ არა. ჩვენთვის ცხადია, რომ ვერ მიაღწევენ.

დღეს მრავალი ქვეყანა მოწადინებულია ჩვენთან დამოკიდებულების აღდგენაში. საბჭოთა კავშირი უდიდესი საერთაშორისო ფაქტორადაა გადაქცეული. მსოფლიო ბურჟუაზია ასეთ პირობებში ვერ მოახერხებს ამ შემთხვევაში ჩვენთვის რაიმე საგრძნობი ზიანის მიყენებას.

ერთი კი ცხადია: გერმანია ბევრ რამეს წააგებს თავისი შესვლით ერთა ლიგაში.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ყრილობისათვის

15 ოქტომბერს შეიკრიბება **საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ყრილობა.** ამ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თუგინდ მარტო იმიტომ, რომ პირველათ იკრიბება საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ საზოგადოებას და ამიტომ ყრილობამ თავის მუშაობაში უნდა ჩააბას ყველა ზემოხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზოგადოებამ თავისი არსებობის ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი მუშაობა შეასრულა: მას ყავს 22000 წევრი, შეიძინა აეროპლანი, რომელიც გადაეცემა ლენინის სახელობის საჰაერო ესკადრას, მოეწყო მოკლე ვადიანი საჰაერო ფრენის კურსები და სხვ.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს საზოგადოების მთელი მუშაობის ანუსხვა.

მაგრამ საჭიროა შევეხოთ იმ კითხვებს, რომლებიც ყრილობამ აუცილებლათ საფუძვლად უნდა დაუდვას თავის მუშაობას. ყრილობის დღის წესრიგი სავსეა მთელ რიგ პრაქტიკული საკითხებით, რომლებიც ყრილობამ ზედმიწევნით უნდა დაამუშაოს.

პირველი ასეთი საკითხია საზოგადოების მუშაობის უნარის მქონე აპარატის შექმნა. ეს საკითხი დიდ ყურადღებას მოითხოვს განსაკუთრებით პარტიის მხრივ. საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოში მუშაობდენ პასუხისმგებელი ამხანაგები, მუშაობდენ მოცალების მიხედვით. მომავალში ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. პარტიამ უნდა გამონახოს სპეციალურად პასუხისმგებელი ამხანაგი საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოში მუდმივად სამუშაოდ, თუგინდ საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის სახით. მხოლოდ ამ პირობებში ექნება საზოგადოების მუშაობას ნორმალური ხასიათი.

შემდეგი საკითხი, რომელიც ყურადღებას მოითხოვს ეს არის გეგმიანობის შეტანა საზოგადოების მუშაობაში. დღემდი მუშაობის ერთი მთლიანი გეგმა არ იყო და ეს არა იმიტომ, რომ ცენტრალური საბჭო არაფერს აკეთებდა. არა, აქ იყო სხვა მიზეზი. საზოგადოება განუწყვეტლივ იზრდებოდა და ცენტრალურ საბჭოს უხდებოდა თავისი მუშაობის შეგუება, როგორც ძველი, ისე ახალი ორგანიზაციების მოთხოვნილებებთან და საჭიროებებთან. ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებში არსებობენ საჰაერო ფლოტის მეგობართა ორგანიზაციები და შეიძლება უკვე გეგმიან მუშაობაზე გადასვლა. გეგმა, რასაკვირველია უნდა იყოს ისეთი, რომლის რეალურად განხორციელება შესაძლებელი იქნება.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მუშაობა განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წერილით და მიზნათ ისახავს ახლო მომავალისათვის შემდეგ ამოცანებს:

1. საზოგადოების რიგებში წევრთა რეალურად შესაძლებელი რიცხვის ჩაბმა, რათა სავსებით განხორციელებული იქნეს რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია: 3.000.000 წევრი საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში საზოგადოების არსებობის 2 წლისთავზე (1925 წლის 14 ივლისისათვის).

2. სრული რეალიზაცია შეღავათიან აქციებისა ამხ. ტროცკის ლოზუნგით: „იძლევი მოტორს“. ამ აქციების რეალიზაციიდან მიღებული თანხები მოხმარდება ადგილობრივ საავიაციო მრეწველობის განვითარებას.

3. თანხების შეკრება სხვადასხვა ამხანაგების სახელობის საფრენი აპარატების შესაძენათ.

აი სამი მთავარი ამოცანა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების მთელს შემდეგ მუშაობას.

ყრილობამ უნდა გადასჭრას მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც შეეხებიან საზოგადოების უჯრედებს ქალაქებში და სოფლად. საქმე იმაშია, რომ ხდება საზოგადოების უჯრედების საერთო მასაში გათქვეფა. ხშირათ საზოგადოების საკითხები წყდება წარმოების ან სამხედრო ნაწილის საზოგადო კრებაზე, უგეგმოთ, შაბლონიურად. ფაქტიურად საზოგადოების უჯრედები ჯერ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული არ არიან. არ არის ბიურო, არაა გამომუშავებული მუშაობის მეთოდები. ყრილობამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა თქვას უარი რწმუნებულთა ინსტიტუტზე და გადავიდეს მმართველობის სრულ კოლექტიურობაზე. მხოლოდ პრეზიდიუმს და ბიუროს შეუძლია საზოგადოების უჯრედის მუშაობის ყოველმხრივ ხელმძღვანელობა. უჯრედმა პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით დამოუკიდებლად უნდა გადასწყვიტოს საზოგადოების საქმეები.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი ცენტრსა და ადგილებს შორის კავშირის შესახებ და ეს საკითხიც შესაფერად უნდა მოგვარდეს.

უნდა მოწესრიგდეს საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობა, მიღებული უნდა იქნეს ზომები საწევრო გადასახადის დროზე შესაკრებათ, გამონახული უნდა იქნეს საშუალებები საზოგადოების ფინანსების გასაძლიერებლათ.

ყრილობამ ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე საქართველოში პლანერიზმის და საპლანერო სპორტის განვითარებას. სახელმწიფოს სილარიბის გამო, საზოგადოება ვერ მოახერხებს საფრენი აპარატების შეძენას და აგებას, მაგრამ პლანერიზმის განვითარებისათვის საქართველოში საუკეთესო პირობებია და აქი სტიქიურად იზრდება საპლანერო წრეების რიცხვი. ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო უნდა მოიფინოს ასეთი წრეებით.

მწვავეთ დგას საკითხი აგრეთვე საავიაციო ლიტერატურის გამოცემის შესახებ ადგილობრივ ენებზე. დღემდი ქართულ ენაზე არც ერთი ბროშურა არ მოიპოვება ფრენოსნობის შესახებ. ცენტრიდან მიღებული ლიტერატურა და პლაკატები, რომლებიც შედგენილი არიან რუსულ ენაზე, გაუგებარი არიან ფართე მასებისათვის, განსაკუთრებით სოფლის გლეხობისათვის. ყრილობამ საჭირო თანხა უნდა გადადვას ფრენოსნობის შესახებ ადგილობრივ ენაზე ლიტერატურის გამოსაცემად, რათა საქართველოს მშრომელნი თავის ენაზე გაეცნონ ამ ლიტერატურას. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ავიაციის ფართე პროპაგანდა, საბჭოთა კავშირისათვის ძლიერი საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის ახსნა - განმარტება მშრომელთა ფართე მასებისათვის.

ამხ. კლარა ცეტკინი თბილისში

გულითადი სალამი ქართველ მუშებს და გლეხებს



Herzlichste Grüsse den georgischen Arbeitern und Bauern. Sie haben sich nicht täuschen lassen durch die falschen Losungen und Lügen der Menschewiki, die im Bunde mit zaristischen Generälen und Adligen das Land und seine schaffenden Massen den profitwütigen und machtgierigen Kapitalisten der ganzen Welt ausliefern wollen. Sie haben verstanden, daß nur der Bund der sozialistischen Räterepubliken, die Diktatur des Proletariats ihnen die Freiheit, ihrem herrlichen Lande die Unabhängigkeit sicher stellt. Sie folgen dem Banner mit Sichel und Hammer, das die Revolution in Russland für alle Unterdrückten und Bedrückten aufgerollt hat, die nicht mehr Sklaven sein wollen. Die Dritte Internationale trägt den Arbeitern und Bauern der ganzen Welt dieses Banner voran, das auch das der Arbeiter und Bauern Georgiens ist.

Clara Zetkin

„გულითადი სალამი ქართველ მუშებს და გლეხებს.

ისინი ვერ შეაცდინა მენშევიკების ყალბმა ლოზუნგებმა,—იმ მენშევიკების, რომლებიც მეფის გენერლებთან და თავადებთან ერთად სცდილობდენ საქართველოსა და მისი მშრომელი მასებისათვის დაედგათ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების უღელი. მათ გაიგეს, რომ მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და პროლეტარიატის დიქტატურა უზრუნველყოფს მათ თავისუფლებას და მათი მშვენიერი ქვეყნის დამოუკიდებლობას. ისინი მიყვებიან ჩაქუჩის და ნამგალის დროშას, რომელიც აღმართა რუსეთის რევოლიუციამ ყველა დაჩაგრულთა დასაცავათ; ამ უკანასკნელებს აღარ სურთ უკვე დარჩენ მონებათ.

მესამე ინტერნაციონალს მაღლა უჭირავს დროშა, რომელსაც მიჰყვებიან მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები, მათ რიცხვში საქართველოს მუშებიც და გლეხებიც“.

საუბარი ამხ. კლარა ცეტკინთან

თბილისში ჩამოსულმა ამხ. კლარა ცეტკინმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

ყვითლების სისხი.

„მსოფლიო ბურჟუაზიას და [illegible] ინტერნაციონალს მოჰყავდათ [illegible] თავიანთ გაზეთებში მთელი რიგი ყალბი ცნობებისა საქართველოში უკანასკნელ დროს მომხდარი ამბების შესახებ. ისინი აწარმოებენ გააფთრებულ კამპანიას საქართველოს საბჭოთა კავშირის, კომპარტიის წინააღმდეგ. ამ მოსყიდულ გაზეთებში ნახავთ ცნობებს, თითქოს საქართველოში დიდი „ნამდვილი“ აჯანყებაა, რომელიც, თითქოს, ეხლაც გრძელდება. მსოფლიო ბურჟუაზია და ყვითელი ბურჟუაზია და ყვითელი ინტერნაციონალი განაგრძობენ თავგამოდებით ამ კამპანიას, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ კომინტერნის, საქართველოს მთავრობის და საბჭოთა პრესის მთელი რიგი ცნობები ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ რას იტყვიან ყველა ეს ვაჟბატონები, როცა გაიგებენ, რომ მე, ავადმყოფმა მოხუცმა ქალმა, სავსებით მშვიდათ, უვნებლად, არა მატარებლით, არამედ მსუბუქი ავტომობილით გამოვიარე მთელი საქართველო ჩრდილოეთიდან სამხრეთით ისე, რომ ყოველგან სრული წესრიგი მხვდებოდა.

ჩვენ ფაქტებს ავალაპარაკებთ.

მე აქ ჩამოვედი იმიტომ, რომ გავეცნო ადგილობრივად ნამდვილ მდგომარეობას. „ყველაფერს, რასაც კი მე ვნახავ, ყველა ფაქტებს მუშათა და გლეხთა საქართველოს ჭეშმარიტი სინამდვილიდან, მე ვსწერ დასავლეთის გაზეთებში. დეე, ამით გაეცნონ სიმართლეს ფართო მასები.

კიდევ ცოტაა იმის აღწერა, რაც მე აქ ვნახე, მე მივმართავ უშუალოდ დასავლეთის მუშათა მასებს. სწორი განმარტება ამბებისა ხელს შეუწყობს ყველა ქვეყნის კომპარტიებს განუმარტონ მშრომელთა ფართო მასებს საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

სოც.-დემოკრატების უბადრუკობა

საქართველოში „აჯანყებისათვის“ ფარულ დახმარებასთან ერთად მეორე ინტერნაციონალი აწარმოებს კამპანიას ომის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ხომ აშკარა თვალთმაქცობაა. ეს უბადრუკი ცდაა, რათა მასებს თვალები აუხვიონ და არ დაანახვონ ის, რომ რენოდელები და შეიდემანები იყვნენ დამნაშავეები უკანასკნელი ომის გამოწვევაში, ვინაიდან მათი დახმარების გარეშე ბურჟუაზიული მთავრობები ვერ მოახერხებდენ მასების ჩათრევას ხოცვა-ჟლეტაში.

მზადება ახალი ომისათვის.

მეორე ინტერნაციონალის მიერ გამართული ომის საწინააღმდეგო ალიუმების ხმაურში სურთ მათ ემზადონ ახალი ომისათვის.

„აჯანყებისათვის“ დახმარების გაწევა—ერთი ეპიზოდია ამ მზადების. ოთხი მიზეზი ამოძრავებდა მეორე ინტერნაციონალს, როდესაც ის ეხმარებოდა ბუნტარულ გამოსვლებს საქართველოში.

პირველი მიზეზი იყო—„დახმარებოდენ“ თავის ამხანაგებს დაეპყროთ ხელისუფლება ქართველი მენშევიკების მიერ მასების დასაბრმავებლად. მეორე—გადაექციათ საქართველო ბაზათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მესამე—დაეწესებიათ კანტროლი, ან უფრო მართალი რომ ვსთქვათ—დაეპყრათ ამიერ-კავკასიის ნავთი თავისი ბაზრებისათვის. და, დასასრულ, მოეგოთ ბურჟუაზიის გული.

ბურჟუაზიის ერთგული მონა.

ბონკურის, რენოდელის და მაკდონალდის წინადადებები „საქართველოს საქმეების გამორკვევის“ შესახებ,—წინადადებები, რომლებიც შეტანილ იქნენ ერთა ლიგაში,—ზედმეტჯერ ამტკიცებენ იმას, რომ ერთის მხრით მეორე ინტერნაციონალი რჩება ძველებურად მსოფლიო ბურჟუაზიის ერთგულ მოსამსახურედ და მეორე მხრით კი იმას, რომ ის უკვე სუსტია, მას არ შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება, თუ არ მიმართა ერთა ლიგას, ამ ბურჟუაზიის ორგანიზაციას.

იმპერიალისტების ლიგა.

ყვითელი ინტერნაციონალის თვალთმაქცობა მით უფრო აშკარაა, რომ ლიგა შესდგება ანტანტის სახელმწიფოებისაგან, რომლებიც ჩაგრავენ ეგვიპტეს, სუდანს, ირლანდიის და მთელ რიგ სხვა ერებს. რენოდელები ძალიან კარგად იცნობენ ამ ჩაგვრას, ისინი მხოლოდ თავს იკატუნებენ, თითქოს არ იციან ამის შესახებ“.

დამახასიათებელი მოვლენა.

გერმანიის ეხლანდელი სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებისათვის,—ამბობს ამხ. ცეტკინი,—მეტად დამახასიათებელია ის, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია... ამართლებს ინტერვენციას. გერმანიის ვერც ერთ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში ვერ შეხვდებით რაიმე გამოსვლას სუნიატ-სენის დასაცავად. 1912 წელში კი გერმანიის სოციალ-დემოკრატია მას რევოლიუციონერათ და ჩინეთის ნაციონალურ გმირათ სთვლიდა.

საერთაშორისო ბურჟუაზიის და მეორე ინტერნაციონალის ყველა უკანასკნელ გამოსვლებში აშკარათ სჩანს მისწრაფება განმტკიცებული იქნეს საერთაშორისო მილიტარიზმი.

ახალი საფრთხე

ამ მხრივ—საბჭოთა კავშირს, მიუხედავათ მისი ცნობისა, მოელის პოლიტიკური და ეკონომიური ბლოკადის და ახალი ინტერვენციის საშიშროება. ამ ინტერვენციის შესაძლებლობას ადასტურებს ლონდონის შეთანხმება გერმანიასთან და ამ უკანასკნელის მოსალოდნელი შესვლა ერთა ლიგაში; ყველაფერი ეს კი დამამტკიცებელია იმის, რომ იქმნება ბურჟუაზიის ახალი ერთიანი ფრონტი.

მუშათა კლასის მოვალეობა

მთელი ეხლანდელი პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც შექმნა საერთაშორისო ბურჟუაზიამ და მეორე ინტერნაციონალმა, ყველა ქვეყნების მშრომელებს მიუთითებს იმაზე, რომ მათ უნდა იბრძოლონ თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, უნდა ჩამოაგდონ ის, მათ უნდა დაამხონ საერთაშორისო კაპიტალიზმი და დაამყარონ თავისი ძალაუფლება—პროლეტარიატის დიქტატურა.

ყველა ქვეყნების კომპარტიები კომინტერნის ხელმძღვანელობით უკვე შეუდგენ მშრომელი მასების დარაზმვას ამ ამოცანების შესასრულებლათ.

ამხ. კლარა ცეტკინი რკ. გზის სახელოსნოებში

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა მთავარ სახელოსნოების მუშების და მოსამსახურეების კრება.

კრებაზე მოხსენება გააკეთა გერმანულ ენაზე ამხ. კლარა ცეტკინმა, რომელსაც ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით შეხვდენ მუშები.

მომხსენებლის სიტყვა გადათარგმნილი იქნა რუსულად.

ამხ. ცეტკინი ვრცლად შეეხო გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებას და იმ პირობებს, რომელშიაც გერმანიის მუშებს უხდებათ ბრძოლა. ამხ. კლარა ცეტკინმა სთქვა: „ვერავითარი დაბრკოლებანი მათ ვერ შეაშინებს, რადგან ისინი ხედავენ, რომ ნამდვილი მათი დამცველია კომპარტია, რომელიც თანდათან იპყრობს მეტ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს.

გერმანელი მუშები თვალყურს ადევნებენ საბჭოთა კავშირს და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ორივე პროლეტარული არმია შეერთდებიან კაპიტალის წინააღმდეგ შემდეგი ბრძოლის საწარმოებლად“.

კლარა ცეტკინის უკანასკნელი სიტყვები მთელი კრების მქუხარე ტაშით იფარება.

გამოტანილ რეზოლიუციაში თბილისის რკინისგზელები აცხადებენ გერმანელ მუშების საყურადღებოდ, რომ ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მათ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ და საჭირო მომენტში გაუწევენ მათ დახმარებას.

ამხ. კლარა ცეტკინი განათლების მუშაკთა შორის

გუშინ, 30 ენკენისთვეს, შესდგა საზეიმო სხდომა განათლების მუშაკთა სახლის 2 წლის არსებობის გამო.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. **შავერდოვამ.**

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ განათლების მუშაკთა მოსკოვის საგუბერნიო განყოფილების, ა.-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, წითელდროშოვანი არმიის, სამხედრო სკოლის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გამოქვეყნებული იქნა მრავალი მისასალმებელი დეპეშები და წერილები სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, მათ შორის რუსეთის განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან, ბაქოს და ერევნის განათლების მუშაკთა სახლებისგან.

განსაკუთრებული ოვაციებით შეხვდა კრება აჭარისტანის და აფხაზეთის მილოცვებს.

ამხ. მამია ორახელაშვილის ავადმყოფობის გამო, მისი მოხსენება მოხსნილი იქნა დღის წესრიგიდან.

განათლების მუშაკთა სახლის შესახებ მოხსენების დროს დარბაზში გამოჩნდა კლარა ცეტკინი, რომელსაც მხურვალე ოვაციებით მიეგებენ. დამსწრეებს ხელით მიყავთ ის ესტრადაზე, სადაც მან დაიკავა ადგილი პრეზიდიუმში.

მას სიტყვით მიმართავს და ესალმება ამხ. შავერდოვა.

განათლების მუშაკთა სახლის მოქმედების შესახებ მოხსენების შემდეგ, სიტყვით გამოვიდა ამხ. კლარა ცეტკინი, რომელმაც ერთი საათი ილაპარაკა და პარალელი გაატარა განათლების საქმის დაყენებასა და მიზნებს შორის საბჭოთა რესპუბლიკებში და ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

სხვათა შორის მან სთქვა, რომ ისეთი მხურვალე მისალმებები, რომლითაც შეეგებენ მას, შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ანათებს რევოლიუციის მზე.

ზეიმის პირველ ანგარიშს და ამხ. კლარა ცეტკინის სიტყვას ხვალ მოვათავსებთ.

ჩვენი ნაკლულევანებანი

„კომუნისტის“ სადღესასწაულო ათასეულ ნომერში ამხ. ს. ორჯონიკიძე გამოსთქვამდა საუცხოვო აზრს: ჩვენ პრესაში განსაკუთრებული განყოფილების შემოღებათ, რომელსაც სახელად ერქმეოდა „ჩვენი ნაკლულევანებანი“.

მართლადაც წარმოუდგენელია ყოველმხრივ სრულ-ქმნილი ორგანიზაცია. მით უმეტეს შეუძლებელია ეს ჩვენში, სადაც მთელი ცხოვრება განიცდის ძირითად გარდაქმნას. თითქმის ყველაფერი ახლად შენდება და ამ გაცხოველებულ მუშაობაში რა გასაოცარია—თუ მრავალი შეცდომა და ნაკლულევანებაც წამოჰყოფს თავს.

მაგრამ ყოველი ჯანსაღი ორგანიზმი, რომელიც ეუფლება მომავალ ცხოვრების სათავეს, გაორკეცებულის სიფხიზლით ადევნებს თვალყურს თავის ბრუნვაში გადადგმულ ნაბიჯს.

შეცდომათა და ნაკლულევანებათა მხილება—ეს ერთი საუკეთესო გაკვეთილთაგანია ყოველი ორგანიზაციის გაჯანსაღებისათვის.

ამიტომ იყო საგულისხმიერო ამხ. ორჯონიკიძის აზრი. შეიძლება იმდენი მასალა ვერ მოვსძებნოთ ხოლმე, რომ ყოველდღიურათ ვასაზრდოვოთ ეს სავანგებო განყოფილება—„ჩვენი ნაკლულევანებანი“, მაგრამ კარი მაინც უნდა ღია იყოს. შეცდომათა და ნაკლულევანებათა მხილება ძალიან უნდა იყვეს გაადვილებული და მაშინ იქნება აღარც ერთი ბოროტება აღარ დარჩეს ფარდა აუხსნელი და მოუსპობელი.

საბჭოთა ხელისუფლებას აქვს საუკეთესო ორგანო ამ დანიშნულებისათვის. ეს არის „მუშათა და გლეხთა ინსპექცია“. მისი წყალობით ბევრი ბოროტება და ნაკლულევანებანი გამომჟღავნებულა და ასეთებიც აღარ მომხდარა წინასწარ მიღებული ზომების გამო.

მაგრამ ინსპექცია სარგებლობს ჯერ კიდევ ხშირათ ოფიციალური გზებით: ანგარიშებით, საბუთებით, წესდებით და სხვა. მაგრამ თვით სათავე ბოროტებისა, რომელიც ყოველგვარ ანგარიშებისა და ოფიციალურ საბუთების გარეშე ხდება ხოლმე, ინსპექციისთვის უმეტეს ნაწილათ მიუგნებელი რჩება.

ამიტომ საჭიროა ცხოვრების სინამდვილის თვალსაზრისით შევხედოთ ყველაფერს და მაშინ ძალიან ბევრი ნაკლი წამოჰყოფს თავს, რომელსაც ჩვეულებრივი თვალი ვერ ამჩნევდა.

თავი გავანებოთ პრინციპიალურ შეხედულებას ამა თუ იმ ორგანიზაციის საუკეთესოდ მოწყობის შესახებ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე თვალმოსაჭრელ სნეულებას წარმოადგენს სხვადასხვა პირთა ბოროტმოქმედება. განსაკუთრებით ადგილი აქვს ამ ბოროტ-მოქმედებათ სამეურნეო დაწესებულებებში. ამასთანავე ეს ხალხი ისე არის დახელოვნებული, რომ თავის გზაზე იშვიათად სტოვებს რამე საბუთს.

ამნაირ შემთხვევებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კერძო თავგამოდებას. რაკი კერძო გამჟღავნებით და თავგამოდებით ერთი შეიღება ბოროტების კარი, მაშინ კი ინსპექციის საქმეა შიგ ფართედ შეჭრა და აღმოფხვრა ბოროტებისა.

თუ ამნაირ შემთხვევებში არ არის წაქეზება კერძო ინიციატივისა და თავგამოდებისა, მაშინ ინსპექციისთვის ბევრი რამ დარჩება გაუცნობელი და ეს კი შეუშლის ხელს ჩვენ დაწესებულებათა გაჯანსაღებას.

სწორედ ასეთი სანიმუშო მაგალითი მოხდა ამ ორი წლის წინად: კერძო თავგამოდებით ჩვენ გაზეთში დაიწყო კამპანია ღვინის ტრესტის გამგეობის მიერ ჩადენილ ბოროტებათა შესახებ. მრავალ დანაშაულობათა გარდა, რომელთა კვალს ვერ ნახავთ ოფიციალურ საბუთებში, გამომჟღავნებული იყო მხოლოდ რამდენიმე. ინსპექციამ რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოვა ფართე რევიზია. შედეგი ის იყო, რომ გამგეობის წევრები ყველა დამნაშავეთ იყვნენ ცნობილი და გადაყენებული თანამდებობიდან. ამ მაგალითმა გამოიწვია ყველა სხვა ტრესტების რევიზია—რამაც დიდი ნაყოფი მოიტანა თავის დროზე.

მაგრამ აქ ხდება ერთი გაუგებრობა, რომელსაც ვერ იფერებს საბჭოთა სინამდვილე:

ეს დამნაშავე პირები, მართალია ღვინის ტრესტიდან კი იქნენ დათხოვნილი, მაგრამ არა იმაზე ნაკლები პასუხისმგებელი ადგილები ჩაიგდეს ხელში სხვა სამეურნეო დაწესებულებებში.

აქ ძალაუნებურად კითხულობს ადამიანი:

თუ დამნაშავე არ იყვნენ ის ხალხი, მაშინ რათ დაითხოვეს ღვ. ტრესტიდან. და თუ დამნაშავენი არიან, მაშინ რაღათ აძლევენ ადგილს სხვა სამეურნეო დაწესებულებებში?

იმათ რომ ხელმეორეთ ჩაიდინონ ბოროტება, პასუხი ვის უფრო მოეთხოვება?

ამ მაგალითიდან უნდა გამოვიტანოთ ერთი ცხადი გაკვეთილი:

ბოროტების აღმოჩენაში კერძო თავგამოდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თუ ეს ბოროტება დასჯილი იქნება მხოლოდ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანით, მაშინ ბოროტების ასეთ გამომჟღავნებას აღარავითარი აზრი არა აქვს.

ამის დამნახავი კაცი ხელს იღებს ყოველგვარ თავგამოდებაზე და მადაშლილ ხალხსაც სწორედ ეს უხარიათ.

ინსპექციამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს კერძო ინიციატივის წაქეზებას ბოროტებისა და ნაკლულევანებათა აღმოჩენაში. ამ გზითაც მიდის ის.

ყოველ ბოროტ-მომქმედს უნდა მოესპოს საშუალება სხვა დაწესებულებაში მუშაობისა.

ჩვენი სამეურნეო დაწესებულებანი განსაკუთრებით პროვინციაში სავსე არიან ასეთი „მუშაკებით“. მათ ინსპექცია ვერ მისწვდება ადვილათ. მათ გამოსააშკარავებლათ საჭიროა კერძო ინიციატივა, მაგრამ ღვინის ტრესტის მაგალითის შემდეგ განა შეიძლება იმედი გვქონდეს ასეთი თავგამოდებისა?

[illegible]

დავეხმაროთ ლენინგრადის პროლეტარიატს

ამ.-კავკასიის ცაკმა ლენინგრადისათვის გადასდო 100 ათასი მანეთი

ლენინგრადში ჩავიდა მთავრობის კომისია.—მთელი საბჭოთა კავშირის მუშები ეხმარებიან ლენინგრადის პროლეტარიატს.—დაზარალებულ მუშებს მიეცათ ახალი ბინები.—„ლენინგრადის აღდგენის საქმე უზრუნველყოფილია“.

ამიერ-კავკასიის ცაკი—ლენინგრადის მუშებს.

ტფილისი, 30 სექტ. ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 29 სექტემბრის სხდომაზე დაადგინა გასცეს თავის საშუალებიდან ლენინგრადში მომხდარ წყალდიდობისაგან დაზარალებულ მუშათა სასარგებლოთ 100.000 მანეთი.

დაზღვევის დაუყოვნებლივი ანაზღაურება.

ლენინგრადი, 30 სექტ. ლენინგრადის საგუბერნიო დამზღვევ სამმართველომ მიიღო განკარგულება მოსკოვიდან დაუყოვნებლივ აანაზღაუროს დაზღვევა ცეცხლისაგან, რომელსაც ადგილი ქონდა ლენინგრადში წყალდიდობის დროს.

საბანკო თათბირის შუამდგომლობა.

ლენინგრადი, 30 სექტ. საბანკო თათბირი შუამდგომლობს შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რათა მიეცეს მას მოკლე ვადიანი სესხი 5 მილიონი მანეთი და გრძელვადიანი სესხი—10 მილიონი მანეთი ლენინგრადში მომხდარ წყალდიდობისაგან დაზარალებულ დაწესებულებათა და წარმოებათა საჭიროებისათვის.

ბინები მუშებისათვის.

ლენინგრადი, 30 სექტ. ვასილიევის კუნძულის რაიონში 525 მუშას და მათ ოჯახებს მიეცათ საცხოვრებელი ბინები.

მუშების ხმა.

ოდესა, 30 სექტ. ოდესის საგუბერნიო აღმასკომმა გაუგზავნა ლენინგრადის მუშებს 10.000 მანეთი. ნიკოლაევის საოლქო აღმასკომმა გადასდო 3.000 მანეთი. ლენინგრადის პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოჩენის კამპანია ტარდება ახლომდებარე სოფლებშიაც.

კოსტრომა, 30 სექტ. საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭომ გადასდო 5.000 მანეთი ლენინგრადის მუშების დამხმარე ფონდში. საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს მოწოდების საპასუხოდ მთელ გუბერნიაში არსდება წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოებები.

მთავრობის კომისია.

ლენინგრადი, 30 სექტ. ჩამოვიდა წყალდიდობისაგან დაზარალებულ ლენინგრადის დამხმარე კომისია, რომელშიაც შედიან სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარე კალინინი, სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს თავმჯდომარე კრჟიჟანოვსკი, რუსეთის კომპარტიის ცეკას მდივანი მოლოტოვი, ფრუმკინი და კაკტინი სადგურიდან კომისიის წევრები გაემგზავრნენ სმოლნიში, სადაც გაიმართა თათბირი ზინოვიევის, ზალუცკის და ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომის წევრთა თანდასწრებით. თათბირი იხილავდა საკითხს წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალის, ლენინგრადის მრეწველობისა და კომუნალურ მეურნეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ. შემდეგ კომისიის წევრებმა ინახულეს წყალდიდობისაგან ყველაზე უფრო დაზარალებული რაიონები, მათ შორის ვასილიევის კუნძული და ნავთსადგური.

„როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. კალინინმა აღნიშნა: ლენინგრადში ჩამოსული კომისიის წევრები ადგილობრივ გაეცნობიან წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალს. სტიქიურ უბედურებას, რომელიც ლენინგრადს დაატყდა, ფართოდ გამოეხმაურენ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელები. მთავრობა და ლენინგრადის მშრომელი მოსახლეობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა შეუნარჩუნონ ლენინგრადს მისი მნიშვნელობა. ის, რაც მე ვნახე ლენინგრადში, უკვე ამტკიცებს, რომ ქალაქში ბევრი რამ გაკეთებულა ნორმალურ ცხოვრების აღსადგენად. ქარხნების უმრავლესობა მუშაობს, მაგრამ ლენინგრადის მრეწველობის სავსებით აღსადგენად საჭირო იქნება დიდი დრო. მცხოვრებლები შეგნებულად შეხვდენ უბედურობას. ამიტომ ლენინგრადის აღდგენის საქმე უზრუნველყოფილია.

სრ. რუსეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა ინახულა ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკი“, სადაც მან წარმოსთქვა სიტყვა. ამხ. კალინინმა სხვათა შორის სთქვა:

„უბედურებამ, რომელიც თავს დაატყდა ლენინგრადის პროლეტარიატს, უნდა აიძულოს იგი კიდევ მეტი ენერგიით შეუდგეს მუშაობას. ლენინგრადი უნდა დარჩეს იგივე, რაც იყო წინად ეკონომიკის და ტეხნიკის დარგში, მან არ უნდა დაჰკარგოს მაღალ კვალიფიციურ მუშათა ძალის პროლეტარულ ცენტრის მნიშვნელობა. ლენინგრადს აქვს კარგად მოწყობილი მზრუნველობა და რაც მთავარია, ლენინგრადი წარმოადგენს კვალიფიციურ მუშა-ძალის უდიდეს ცენტრს, რომელიც უნდა შევინარჩუნოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს“.

ველისციხის გლეხობა ლენინგრადს

ველისციხის სასოფლო-სამეურნეო კომუნა „შრომის სამეფო“ და გლეხკომი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას სტიქიურ უბედურობის გამო, რომელიც ეწვია ლენინგრადის პროლეტარიატს; ლენინგრადის მუშებმა თავისი სისხლით მოუპოვეს მშრომელ ხალხს ხელისუფლება და გაუხსნეს მშრომელ გლეხობას თვითშემოქმედების ფართე ასპარეზი.

ვიზიარებთ რა მათ მწუხარებას, ლენინგრადის სასარგებლოდ ვწირავთ: კომუნა „შრომის სამეფო“—60 ვედრო ღვინოს და ველის-ციხის გლეხკომიც—60 ვედ. ღვინოს.

კომუნის ხელმძღვანელი და გლეხკომის თავმჯდომარე **ჩექურიშვილი.**

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შეფობა პოლონეთის ციხეებში დაპატიმრებულებზე.

იჟევსკი. 30 სექტ. გაიმართა იჟევის ქარხნის მუშათა დემონსტრაცია, რომელზედაც დაადგინეს მიიღონ შეფობა პოლონეთის ციხეებში დაპატიმრებულებზე.

ოთხფეხა საქონლის მიწოდება მოუსავლიან ადგილებისათვის.

მოსკოვი, 30 სექტ. მოუსავლიან ადგილებისათვის ოთხფეხა საქონლის მიწოდების გეგმის განსახორციელებლათ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასდო 3 მილიონი მანეთი. მუშა-საქონლის მიწოდება დაიწყება გაზაფხულის პირველ დღეებში იმ მიზნით, რომ გლეხებმა შესძლონ მისი გამოყენება საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის.

სატელეფონო კავშირი მოსკოვ-რეველ-ნარვას შორის.

მოსკოვი. 30 სექტემბ[illegible] გაიხსნა საერთაშორისო სატელ[illegible] კავშირი მოსკოვ-რეველ-ნარვას შორის.

მუსიკოსების საერთაშორისო კონგრესი.

მოსკოვი. 30 სექტემბერი, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო მიწვევის ბარათი მუსიკოსების პირველ საერთაშორისო კონგრესზე ვენაში.

დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას

ამხ. კამენევის სიტყვა

მოსკოვი, 30 სექტ. 29 სექტემბერს კავშირთა სახლში გაიმართა რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის პლენუმის სხდომა რაიონულ კომიტეტების და ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლების თანდასწრებით. სხდომა გაიმართა იმ ამხანაგების ხსოვნის აღსანიშნავად, რომელნიც დაიღუპენ ლეონტიევის შესახვევში მომხდარ აფეთქების დროს 1919 წ. 25 სექტემბერს.

ამხ. კამენევმა გააკეთა მოხსენება ამ ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობის და მსოფლიო როლის შესახებ, რომლის გამომხატველია ლეონტიევის შესახვევში მომხდარი ამბავი.

„თქვენ იცით,—სთქვა ამხ. კამენევმა,—რომ ჩვენ კომუნისტებს ყველა ბურჟუაზიულ და ე. წ. სოციალისტურ ყრილობებზე გვთვლიან სამოქალაქო ომის გამომწვევად და ჩვენვე გვაკისრებენ მთელ პასუხისმგებლობას სამოქალაქო ომისათვის. აქ გავიხსენოთ ჩვენი მსხვერპლი და შევიძლია თამამად ვსთქვათ „დიახ, არა მარტო მსხვერპლის, რომელიც მუშათა კლასმა გაიღო ამ სამოქალაქო ომში, არამედ თვით სამოქალაქო ომის პასუხისმგებლობასაც ვკისრულობთ ჩვენ.“ რუსეთის პროლეტარიატს ხვდა წილად ლენინის ხელმძღვანელობით დაემტკიცებია, რომ იგი ხადაა გადააქციოს ომი კაპიტალიზმის დამხობის იარაღად.

მთელი მსოფლიოს მუშების წინაშე ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სამოქალაქო ომის დროს მხოლოდ ჩვენ გამოვხატავდით მსოფლიოს პროლეტარიატის ნებისყოფას, იმ ნებისყოფას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო 2 წლის წინად იმპერალისტური ომის დაწყებამდე. ამ მხრივ ჩვენ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას იმ მოწოდებისათვის რომელიც გაისმა ოქტომბრის დღეებში და რომელმაც გამარჯვება მიუტანა პროლეტარიატს. პროლეტარიატი იცავდა შემდეგ ამ გამარჯვებას ყოველი საშუალებით.

მხოლოდ სამოქალაქო ომმა, მხოლოდ პროლეტარიატის შეიარაღებულმა გამოსვლამ კაპიტალის წინააღმდეგ უზრუნველჰყო მუშათა კლასის ძალა-უფლება, მოუპოვა მას გამარჯვება და გადაალახვინა ის დაბრკოლებანი, რომელსაც მუშათა კლასი ხვდა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის მხრივ.

თუ რომ აჯანყების დროს ჩვენ საქმე გვექნებოდა მხოლოდ რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან, სამოქალაქო ომის ხანა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა.

კაპიტალისტების შემოტევაზე, ჩვენ უნდა გვეპასუხებია გაბედული შეტევით.

ლეონტიევის შესახვევში დაღუპულმა ამხანაგებმა შესწირეს თავისი სიცოცხლე მომავალ კომუნისტურ საზოგადოებას მაგრამ, რათა ეს იდეალები განხორციელებულ ყოფილიყო ჩვენთვის საჭირო იყო ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ყველაზე შეკავშირებული ძალაუფლება, რომელიც გაბედულად შეებრძოლებოდა ბურჟუაზიას. მხოლოდ ამის წყალობით გავიმარჯვეთ ჩვენ, მხოლოდ ამის წყალობით რუსეთის აჯანყებულმა პროლეტარიატმა აიძულა ყველაზე ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოები ეცნოთ ჩვენი ძალა-უფლება. განა ეს ცნობა არ არის იმ საქმის შეურყევლობის აღიარება, რომლის ჩაშლას ფიქრობდენ არამზადები 1919 წ. 25 აგვისტოს?

მას შემდეგ განვლილ პერიოდში ჩვენ კიდევ უფრო მეტი გავაკეთეთ. ყველაზე სახიფათო მომენტი იყო ძალაუფლებისათვის ბრძოლიდან გადასვლა უშუალო აღმშენებლობის გზაზე. [illegible] გადასვლა მოხდა ვლადიმირ ილიჩის ხელმძღვანელობით სრულიად უმტკივნეულოთ ჩვენი პარტიისა და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის.

ყველაზე საზიანო ილუზია იქნებოდ[illegible] ის, თუ ჩვე[illegible] [illegible] წუთითაც კი დაგვავიწყდებოდ[illegible] [illegible] ყოველი ჩვენი გამარჯვება იწვევს ახალ სიძულვილს ბურჟუაზიი[illegible] [illegible], რომელსაც ეშინია ხელიდან გაუშვას ბატონობა ათეულ მილიონ [illegible]ნებზე.

იმ ბრძოლამ, რომელიც ამჟამად [illegible] სწარმოებს ვითომდა მშვიდობი[illegible] პოზიციებზე, ფაბრიკებისა, მაღაროებისა და ქარხნებში, ჩვენი მუშაობის ყველა დარგში, უნდა დაამტკიცოს, რომ კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან განთავისუფლებული საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა არასოდეს არ მოიხრის ქედს კაპიტალისტურ ულღის წინაშე. ისინი ააშენებენ სახელმწიფოს არა მარტო კაპიტალისტების გარეშე, არამედ კაპიტალისტების წინააღმდეგ.

იმისათვის, რათა ბრძოლის პირობების და ბრძოლის ამოცანების გადაუჭრელობის შეგნება გახდეს ჩვენთვის უფრო ნათელი, იმისათვის, რათა ყოველი ჩვენგანი გაიმსჭვალოს იმ შეგნებით, რომ ჩვენ კიდევ არ გადავსულვართ მშვიდობიან პოზიციებზე, რომ კომუნიზმისათვის ჩვენ კიდევ მოგვიხდება ბრძოლა არა მარტო ჩაქუჩით, არამედ იარაღით ხელში, ამისათვის საჭიროა ხშირად მოვიგონოთ ის ამხანაგები, რომლებიც იღუპებოდენ მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ გამოსროლილ ტყვიით, ღრმად უნდა ჩავიმარხოთ გულში ხსოვნა იმის შესახებ, რაც მოხდა 1919 წ. 25 სექტემბერს ლეონტიევის შესახვევში.

საბჭოთა კავშირის ცაკის სესია

მოსკოვი. 28 სექტ. საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესია დანიშნულია მოსკოვში 1924 წლის 15 ოქტომბრისათვის; დღის წესრიგი შემდეგია:

1) საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის, საქონლის ბრუნვის და სავაჭრო პოლიტიკის შესახებ.

2) საბჭოთა კავშირის საფინანსო პოლიტიკის შესახებ.

3) მოსავალის შედეგები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

4) საკონსტიტუციო საკითხები: საბჭოთა კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების გეგმთამშენებლობის საფუძვლები, საბჭოთა კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, სამხედრო ბოროტ-მოქმედებათა შესახებ, საბჭოთა კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების სისხლის სამართლის -პროცესების წარმოების საფუძვლები, კავშირის მოქალაქეობრივობის შესახებ.

5) იმ საერთო ხასიათის კანონების შესახებ, რომლებიც მიღებული იყო საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ სესიებს შორის გასულ დროის განმავლობაში და რომლებიც უნდა დაამტკიცოს საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესიამ.

6) საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ძირითადი კანონის შეცვლა, რომელიც ეხება დებულებას საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ და საერთო დებულებას საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატების შესახებ; ეს საკითხი დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის კომისარიატის დაარსებისა და საბჭოთა კავშირის სასურსათო სახალხო კომისარიატის ლიკვიდაციის საკითხთან.

7) კანონთა კოდექსი სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ.

8) საბჭოთა კავშირის საბაჟო კოდექსი.

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანის მაგიერი **ტერ-გაბრიელიანი.**

პარტიული ცხოვრება

ამხანაგების მობილიზაცია

დელეგატთა კრებების გადარჩევის კამპანიის ჩასატარებლათ საქ. კომპარტიის თბილ. კომ. საავ.-საპროპ. განყოფილება იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

ლენინის რაიონიდან: გოლდბაუმს, მთვარელიძეს, პანტელეევს, პივენკოს, გეგელაძეს, ზაგლოშვილს, ბიბინეიშვილს, წილიკიას, აპინას და კოპერნიკს.

არსენალის რაიონიდან: მაშკევიჩს, ორახელაშვილი მარიას, კიდაიშს შავერდოვს, კრუგლიკოვს, ვარდოიანს, კოგანს, ბრეიტმანს, ბელიავცევას, გოლუბევას და გეორგაძეს.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონიდან: ვართაპეტოვს, ადამიანს, მარკმანს, ესაიანს, ოვანესიანს, ალაჯალოვას, ოკუჯავა ნინას, ნიკოძეს, იოსელიანს.

ქალაქის რაიონიდან: სტურუას, [illegible]ახმანს აკოფოვს, ბუხნიკაშვილს, რუხაძეს ლეონ., ხარაბაძეს, ურუშაძეს გოგიტაშვილს, სეროფიანს, სოკოლოვსკის, კუზმინას, ლაფანაშვილს, ზავარიანს, ოვანესიანს.

ყველა გამოწვეულ ამხანაგებისათვის, აგრეთვე უჯრედების მდივნებისათვის და პასუხისმგებელ მუშაკებისათვის ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირის დიდ დარბაზში გაიმართება საინსტრუქციო მოხსენება ამხ. მარია ორახელაშვილისა შემდეგ თემაზე: „ლენინის აღთქმა ქალთა შორის მუშაობის შესახებ და დელეგატთა კრებების ამოცანები“.

გამოწვეულ ამხანაგების გარდა დასწრება სავალდებულოა აგრეთვე ქალ - ორგანიზატორებისათვის და აქტივისტ-დელეგატებისათვის.

ს. კ. პ. თბილ. კომიტეტის საავ. საპროპ. განყოფილება.

კომუჯრედის დაარსება ქუთაისის პარტსკოლასთან

1924 წელს 27 სექტემბერს შესდგა ქ. ქუთაისის პირველ საფეხურიანი პარტსკოლის კომკავშირის კრება. კრებას თავმჯდომარეობს ამხ. კომპარტიის უჯრედის პ | მგ. მდივანი გრიგოლ სირბილაძე და მდივნობს დათიკო ლურსმანაშვილი. კრებას დაესწრო სამაზრო კომიტეტის პ | მგ. მდივანი ამხ. ლეჟავა. დღის წესრიგში იყო: 1) უჯრედის ჩამოყალიბება და მისი ხელმძღვანელის არჩევა, და 2) მიმდინარე კითხვები. ამხანაგებმა ერთხმათ აირჩიეს ბიუროში შემდეგი ამხანაგები. 1. ახობაძე ნინა 2. დიდიძე ალექსანდრე. 3. ლოლობერიძე ილიკო. 4. ნუცუბიძე ალექსანდრე (აკაკი) 5. ლურსმანაშვილი დავით. კანდიდატებათ ავლაძე კოტე და წასიძე ამბროსი.

ს. მ—ძე.

ამხ. არჩილ ბილანიშვილის ხსოვნას

ამხ. არჩილ ბილანიშვილი 18 წლის ახალგაზრდა იყო.

ალფრთოვანებით შეეგება ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში, რადგან, მიუხედავათ სიახალგაზრდობისა გრძნობდა, რომ მისებრ ბეჩავისა და გაჭირვებული გლეხის ოჯახის შვილის ინტერესების დამცველი მხოლოდ საბჭოთა წყობილება და კომუნისტური პარტია იქნებოდა.

ის სოფ. პატარძეულის მილიციაში მსახურებდა და ადგილობრივ კომ[illegible] წევრი იყო.

28 აგვისტოს საღამოთი სოფ. პატარძეულის კოოპერატივთან მას თავს დაესხა მენშევიკური ბანდა და მოინდომა მისი განიარაღება.

არჩილი, არ დანებდა მათ. მაშინ ავანტიურისტებმა მოჰკლეს ის, წაიღეს იარაღი და ტყეში მიიმალნენ.

დაასაფლავეს ამხ. არჩილი 31 აგვისტოს იმ ადგილზე, სადაც ავაზაკებმა მუხანათურად გამოაცალეს ის სიცოცხლეს. დასაფლავებას მთელი ადგილობრივი გლეხობა დაესწრო.

[illegible]

კოოპერაცია

ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა

ფაბრიკის ორსართულიანი შენობა მოთავსებულია ჩერქეზიშვილის ქუჩაზე; მას საკმაოდ ფართო ეზო აქვს, რომელშიაც საკმაოდ მოიპოვება დარგული ხეები, რის გამო ეზო მუდამ დაჩრდილულია. შენობა საკმაოდ დიდია, ასე, რომ სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. შენობის გარეგნობა გვიმტკიცებს, რომ იგი მკვიდრია და ლამაზი სტილიც აქვს. ეს შენობა ძველად სასწავლებელს ემსახურებოდა, შიგნით შენობა დერეფნული სისტემისაა; დერეფნის აქეთ და იქით ჩამწკრივებულია კარგად მოზრდილი ოთახები, სადაც მოთავსებულია ფაბრიკის სხვადასხვაგვარი განყოფილებები: ამოსახვევი, საქსელი, თვით საფეიქრო და სხვა. მათ შორის ყველაზე მეტი სიდიდისაა საფეიქრო განყოფილება, რომელშიაც მოთავსებულია თორმეტი მანქანა, მისი სიგრძე დაახლოებით 17 საჟენს უდრის და სიგანე კი 3 ნახ. საჟენს. ეს განყოფილება არის, რომელიც ყველაზე მეტს და ძვირფასს საქმეს ეწევა და ყველაზე მეტსაც რომ ხმაურობს. ალბად ამაყობს იგი თავის უპირატესობით. დანარჩენი განყოფილებები ყველა მისთვის მუშაობენ, დამშვიდებით და წყნარად. შენობაში საერთოდ სისუფთავეა დაცული, მაგრამ რადგან ფაბრიკა ჯერ კიდევ საფუძვლიანად მოთავებული არ არის (იგი შარშან დაარსდა), ამისათვის კვლავ მუშაობა სწარმოებს ამ მიმართულებით, რის გამო შეხვდებით დერეფნებში ფიცრებს და ზოგიერთ მოუწყობელ დაშლილ მანქანებს და ოთახებს, რომელშიაც მიდის მუშაობა სხვადასხვა ტეხნიკურ საშუალებათა მოსაწყობად; აქ, რასაკვირველია, სისუფთავეს ვერ დაიცავ. ფაბრიკას აქვს თავისი ელსადგური, რომლის მოტორის ძალა უდრის 25 ცხენის ძალას, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ფაბრიკის მოთხოვნილებას. ეხლა იდგმება კიდევ ერთი მოტორი ამავე ძალისა თუ რომელიმე მათგანში გაფუჭდა, იმ შემთხვევაში გაუშვებენ მას, რომ მუშაობა არ შეჩერდეს. ამ მოტორის მოჰყავს მოძრაობაში მთელი მანქანები ფაბრიკისა ისე, რომ ამ მხრივ ფიზიკური შრომა [illegible] მუშებს არ უხდებათ.

წარმოება და ნაწარმოების რეალიზაცია.

ფაბრიკა ამზადებს სამგვარ საქონელს: წმინდა აბრეშუმს, ნახევრად აბრეშუმს და ბამბეულს. წარმოება დაიწყო შარშან, ივნისის თვიდან, უნდა ვაღიაროთ, რომ ფაბრიკას მთელი ექვსი თვის განმავლობაში არ მოუტანია არც ერთი კაპეიკის მოგება, მხოლოდ ივლისში წარმოებამ მოგვცა 42 მ. და 73 კ.

წელს კი მდგომარეობა შეიცვალა, წარმოება უფრო გაფართოვდა და მოგებასაც იძლევა, მაგ. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მან მოიტანა 4309 მანეთი და 75 კაპეიკი მოგება. თუ შარშან ფაბრიკამ დაამზადა 7 თვის განმავლობაში წმ. აბრეშუმი—4333,81 მეტრი, ნახევრად აბრეშუმი—404,06 მეტრი და ბამბეული—102,06 მეტრი, წელს 7 თვის განმავლობაში იგი გამოიხატა შემდეგში: წმ. აბრეშუმი—4,552,14 მეტრი, ნახევრად აბრეშუმი—1,182,25 მეტრი და ბამბეული—636,23 მეტრი.

რასაკვირველია ასეთი ნელი ნაბიჯები უნდა აიხსნას, როგორც წარმოების სინორჩით ისე იმ დაბრკოლებებით, რომელიც მას ელობებოდა აქამდე და რამდენადმე ეხლაც. აქამდე ფაბრიკას არ ჰქონდა თავისი ელსადგური, ენერგიას ღებულობდა ქალაქის სადგურიდან, რაც ძვირად უჯდებოდა; არ ჰქონდა საკმაო სამუშაო მასალები და სხვა. ეხლა ეს დაბრკოლებანი გადალახულია და წარმოებაც წინ მიიწევს. მაგ. ეხლა ფაბრიკა თვიურად ამზადებს 700—800 მეტრ ქსოვილს, ეს არის მინიმუმი, განზრახულია იგი აყვანილ იქნას მაქსიმუმამდე 1000 მეტრამდე. მიღებული არის ახალი მანქანები, რომლებიც აგრეთვე ხელს შეუწყობენ წარმოების გაფართოებას. ნედლეულს ფაბრიკა ღებულობს ხონის და სამტრედიის აბრეშუმის ამოსახვევ სადგურებიდან, შესყიდვის სახით იძენს ბაზარზე ნუხის აბრეშუმს. მისი მარაგი საკმაოა.

ნაწარმოების რეალიზაცია.

ნაწარმოების რეალიზაცია ხდება უმთავრესად აქ, თბილისში ცეკავშირის მაღაზიების საშუალებით, სხვა ბაზრები ჯერ მას არ გასცნობიან. ხარისხით ჩვენი ნაწარმოები აბრეშუმი თუ არ აღემატება არ ჩამოუვარდება საზღვარ - გარეთისას. ამით უნდა ვიფიქროთ, რომ მას თუ გაეცნო სხვა ერებიც, დიდ ბაზარს მოიპოვებს. ამით კი ჩვენი სახელმწიფოს ჩამორჩენილი და ეკონომიური ცხოვრება წამოდგება და დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ, რომლის ერთერთ მკვიდრ ყავარჯნად აბრეშუმის ქსოვილების წარმოებაც იქნება. მოთხოვნილება მისი ჩვენს ბაზარზე ამ ხანად დიდია, ასე, რომ ხანდისხან ფაბრიკა ვერ ასწრობს მის დაკმაყოფილებას. ფაბრიკას აქვს აგრეთვე შვიდი მანქანა ქსოვილებზე სხვადასხვაგვარ ფიგურების და სურათების გამოსახატავად. განზრახულია გაუშვან მათგან ორი და პირველ რიგში გამოჰქარგონ საქ. სოც. საბჭ. რესპ. გერბი და ამხ. ლენინის პორტრეტი აბრეშუმზე. ასეთი არის საერთოთ სურათი წარმოების ამ ფაბრიკაში. საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაბრიკა დიდ იმედებს უქადის ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მხარეს. აქვე [illegible] დაზგა, განსაკუთრებით [illegible], ვისაც ჰსურს შეისწავლოს [illegible]ლობა, მისი შესწავლა [illegible] 2—3 თვეში.

ბოლოს ერთ გარემოებას უნდა გაუსვათ ხაზი, შენობა ფაბრიკას ჩაბარდა შარშან; იქ არიან დარჩენილი კერძო მდგმურები, რომელნიც ვერასფერი გზით ვერ მოიშორეს. ეხლა მიღებულია ახალი მანქანები, მათთვის საჭიროა შენობა, არ არის. ფაბრიკაში ხდება ქურდობა, შეიპყრეს კიდეც ერთი ქურდი. აღმოჩნდა მდგმური. ეზოში ანთებენ ეს მდგმურები ცეცხლს, შესაძლოა, რომ მოხდეს ხანძარი—საჭიროა უზრუნველჰყოს ფაბრიკა ისეთ ფათერაკებისაგან. საჭიროა, ქალ. აღმასკომმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და განათავისუფლოს ფაბრიკის შენობა კერძო პირებიდან. ეს აუცილებელია.

ინფ. ტონკა.

თბილისის კომუნალური მეურნეობა

ქალაქის საბჭოს უძრავ ქონებათა სამმართველოში

სამნეო მაგიდის მუშაობა ექვსი თვის განმავლობაში

დასახელებული მაგიდის მზრუნველობის საგანს შეადგენს უმთავრესათ მუნიციპალიზაცია - ნაციონალიზაცია-კონფისკაცია ქმნილი და უპატრონოთ დარჩენილი სახლები. მისსავე სამზრუნველოს ფარგლებშია მოქცეული ქალაქის მთელი კერძო მფლობელობა. 1910 წელს მოხდენილი აღწერილობის მიხედვით თბილისში 12.000 შენობა ირიცხება.

მუნიციპალიზაცია - ნაციონალიზაცია-კონფისკაცია ქმნილი და უპატრონოთ დარჩენილი სახლების საერთო რაოდენობა (სასტუმროებით) უდრის, დაახლოებით 650-ს. დღემდე არ არის დამთავრებული გამიჯვნა ნაციონალიზაცია - მუნიციპალიზაცია ქმნილ შენობათა შორის, რაც არანორმალურ მდგომარეობას ქმნის.

უკანასკნელი გარემოების მიზეზით, ჯერაც არ არის სავსებით გამოყოფილი ყველა ის შენობები, რომლებსაც მაგიდა უშუალო ექსპლოატაციის უნდა უწევდეს.

მაგიდის გამგებლობაში მყოფ სახლებიდან 140 სახლი გადავიდა მუშათა საბინაო კოოპერაციის განკარგულებაში, 65 სახლი გადაეცა განათლების განყოფილებას, 19 სახლში კი მოწყობილია საბინაო ამხანაგობები. დანარჩენი სახლები საექსპლოატაციოთ დარჩა სამნეო მაგიდას.

ამ უკანასკნელის გამგებლობაში იყო 72 სასტუმრო, რომელთაგან 15 გადაკეთდა საცხოვრებელ ბინებათ, 30 იჯარით არის გაცემული, 23 სხვადასხვა დაწესებულებების უსასყიდლო გამგებლობაშია, ხოლო 3 დემუნიციპალიზაციაქმნილია და დაუბრუნდა მეპატრონეებს.

მაგიდის მთავარი დანიშნულება გაუძღვეს იმ სახლების შემოსავალ-გასავალს, რომლებიც მთლიანათ, თუ [illegible]რეზით. ასეთ სახლებს მიჩენილი ჰყავს მმართველი, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს მამულს, უძღოდეს სახლის მოვლასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯს, კრებდეს ქირას და ამ საგანზე აწარმოებდეს შემოსავალ-გასავლის სათანადო ფურცელს. ასეთი სახლების რაოდენობა ამ ჟამათ 150 აღემატება.

ქირის საკითხი ამ სახლებში მწვავედ სდგას კერძო პირების ბინები, უმეტეს შემთხვევაში, შეფასებულია, მაგრამ ქირის გადახდა ნებაყოფლობით იშვიათად ხდება და ამ საკითხის მოგვარება მაგიდას იურიდიული ნაწილის დახმარებით უხდება (ძიება სასამართლოს წესით). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით მშრომელი ელემენტებიც ვერ იჩენენ საჭირო გულშემატკივრობას, მათ შორის ხშირია დავალიანება. მწვავედ სდგას დაწესებულებების დავალიანების საკითხი. ასეთები, უმთავრესათ, ქირას არ იხდიან და ჩვეულებრივი მიწერ-მოწერით ამ საკითხის მოგვარება ძნელი ხდება. ყველაფერი ეს კი აფერხებს მაგიდის მუშაობას.

საექსპლოატაციოთ აღებული სახლების კაპიტალურ შეკეთებას აწარმოებს უძრავ ქონებათა სამმართველო კეთილ-მოწყობის განყოფილების საშუალებით. წვრილი რემონტი კი თვით მობინადრეთა ხარჯზე სწარმოებს. მაგრამ, ხშირათ ამ უკანასკნელსაც უძრავ ქონებათა სამმართველო აწარმოებს, რადგან სათანადოთ ვერ ტარდება ცხოვრებაში სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ასეთ რემონტს მობინადრეებს ავალებს.

მაგიდა ამ ჟამათ აწარმოებს [illegible] მამულების გამოკვლევას და [illegible]

უკანასკნელი ცნობები

მექსიკის ახალი პრეზიდენტი

ბერლინი 30 სექ. სამი თვის წინად მექსიკის პრეზიდენტათ არჩეულმა მუშურ-გლეხური პარტიის ბელადმა გენერალმა კალესმა, რომელიც ამ ჟამად ბერლინში იმყოფება, მექსიკის რესპუბლიკის პარლამენტისაგან მიიღო ცნობა, რომ მისი არჩევა საბოლოოთ დამტკიცებულია. კალეს ბერლინიდან გაემგზავრება პარასკევს.

ზაგლულ-ფაშას წინააღმდეგ

ლონდონი 30 სექტ. ეგვიპტის პრემიერი ზაგლულ-ფაშა, რომელიც ამ ჟამად ლონდონში მოლაპარაკებას აწარმოებს მაკდონალდთან, აუარებელ მუქარის წერილებს იღებს ეგვიპტის შეურიგებელ ნაციონალისტებისაგან. ამიტომ პრემიერს მუდამ თან ახლავს მცველების გაძლიერებული რაზმი, რომელიც ლონდონის პოლიციამ გადასცა მის განკარგულებაში.

გუშინ ზაგლულ-ფაშას ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მაკდონალდთან.

ბრძოლა მექკასთან.

ლონდონი. 30 სექტ. კაირიდან უკანასკნელად მიღებული ცნობებით მექა ჯერ არ აუღიათ ვახაბებს. ქალაქი ალყაშემორტყმულია და მეფე გუსეინის ჯარებსა და ვახაბებს შორის დიდი ბრძოლა სწარმოებს.

შემდეგ მიღებული ცნობებით, მეფე გუსეინმა დჟედისაკენ დაიხია. მექა სრულიად დასტოვა მოსახლეობამ.

გერმანიის მემორანდუმი.

პარიჟი, 30 სექტ. გერმანიის ელჩმა საფრანგეთის მთავრობას გუშინ გადასცა მემორანდუმი ერთა ლიგაში დაშვების შესახებ. მემორანდუმი ჯერჯერობით არ იქნება გამოქვეყნებული. მას ახლო ხანში განიხილავს საფრანგეთის მინისტრთა საბჭო.

არაბისტანი ომს უცხადებს სპარსეთს.

თეირანი, 30 სექტ. სპარსეთის პრემიერმა რიზა-ხანმა არაბისტანის მმართველ შეიხ ხაზელისაგან მიიღო მკაცრი შინაარსის დეპეშა. დეპეშა ისეთი კილოთია შედგენილა, რომ მას ფორმალურად ომის გამოცხადებათ თვლიან. თავის დეპეშაში შეიხი აცხადებს, რომ იცავს შაჰს და კონსტიტუციას. გარდა ამისა, შეიხმა მეჯლისის მუშტეხიდებს (სასულიერო პირებს) გაუგზავნა დელეგაცია საჩუქრებით სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად სანქციის მისაღებად.

ამავე დროს ხაზელმა სპარსეთის შაჰს, რომელიც ამ ჟამად ევროპაში იმყოფება, გაუგზავნა ხანი ბოლადური.

როგორც იუწყებიან, სპარსეთის მთავრობის რაზმის უფროსი რიზაკული აშკარად გადავიდა შეიხის მხარეზე.

ის ტომები, რომლებიც შეიხს გამოჰყავს სპარსეთის წინააღმდეგ, არ არიან საომრათ განწყობილი და აშკარა ვერ გაუმაგრდებიან სპარსეთის მთავრობის ჯარებს. თავის იმედებს შეიხი ამყარებს უცხოელების დახმარებაზე.

ახალი საბინაო ტარიფი

თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის სხდომაზე 29 სექტემბერს ამხ. ბაბუნაშვილმა გააკეთა მოხსენება საბინაო ქირის დებულების პროექტის შესახებ.

საკითხი საბინაო ტარიფის გადიდების შესახებ უკვე დიდი ხანია დასმულია და გაყოფილია ორ მთავარ მომენტად: თვით ტარიფის გადიდება და საცხოვრებელი ნორმის შემცირება თითო სულზე.

არის კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ახალი ტარიფის შესახებ, რომლის მიხედვით ყველა პირები, რომელთაც უჭირავთ ბინები როგორც მუნიციპალიზაცია ქმნილ, ისე კერძო სახლებში, ვალდებული არიან შეიტანონ საბინაო ქირა, რომელიც გამოანგარიშებული იქნება მხოლოდ გა[illegible] სივრცის მიხედვით.

საბინაო გადასახადი დაწესებულია კვადრატულ არშინობით; მუშებზე და მოსამსახურეებზე დაწესებულია შემდეგი განაკვეთები თვიურად:

კატეგორია	ჯამაგირის რაოდენობა მანეთებში.	საბინაო გადასახადის განაკვეთები კაპეიკებში.
1	20-დე	1
2	21—30-დე	1,5
3	31—40 „	2
4	41—50 „	3
5	51—60 „	4,5
6	61—70 „	5,5
7	71—85 „	8
8	86-100 „	10
9	101—125 „	13
10	126—150 „	17
11	151—175 „	21
12	176—200 „	25
13	201—250 „	30
14	250-ს ზევით	35

* საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს ანგარიშში მიიღება მხოლოდ ძირითადი ჯამაგირი, რისთვისაც მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან წარმოადგინონ სახლების სამმართველოში სათანადო ცნობები თავიანთი ჯამაგირების რაოდენობის შესახებ.

შრომის და ომის ინვალიდები, სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი პირები წითელ არმიელების ოჯახები, რომელთაც ისინი არჩენდენ ჯარში გაწვევამდე, ის უმუშევრები, რომლებიც ღებულობენ დახმარებას შრომის ბირჟიდან, და მოსწავლე სახელმწიფო სტიპენდიანტები იხდიან 1 კვ. არშინზე 1 კაპ. მოსწავლეები, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სტიპენდიაზე, თუ ისინი ცხოვრობენ თავიანთ ნამუშევარით—იხდიან 1,5 კაპ. თითო კვ. არშინზე.

ის პირები, რომელთაც უშრომლად აქვთ შემოსავალი, იხდიან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 30 კაპეიკისა პირველი ხარისხის სავაჭრო ნებართვის ამღებნი და არა ნა[illegible] 50 [illegible] და დანარჩენი კა[illegible]

თავისუფალი პროფესიის პირები (ექიმები, ინჟინრები, მსახიობები, ვექილები, ლიტერატორები და სხვ.) იხდიან სახლების სამმართველოსთან შეთანხმებით 10-დან 25 კაპეიკამდე კვადრატულ არშინზე. მაგრამ თავისუფალი პროფესიის პირები შეიძლება მიწერილი იქნენ შეღავათიანი გადამხდელების კატეგორიაზე თუ მათი შემოსავლის წყარო წარმოადგენს მხოლოდ დაქირავებული შრომა.

შეღავათიანი კატეგორიები სარდაფებისათვის ბნელ და სახურავ ქვეშ ახლო მდებარე ბინებში იხდიან ნაკლებ 50 პროცენტით ტარიფთან შედარებით, ხოლო [illegible] სარდაფებში 20 პროცენტით ნაკლებს. რჩება ქალაქის დაყოფა ცენტრად და ცენტრიდან დაშორებულ ადგილებად; ცენტრიდან და შორებულ ადგილებში ქირა დაკლებულია 50 პროცენტით.

აღნიშნულ ნორმების მიხედვით დამქირავებლებს უფლება აქვთ გადაიხადონ ქირა საცხოვრებელ სივრცეზე, რომელიც უჭირავს მას და მისი ოჯახის წევრებს. სულზე ოცი კვადრატული არშინის რაოდენობით. ზედმეტი სივრცისათვის ქირა ორმაგად უნდა იქნეს გადახდილი.

ოჯახის წევრებს წარმოადგენენ: ქმარი, ცოლი, ბავშვები, შრომის უნარს მოკლებულნი მშობლები, ძმები, დები და მოსამსახურე.

იმ შემთხვევაში, თუ საბინაო ქირა არ იქნება გადახდილი შეღავათიანი კატეგორიების მიერ ორი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი პირების მიერ კი ერთი თვის განმავლობაში, მცხოვრებლები გამოსახლებული იქნებიან ადმინისტრატიული წესით.

ირკვევა, რომ საბინაო ქირა უმაღლეს კატეგორიებისათვის ცენტრში შეადგენს 4,8 პროცენტს სამუშაო ხელფასისას, ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში 2,4 პროცენტს, უმაღლესი კატეგორიის მოსამსახურეებისათვის ეს შეადგენს 10,7 პროცენტს ან კიდევ ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში 5,4 პროც.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი. ორატორების უმრავლესობა მოითხოვდა უფრო დაწვრილებით გაცნობას პროექტთან და აგრეთვე იმის გარანტიების დაწესებას, რომ საბინაო ქირიდან შემოსულ ფულს კერძო მეპატრონენი მოახმარებენ სახლის შეკეთებას.

* კამათის შემდეგ კომუნალურმა სექციამ დაადგინა საკითხის გადაჭრა გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ქალაქების ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

ა. წ. სექტემბრის 19 შესდგა საქ. მ | გ. ინსპექციის სახ. კომისრის ამხ. დოლიძის თავმჯდომარეობით კომისიის სხდომა ა | კ. რესპუბლიკების საქალაქო საბჭოების (თბილისის, ბაქოს და ერევნის) ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხის განსახილველად. კომისიამ დაადასტურა რა აღნიშნული ქალაქების მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, საჭიროდ სცნო ძალაში იქმნას დატოვებული ა | კ. ცაკის დადგენილება ა | წ. ივნისის 26-დან, დამატებით სარეწაო გადასახადზე წამატებული ყველა 100 პროცენტის ადგილობრივ აღმასკომებზე გადაცემის შესახებ.

კომისიამ იქონია აგრეთვე მსჯელობა ზოგიერთი მაზრების,—მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც შექმნილია უკანასკნელად მომხდარ ამბებით, და საჭიროდ სცნო დაუყოვნებლივ საშუალებათა გამონახვა დაზარალებულ მაზრების დასახმარებლად ფონდის შესაქმნელად, სამეურნეო ორგანოების (მსხვილი ქალაქების საბჭოების გამოუკლებლივ), მონაწილეობით.

კომისიამ აგრეთვე საჭიროთ სცნო მხარი დაეჭირა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე თბილისის, ბაქოს და ერევნის საბჭოების შუამდგომლობისათვის მათთვის კომუნალურ კრედიტიდან საჭირო საშუალებათა მიცემის შესახებ.

მილიციას შრომის ხელფასი დროზე მიეცემა.

ა | წ. სექტემბრის 19 და 21 შესდგა რესპუბლიკის მილიციისათვის ხელფასით დავალიანების საკითხის გამომრკვევ კომისიის სხდომები საქართველოს მ | გ. ინსპექციის სახ. კომისრის ამხ. დოლიძის თავმჯდომარეობით. მილიციის გაჯანსაღების და მისი მატერიალურად გაჭირვებულ მდგომარეობის ნიადაგზე შესაძლებელ ბოროტმოქმედებათა აცილების მიზნით კომისიამ საჭიროთ სცნო: ა) დაუყონებლივ ეყოს ლიკვიდაცია მილიციის მიმართ ხელფასით დავალიანებას და ამიერიდან ხელფასი მილიციაზე გაიცეს თავის დროზე. ბ) გაუმჯობესებულ იქნეს მილიციის მატერიალური მდგომარეობა ხელფასის გადიდებით, გ) მილიციის შენახვა ამ ჟამად არ დაევალოს ადგილობრივ აღმასკომებს, ვინაიდან მათ საშუალებანი არ გააჩნიათ და დაეკისროს სახ[illegible]

რემედასის სრულიად საქართველოს კონფერენციისათვის

(რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოება)

„რემედასი“-ს საქართველოს განყოფილების მუშაობა

რემედასის სრულიად საქართველოს განყოფილებამ ფაქტიურად მხოლოდ 1924 წლის იანვრიდან დაიწყო მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში სხვა და სხვა დარგში გაკეთდა შემდეგი:

საორგანიზაციო დარგი

რემედასის საქართველოს განყოფილების გამგეობა შესდგება 10 წევრისაგან, პრეზიდიუმი 5 წევრისაგან. პრეზიდიუმმა შეადგინა მოკლე წესდება და სამოქმედო ინსტრუქცია ადგილებისათვის რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოყალიბებულიყო რემედასის სამაზრო განყოფილებები. სულ მოკლე ხანში საქართველოს ტერიტორიის მრავალ კუთხეებში დაარსდა რემედასის ადგილობრივი ორგანოები. ყოველ მაზრაში და მსხვილ რაიონში დანიშნულია რწმუნებული, არჩეულია გამგეობები და ჩამოყალიბებულია შესაფერი აპარატი.

საქართ. განყოფილება სცდილობდა ჩაება თავის რიგებში რაც შეიძლება ფართო წრეები მშრომელთა, გაეადვილებია მათთვის წევრად ჩაწერა. ამიტომ მან დააწესა მინიმალური საწევრო გადასახადი, ერთდროული გადასახადი შემოსვლის დროს სრულებით მოხსნა. სულ ცოტა ხანში ადგილებზე არსდება რემედასის უჯრეები, რომელნიც თანდათან იკრებენ თავის გარშემო მშრომელ მასსას.

ზოგიერთი დაწესებულების და წარმოების მუშა-მოსამსახურენი ერთხმად გამოსთქვამენ ხოლმე სურვილს ჩაეწერონ რემედასის წევრებად უკლებლივ, ისეთ მაგალითებსაც აქვს ადგილი, როდესაც ისინი თანახმა არიან და მოითხოვენ კიდეც გადიდებულ იქნეს მათთვის საწევრო გადასახადი.

მაზრებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დღეს ჩვენ ორგანიზაციაში ითვლება 30.000 წევრი. მარტო ქალ. თბილისში, გარდა ჯარის ნაწილებისა, წევრთა რიცხვი უდრის 12 000; ქუთაისში, გარდა ჯარის ნაწილებისა და ზოგიერთ რაიონებისა, 5.000; ბათომში—2.500 და სხვა. ზემოთ აღნიშნულ წევრთა საერთო რიცხვს თუ მიუმატებთ კიდევ იმ მაზრებს და ოლქებს, საიდანაც ჯერ არ არის მიღებული დანამდვილებითი ცნობები წევრთა რაოდენობის შესახებ, მაშინ, აუცილებელია წევრთა რიცხვი თითქმის 35.000-საც გადააჭარბებს.

ინფორმაციული მხარე განყოფილებებში ჯერ-ჯერობით სუსტათ არის დაყენებული. რემედასსის სრ. საქ. განყოფილებამ ერთ-ერთ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვიტა მიიღოს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად. მან გამოიმუშავა ანგარიშის სათანადო ფორმები, თანახმად რემედასსის აღმასკომიდან მიღებულ ფორმისა, დანიშნა სპეციალური ინსტრუქტორი და გაგზავნა ის ადგილებზე მუშაობის მიმდინარეობის გასაცნობად, ნაკლულოვანებების აღსანიშნავად და გამოსასწორებლად, სათანადო ინსტრუქციების მისაწოდებლად და უმთავრესად ინფორმაციული მხარის მოსაგვარებლად. ინსტრუქტორმა უკვე ჩამოიარა რამოდენიმე მაზრა. მომავალში სრ. საქ. განყოფილებას აზრად აქვს მოახდინოს სრული რეგისტრაცია თვით წევრებისა საქართველოს მასშტაბით და მათი კლასიფიკაცია სოციალური ნიშნის მიხედვით.

აგიტაცია-პროპაგანდა

თავის მუშაობის გაცხოველებისთანავე სრ. საქართველოს განყოფ. პრეზიდიუმმა განიზრახა ჩატარებია საქართველოს მასშტაბით ფართო ერთჯერეული კამპანია რემედასის იდეის და ლოზუნგების მშრომელთა ფართო წრეებში გადასასროლად და მოსაზიდავად თავის რიგებში. ამ მიზნით მან დააგზავნა სათანადო ცირკულიარები, გამოუშვა თეზისები, ლოზუნგები, მოწოდებები და მოჰფინა იმითი საქართველოს ყველა კუთხეები. კვირეულის ჩატარება განზრახული იყო 20 იანვრიდან და მოსალოდნელი იყო, რომ იგი დიდ ნაყოფს მოიტანდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად მშრომელ ხალხს ამ დროს თავს დაატყდა დიდი უბედურება ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო და კამპანიის ჩატარება გადაიდო მომავლისათვის. მიუხედავად ამისა, გამოშვებულმა ფურცლებმა, აგრეთვე პრესაშიაც წინდაწინვე დაწყებულმა კამპანიამ თავისი ნაყოფი გამოიღეს.

ამავე დროს სრ. საქარ. განყოფ. პრეზიდიუმმა საფუძველი ჩაუყარა რემედასის მუდმივ ორგანოს—„რემედასს“. ამ ჟურნალის გამოცემა ჯერ-ჯერობით 2 თვეში ერთხელ ხდება. პირველი ნუმრის გამოშვება დაკავშირებული იყო 18 მარტის—პარიზის კომუნის და რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის დღისადმი. ამ დღეს როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში ჩატარებულ იქნა მოხსენებები და განემარტა დამსწრეებს. როგორც პარიზის კომუნის აზრი და მნიშვნელობა, ისე რემედასის დიდი ამოცანები, მნიშვნელობა და მისი რიგების განმტკიცების საჭიროება.

შემდეგი დიდი კამპანია რემედასის სასარგებლოდ ჩატარებულ იქნა პირველ მაისს. ამ კამპანიის ნაყოფიერი შედეგები აუცილებლად უნდა მიეწეროს კომინტერნის და რემედასსის ცეკას წევრებს—საზღვარ-გარეთელ ამხანაგებს ხეივუდს და შიფრინს, რომელნიც ამ დღეს სტუმრად ეწვიენ საქართველოს. აღნიშნულმა ამხანაგებმა თავის ავტორიტეტით დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს მსმენელებზე ტფილისში, ბათომში, ქუთაისში და სხვ. სადაც ისინი კრებებზე და მიტინგებზე მოუწოდებდენ ხალხს რემედასის რიგებისაკენ.

ზაფხულში აგარაკებზე მიმავალ ამხანაგებს დაევალათ რემედასის სასარგებლოდ მუშაობის წარმოება კურორტებზე.

მიღებულია ზომები ახალგაზრდობის ჩასაბმელად რემედასის აქტიურ მუშაობაში. ამ მიზნით სრ. საქარ. განყოფილებამ გამოუშვა მოწოდება ახალგაზრდებისადმი და მიმართა აგრეთვე საქ. ახ. ლენ. კომკავშირის ცეკას, რომ ამ უკანასკნელმა დაავალოს თავის კომიტეტებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს რემედასის იდეის და ლოზუნგების გავრცელებას ახალგაზრდა ფენებში.

მხურვალე მუშაობა სწარმოებს წითელ არმიაშიაც. ყოველ დივიზიაში დანიშნულია რწმუნებულები; ნაწილებში დაარსებულია უჯრედები—წევრთა რიცხვი წითელარმიელებიდან უდრის 4—5000.

ფინანსიური მდგომარეობა

ფინანსიური მხარე სრ. საქ. განყოფილებისა ვერ არის ჯერ-ჯერობით მტკიცე ნიადაგზე დაყენებული. განყოფილებას არ გამოუნახავს ჯერ კიდევ ისეთი წყაროები, საიდანაც მას შეძლება ექნება მიიღოს მუდმივი და საგრძნობი შემოსავალი. მაგრამ ამ მხრივ პრეზიდიუმმა უკვე მიიღო ენერგიული ზომები.

დღემდის კი განყოფილებას შემოსავალი აქვს: 1) საწევრო გადასახადებიდან, 2) ნებაყოფლობითი შემოწირულებებიდან, 3) გაყიდულ ჟურნალებიდან და ჟეტონებიდან. გარდა ამისა განყოფილებამ გამართა რამოდენიმე წარმოდგენა — საღამო-კონცერტები, რომელთაც უმნიშვნელო თანხა დასტოვეს.

ბოლო ხანებში თავის ფინანსიური მხარის გასაძლიერებლად და იმავე დროს რემედასის იდეების პოპულიარიზაციისათვის, განყოფილებამ გამოუშვა ფასიანი ფურცლები რევოლიუციური ხასიათის ლექსებით და ნაწყვეტებით. ფურცლები გამოვიდა 1.800 ცალი — სულ 80.000 მანეთის და უკვე დაიწყო კიდეც მათი გავრცელება საზოგადოების ფართო წრეებში.

დღემდის სრ. საქართველოს განყოფილების შემოსავალი გამოიხატა 70.000 მან., რომლიდანაც რემედასის ცეკას გადაეგზავნა 62.482 მან., ამ თანხაში შედის ყოველგვარი შემოსავალი.

„რემედასი“-ს მუშაობა ადგილებზე

(კონფერენციისათვის)

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისში გაიხსნება **რემედასის** სრულიად საქართველოს კონფერენცია.

ერთის მხრით ამ კონფერენციამ უნდა მოგვცეს ჩვენ სრული სურათი იმ მუშაობისა, რომელიც ჩაატარა **რემედას-ის** სრულიად საქართველოს განყოფილებამ ამ ერთი წლის განმავლობაში. აქ ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენათ სწორი იყო ის ხაზი, რომელიც აიღო ხსენებულმა განყოფილებამ თავიდანვე და მიზანშეწონილი იყო თუ არა ის ზომები საქართველოს ცხოვრების დღევანდელ პირობებში, რომელიც მან გაატარა ადგილებზე. ცხადია, რომ ყველაფერი ეს გამოაშკარავდება კონფერენციის მუშაობის პროცესში და მაშინ შეგვიძლია ჩვენ უკვე გადაჭრილი აზრი გამოვიტანოთ **რემედას-ის** სრ. საქართვ. განყოფილების წლიური მოქმედების შესახებ.

მაგრამ, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ განყოფილებაში დაგროვილ ცნობებს ამ მუშაობის შესახებ, მისი დადებითი მხარე ჩვენთვის უდავო იქნება, მისი რეალური შედეგები ფრიად დამაკმაყოფილებელი. რასაკვირველია, ჩვენ არ ვმსჯელობთ აქ აბსოლიუტურად, არამედ შედარებით ყველა იმ პირობების მიხედვით, რომელშიაც დაიწყო და ვითარდებოდა განყოფილების მუშაობა—საქმის სიახლე და გამოუცდელობა, მომზადებული მუშაკების უყოლობა, სხვა და სხვა ხელშემშლელი გარემოებანი.

მე არ გამოუდგები აქ ამ რეალურ შედეგების აღნუსხვას, მით უმეტეს განყოფილების წლიური ანგარიში გამოქვეყნებული იქნება. მე მინდა მივაქციო კონფერენციაზე ადგილობრივ განყოფილებათა ყურადღება. კონფერენცია იქნება მათთვის ერთგვარი გამოცდა და მასთან ერთად გაკვეთილი მომავლისათვის. აქ მათ უნდა გადაგვიშალონ, თუ რა გააკეთეს ამ ხნის განმავლობაში, გაამართლეს თუ არა ის იმედები, რომელსაც მათზე ამყარებდა ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა და შავი ბურჟუაზიის ციხეებში გამომწყვდეული ჩვენი მოძმენი, რევოლიუციისათვის დაღუპული მებრძოლნი და მათ მიერ ბედის ამარა დაყრილი წვრილი ცოლშვილი. დიახ, დიადია მათზე დაკისრებული მოვალეობა და ამდენადვე საპატიოა სახელი რემედას-ის რიგებში აქტიური მომუშავისა.

რა უნდა გაეკეთებიათ ადგილობრივ განყოფილებებს და მათ ხელმძღვანელთ?

უპირველეს ყოვლისა, მათი მოვალეობა იყო გაეცნოთ მშრომელთა ფართო მასსისათვის რემედას-ის დანიშნულება, მისი ამოცანები და მიზნები. მათ უნდა გადაეშალათ მუშებისა და გლეხებისათვის ის ტანჯვა-წვალება, რომელსაც განიცდიან ევროპის ციხეებში მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლნი. მათ ნათლად უნდა დაესურათებიათ ყველა პატიოსანი მოქალაქისათვის აუტანელი სიმშილი, სიტიტვლე იმ ქვრივობლებისა, რომელნიც ჩამორჩათ უკან რევოლიუციის სამსხვერპლოზე შეწირულ გმირებს. მათ უნდა გამოეწვიათ მშრომელთა ფართო მასსებში გრძნობა საერთაშორისო კლასიური სოლიდარობისა და განემტკიცებიათ იგი ჩვენი ქვეყნის ღარიბ-ღატაკთა ფენებში. მათ უნდა მოეწოდებიათ ყველა პატიოსან მოქალაქისათვის—ფართო მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინონ ევროპის რევოლიუციონერებს, გაუმაგრონ მათ ზურგი და წაახალისონ ისინი გაორკეცებული ბრძოლისათვის. ამ მიზნით უნდა ჩაებათ რემედასის რიგებში რაც შეიძლება მეტი რიცხვი მუშებისა, გლეხებისა, მოსამსახურეებისა და ყველა პატიოსანი მშრომელისა; ჩაებათ რემედასის მუშაობაში ყველაზე უფრო აქტიური წევრები და თანდათან გაეღრმავებიათ თავიანთი მუშაობა. ამ მიზნით უნდა მოეგროვებიათ მათ ფართო შემოწირულებანი თანამგრძნობთა შორის და მიეწოდებიათ იგი დანიშნულებისამებრ.

შესძლეს კი მათ ეს?

ამას ნათლათ გადაგვიშლის სრ. საქ. კონფერენცია, მაგრამ მანამ კი მინდა მივმართო ისეთ მაზრებს, რომელთაც კი ზემოაღნიშნულის ჩატარება სხვადასხვა მიზნებისა გამო კიდევ ვერ მოუსწრიათ (და ასეთები კი უეჭველათ არიან), გამოიყენონ კონფერენციამდე დარჩენილი დრო, გააცხოველონ თავისი მუშაობა და ეცადონ წარუდგინონ კონფერენციას ერთგვარი შედეგები, მისცენ რაიმე მასალა, რომ მას შეძლება მიეცეს წარსულზე დამყარებით გამონახოს უკეთესი გზა და საშუალება მომავალში მუშაობისა.

ვ. ხვანძე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

წესი

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების განყოფილებების და უჯრედების დაარსებისა

(ინსტრუქცია ორგანიზატორებისათვის)

1. წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების (წერკუმსის) განყოფილებისა და უჯრედების მოწყობის საორგანიზაციო ძირითადი პრინციპები უნდა ექვემდებარებოდეს ს. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარ მართველობის წ.-კ. უცოდინარ სალიკვიდაციო წარმოებითი გეგმას და შეთანხმებული იყოს საზოგადოების წესდებასთან.

2. საზოგადოების დასაარსებლათ საჭიროა, რომ პირველათ განყოფილება და უჯრედები ჩამოყალიბდეს ქალაქში, ფაბრიკა-ქარხნებში, მუშათა უბნებში, პარტორგანიზაციებში, საბჭოთა დაწესებულებებში და სხვ.

3. ვინაიდან წ.-კ. უ. ლიკვიდაციის საქმე არ შეიძლება ჩამოვაშოროთ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის საქმეს, საზოგადოების უჯრედები აუცილებლათ უნდა ეყრდნობოდენ და უკავშირდებოდენ კლუბებს, ბიბლიოთეკებს, ქოხსამკითხველოებს, შრომის სკოლებს, ხოლო აღნიშნულ დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უნდა იკისრონ თაოსნობა საზოგადოების უჯრედების დაარსებისათვის.

4. თითეულ მაზრაში უნდა არსებობდეს სამაზრო განყოფილება, საზოგადოების მთელი მუშაობის გამაერთიანებელი. საზოგადოების სამაზრო განყოფილება შეიძლება დაარსდეს იქ, სადაც უკვე შექმნილა არა ნაკლები ათი უჯრედისა.

5. სასურველია საზოგადოების წევრებათ შედიოდენ წ.-კ. უცოდინარნიც, განსაკუთრებით ისინი, ვინც სწავლობს სალიკვიდაციო სკოლებში.

6. სოფლათ საზოგადოების უჯრედის დასაარსებლათ პირველ რიგში ჩაწერა იწყება პარტიის, ახკომკავშირის, გლეხკომის, აღმასკომისა და სოფლის კულტურულ ძალების.

7. თითეული უჯრედი, რომელშიაც ითვლება ათი წევრი, ირჩევს რწმუნებულს, თუ ათ წევრზე მეტია—ბიუროს, სამი წევრისაგან. არჩეულების მოვალეობას შეადგენს: იქონიონ კავშირი მთელი საზოგადოების ორგანიზაციებთან და უხელმძღვანელონ უჯრედის მუშაობას.

8. უჯრედების რიცხვის მიხედვით (§ 4), იწვევა საერთო კრება, რომელზედაც ირჩევა ადგილობრივ განყოფილების გამგეობა ერთი წლის ვადით, ხოლო ადგილობრივი გამგეობის არჩევის შემდეგ, იწვევა საერთო ცენტრალური კრება, რომელზედაც ირჩევა სრულიად საქართველოს „წერკუმსის“ ცენტრალური გამგეობა ერთი წლის ვადით, წესდ. §§ 21-24 თანახმად.

9. სამ თვეში ერთხელ სავალდებულოა მოხსენების გაგზავნა განყოფილების შესახებ ცენტრალურ გამგეობაში, ან ცნობის მიწოდება საზოგადოების წევრების საშუალებით, რომლებიც სამსახურის გამო მოვლინებულ იქნებიან; ხოლო ფულის ანგარიშები და არა ნაკლები 10 პროცენტისა საერთო შემოსავლიდან ყოველ თვეში უნდა გადარიცხულ და გაგზავნილი იქნეს ცენტრალურ გამგეობაში არა უგვიანეს შემდეგი თვის მეათე რიცხვისა.

10. პოლიტგანათლების დაწესებულებები უნდა გახდენ ბაზათ, საიდანაც იწარმოებს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა საზოგადოების მიზნების პოპულიარიზაციისათვის. ეს დაწესებულებები იქნებიან რაიონულ ცენტრათ, რომლის საშუალებით ადგილობრივ განყოფილებების გამგეობა უკავშირდება ყველა უჯრედებს. თუ დაწესებულება აერთიანებს 10 უჯრედზე მეტს, მაშინ ამ დაწესებულებაში ირჩევა რაიონული ბიურო, სამი კაცის შემადგენლობით.

11. წესდების მე § 8-ის თანახმად, საზოგადოების წევრათ მიიღება ყველა 18 წლ. მოქალაქე, განურჩევლათ სქესისა, უფლებამოსილი და სასამართლოს განაჩენით შეუბღალავი; შეაქვთ თვიური საწევრო გადასახადი (28 | 24 წ. მ.—2-§ 4) შემდეგი რაოდენობით.

ა) წითელარმიელს—1 კაპ.
ბ) გლეხებს — —10 კაპ.
გ) პროფესიონალურ კავშირის წევრებს, რომელთა ჯამაგირი არ აღემატება თვეში 60 მან. წლიურით—1 მან.—20 კაპ.
დ) პროფკავშირის დანარჩენ წევრებს, რომელთა ჯამაგირიც თვეში 60 მან. მეტია,—2 მან წელიწადში.

12. საზოგადოება მიზნათ ისახავს ხელი შეუწყოს პოლიტგან. მთავარმართველობას სკოლის გარეშე განათლების საქმეში საერთოთ, ხოლო მუშაობის პირველ ხანებში მთავარ ყურადღებას აქცევს წ. კ. უ. ლიკვიდაციას, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლ. თავზე საქართველოში მოსპობილ იქნეს წერაკითხვას უცოდინარობა.

13. შესრულება ასეთი მძიმე და საპასუხისმგებლო საქმისა ასე მოკლე ხანში მოითხოვს დიდი თანხისა და ენერგიის დახარჯვას, მაგრამ ამაში ხედავს რა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარების და მასში საბჭოთა საზოგადოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად ეტაპს—„წერკუმსი“ თავის უახლოეს ამოცანად ისახავს:

ა) უჯრედების ქსელის ჩამოყალიბებას ფაბრიკა-ქარხნებში, კლუბებში, წითელ არმიის ნაწილებში, პარტორგანიზაციებში, პროფკავშირებში და სხვ. როგორც ქალაქში, ისე სოფლათ.

ბ) ფართო აგიტ-კამპანიის ჩატარებას წ. კ. უ. მოსპობის შესახებ, განსაკუთრებით მივარდნილ კუთხეებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა უცოდინარია.

გ) იღებს ზომებს სახსარის გამოსაძებნათ სალიკვიდაციო სკოლებისათვის და საერთო პოლიტგან. მთ. მართველობის სკოლის გარეშე განათლების დარგში მუშაობის გასაღრმავებლათ; სცემს საგიტაციო მასალას და ხელს უწყობს იმ ლიტერატურის გავრცელებას, რომლებიც ემსახურება წ. კ. უ. ბრძოლის და მისი რეციდივის თავიდან აცილების მიზანს და აბამს წერაკითხვის საქმეში საშეფო კომისიებს.

დ) მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებლათ, არსებულ წესის დაცვით მართავს საღამოს, წარმოდგენებს, ლექციებს, გამოფენებს, სეირნობას, საჯარო საუბრებს, აგროვებს შემოწირულებებს და სხვა. აწვდის სკოლებს სასწავლო მასალას, გაზეთებს, ლიტერატურას, ამზადებს მასწავლებლებს და აუმჯობესებს, როგორც მათ მატერიალურ მდგომარეობას, ისე ინსტრუქტორისას.

ს. ს. ს. რ. პოლიტ-განათლების მთავარი მმართველობა.

წერა-კითხვის უცოდინარობა—მისი [illegible]

(თეზისები აგიტატორებისათვის)

1. თვითმპყრობელობა მთელ თავის მართვა გამგეობის სისტემას ამყარებდა ხალხის მასის სიბნელესა და უვიცობაზე. ის მცირე რიცხვი სასწავლებლებისა და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა, რომლებიც არსებობდენ მეფის მართველობის დროს წინასწარ განზრახული აზრით, ზედმიწევნით იყო გამოანგარიშებული მხოლოთ ბურჟუაზიისათვის და კიდეც სწავლა-განათლებას იღებდენ თავად-აზნაურებისა და მდიდართა შვილები; მშრომელი მასის შვილები კი მოკლებულ იყვენ ელემენტარულ წერა-კითხვის ცოდნასაც. თუ ვიმე მუშის შვილი რამენაირათ შესძლებდა დაწყებითი სკოლის წარჩინებით დამთავრებას, იმას შემდეგ სასწავლებელში შესვლის და სწავლის გაგრძელების გზა არ ჰქონდა, ვინაიდან თვით სკოლების ქსელის სტრუქტურა ისეთი იყო, რომ ერთმანეთში კავშირი არ ჰქონდა; გამოცდების დროს მათთვის არა სასურველი პიროვნებას ადვილად ცხრილავდენ და ნიჭიერ ყმაწვილს შეუბრალებლათ, სკოლის გარეთ, ქუჩაში სტოვებდენ. რასაკვირველია, ასეთმა მდგომარეობამ ყოფილ მონარქიულ რუსეთის ტერიტორიაზე შექმნა უამრავი წ. კ. უცოდინარი. მეფის მთავრობა, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს „ინოროდეცებათ“ იხსენიებდა, საქართველოში, როგორც საზოგადოთ ყველგან, ზედმეტ ფუფუნებათ და მიზან შეუწონლათ სთვლიდა სკოლების გამრავლებას. აქედან ცხადია წერა-კითხვის უცოდინართა სიმრავლეც.

23 წ. აღწერის სტატისტიკური ცნობებით, საბჭოთა საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკების გარდა, ითვლება 2,023,363 კაცი, რომელთა შორის წ. კ. უცოდინარი 18—40 წ. ასაკამდის ირიცხება 369,076. აქედან ქალაქების მოსახლეობას ეკუთვნის 37,832 კაცი და სოფლებისას—331244 სოფლების მცხოვრებთა შორის 60,9 პროც. წ. კ. უცოდინარია.

ავტონომიურ რესპუბლიკებში წ. კ. უ. რიცხვი უდრის 90194, ამათგან სამხრეთ ოსეთში—23035, აჭარისტანში—28022 და აფხაზეთში—39137 კაცი.

2. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოს რესპუბლიკაში აღიძრა არაჩვეულებრივი მისწრაფება სწავლა განათლებისკენ.

3. სამოქალაქო ბრძოლის ცეცხლში თავისი ხელისუფლებისათვის, მუშებმა და გლეხებმა შეიგნეს ის დიადი როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ ცხოვრებაში. იგრძნეს, რომ რესპუბლიკისა და თავისი ბედიღბლის გამომჭედნი თვით არიან. შეიგნეს, რომ მათ ცხოვრებაში დიდი ნაკლულევანება უსწავლელობაა და ამიტომ დაიწყო მასიური მისწრაფება წ. კ. უ. სალიკ. სკოლებისაკენ. სტიქიურათ დაიფარა საქართველოს უმეტესი ნაწილი წ. კ. უ. სალიკ. სკოლებით. მაგრამ, სამწუხაროთ, 1923 წ. ბოლოს დარჩა ამ სკოლების არა უმეტეს 10 პროც-ისა. დანარჩენ სკოლებში, უსახსრობის გამო, სწავლა შესწყდა.

4. წ. კ. უ. სალიკვიდაციო ფრონტზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანგრძლივმა სიჩუმემ დიდხანს ვერ გასტანა და ამავე 1923 წ. შემოდგომაზე წ. კ. უ. და მცირე მცოდნეთა სკოლებში მუშაობა ხელ-ახლათ გამოცოცხლდა, სწავლა განახლდა და სკოლების ქსელი გაძლიერდა. ამ სკოლების საქმეს ჯერაც დიდ ზიანს უქადის უსახსრობა. მოსალოდნელი არა სასიამოვნო მოვლენის წინააღმდეგ წარმატებითი საბრძოლველათ და იმ ბოროტების სრულიად ამოსაფხვრელათ, რომელმაც საუკუნოებით ღრმათ გაიდგა თავისი ფესვები მშრომელთა მასაში, დაარსდა წ. კ. უ. მებრძოლი საზოგადოება (წერკუმსი), რომლის მიზანს შეადგენს ნივთიერი სახსრის გამონახვა სკოლებისთვის. საზოგადოება ცდილობს და ეცდება, რაც შეიძლება მეტი უცოდინარი მუშა შეიყვანოს სკოლებში.

5. წ. კ. უ. სალ. მუშაობამ განსაკუთრებულ მიზნათ დაისახა ამხ. ლენინის ლოზუნგის: „ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საბჭოთა რესპუბლიკებში არც ერთი წ. კ. უცოდინარი არ უნდა იქნეს“,—განხორციელება. ამხ. ლენინის სიტყვით, ხალხის უძლიერესი მტერი სიბნელე და უვიცობაა. აი, ამ მტრის მოსპობა დაისახა წერკუმსმა.

6. ამხ. ლენინის მოწოდება ამოწმებს იმას, თუ რამდენად დიდ როლს ასრულებს, კულტურულ და პოლიტიკურ თვალსაზრისით, მშრომელი ხალხის მიერ წერა-კითხვის შესწავლა. ჩვენში დღეს ბევრს ლაპარაკობენ ქალაქისა და სოფლის დაახლოებაზე. ეს დაახლოება შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა ჩვენ სოფელს ავამაღლებთ კულტურულათ. ეს კი შეუძლებელია წ. კ. უცოდინარობის მოუსპობლათ.

7. ეს მუშაობა მოითხოვს დიდძალ მასწავლებლობას, ბევრ სასწავლო მასალას, ლიტერატურას და იწვევს ხარჯს წელიწადში არა ნაკლებ ნახევარ მილიონ მანეთისა. ამ საქმის პირნათლად შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მის გარშემო შემოიკრიბება მთელი საბჭოთა მუშა-გლეხობის ფართო საზოგადოება. ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა საქართველოს ბედნიერება, ვინც თავისი პირადი ბედ-იღბალი დაუკავშირა საქართველოს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის მომავალს, ის უნდა გახდეს წერკუმსის წევრი და თავისი აქტიური მუშაობით ხელი შეუწყოს წ. კ. უ. მოსპობას. არ უნდა დარჩეს არც ერთი წევრი პროფკავშირის ახკომკავშირის, გლეხკომის, პარტიის არც ერთი მოწაფე და სოფლის მოწინავე მოქალაქეს ამ საზოგადოების გარეშე ისე, რომ ამ კამპანიაში რაიმე წვლილი არ შეეტანოს. ყველა მოქალაქე, სადაც უნდა იმყოფებოდეს ის, უნდა მუშაობდეს „წერკუმსის“ სასარგებლოთ, აგროვებდეს შემოწირულებას, აწყობდეს უჯრედებს, სადაც არ არის, და ეწეოდეს აგიტაციას სიტყვით და საქმით წ. კ. უ. მოსასპობათ რესპუბლიკის მცხოვრებთა საერთო თანაგრძნობით და დახმარებით შესაძლებელია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავზე წ. კ. უ. სრულიათ მოვსპოთ და ერთხელ და სამუდამოთ ამ ბოროტებასაც ბოლო მოუღოთ.

8. წესდების § 8 თანახმად საზოგადოების წევრებათ მიიღება ყველა 18 წლის მოქალაქე, განურჩევლათ სქესისა, უფლებამოსილი და სასამართლოს განაჩენით შეუბღალავი. შეაქვთ საწევრო გადასახადი ცენტრალურ ბიუროს დადგენილების თანახმათ შემდეგი რაოდენობით.

ა) წითელი არმიელს . . . 1 კაპ.
ბ) გლეხებს . . . . . 10 კაპ.
გ) პროფესიონალურ კავშირის წევრებს, რომელთა ჯამაგირი არ აღემატება თვეში 60 მან. წლიურათ 1 მან.
დ) პროფკავშირის დანარჩენ წევრებს—2 მანეთი წელიწადში.

საქართ. პოლიტ-განათლების მთავარი მმართველობა.

ორი მომენტი

1. ქართველი თავად-აზნაურობა გუშინ

1914 წელს ომის დაწყების დროს საქართველოს ესტუმრა რუსეთის მეფე ნიკოლოზ მეორე. აქაური თავად-აზნაურობა მეფის მისაღებ სამზადისს შეუდგა ერთი თვის წინად მის ჩამოსვლამდე. ძვირფასი სტუმრის მისაღებად მორთეს ქართული თეატრი, და კლუბი თვითმპყრობელობის დროშებით და ემბლემებით, შეუკვეთეს სუფრის თეთრეული ორთავიან არწივებით და სხვა მონარქიულ ნიშნებით. თეატრი შემოსეს მრავალი ლოზუნგებით შემდეგი შინაარსისა: „ომი რუსეთის მეფის სკიპტრის სრულ გამარჯვებამდე“, „პატარა საქართველო მუდამ ერთგულია დიდი რუსეთის“. „ქართველები იომებენ და თავს დასდებენ რუსეთის მეფის ტახტის დასაცავად“—და სხვა მრავალი ასეთები.

მაშინდელმა იმერეთის თავად აზნაურების წინამძღოლმა დავით ნიჟარაძემ მიმართა თვითმპყრობელს გულითადი თხოვნით, რათა მეფეს ნება დაერთო ქართველ თავად-აზნაურობისათვის, რომ მას შეედგინა სამხედრო დრუჟინა და სისხლი დაეღვარა მეფის ტახტის დასაცავად. ამბობენ, მეფემ ამ თხოვნაზე მადლობა გამოუცხადა. დიდი ხვეწნა დასჭირდა კიდევ დავით ნიჟარაძეს და მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ მიიღო სათანადო ნებართვა. ჩქარა შეადგინეს აღნიშნული დრუჟინა და ვინმე თავად ჯანდიერის მეთაურობით გაგზავნეს ფრონტზე.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეფისათვის თავდადებულთა რიცხვი ძალიან ბევრია ქართველ თავად აზნაურობაში. აჰე რომ ცოტა ხნის შემდეგ ეს დრუჟინა გადაიქცა ორ დიდ ლეგიონად: ერთი ქვეითი და ერთი ცხენოსანი. ცხენოსანი ლეგიონის მეთაურად დაინიშნა ვინმე თავადი შავგაძე—გამოჩენილი მებრძოლი და დაჯილდოვებული მეფისაგან. ოფიცერთა შემადგენლობა ამ ლეგიონში მხოლოდ თავადი და წილობრივი აზნაურები იყო.

ასეთი ერთგულებისთვის დავით ნიჟარაძემ მეფისაგან მიიღო პოლკოვნიკის „ჩინი“—თუმცა წინეთ მხოლოდ მილიციის პრაპორშჩიკი იყო. ამ პოლკოვნიკის ჩინებს დავით ნიჟარაძე ამაყათ ატარებდა თავის „გამრგვალებულ“ ბეჭებზე თვით რევოლიუციამდე. გარდა აღნიშნული ლეგიონებისა, ქართველი თავად-აზნაურობა სიხარულით შევიდა აგრეთვე მაშინ ახლათ შემდგარ ეგრედ წოდებულ „ველურ დივიზიაში“ („Дикая дивизия“). ამ დივიზიის უფროსი და შეფი იყო მეხეილ ალექსანდრეს ძე, მაშინდელი მეფის ძმა. ამ დივიზიაში შევიდა თავისუფალ მოხალისეთ დღევანდელი ტყის გმირი ჩოლოყაშვილიც, რომელიც დღესაც ატარებს ხოლმე მაშინდელ ბრჭყვიალა პაგონებს.

ვის არ ახსოვს, თუ რა ერთგულებას იჩენდენ ქართველი ოფიცრები მეფის ჯარში. ძვირათ ნახავდით ისეთ ქართველ ოფიცერს, რომელსაც ბრძოლაში მიღებულ სიმამაცის ჯილდოთ მკერდი არ ჰქონოდა შემკული.

თავად-აზნაურობას არც მათი ქალები ჩამორჩენიათ. მათ უკანასკნელი მამულები დააყიდვინეს თავის ქმრებს, რათა კარგათ გაკოპწიავებულიყვნენ და მეფისათვის ესიამოვნებიათ. სადილის დროს მაგიდაზე მოსამსახურეობას ისინი ეწეოდნენ.

აგრეთვე აუარებელი „კნეინა-კნიაჟნები“ წავიდნენ ფრონტზე მოწყალე დებათ.

ვის არ ახსოვს, თუ რა წინადადება მისცა მაშინ საქართველოს თავად-აზნაურებს გერმანიამ. მიხაკო წერეთელი გერმანიის მთავრობის დავალებით მიმართავდა ქართველ თავად-აზნაურობას და მოუწოდებდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და აჯანყებისათვის. გერმანია შეპირდებოდა სრულ დახმარებას როგორც ფულითა და იარაღით, ისე ცოცხალი ძალითაც კი. მართლაც და რომ მაშინ საქართველო რუსეთს გამოთიშვოდა და აჯანყებულიყო, კავკასიის ფრონტი სრულიად დაირღვევოდა და რუსეთს დიდი დამარცხება მოელოდა. მაგრამ გერმანიის მთავრობა მოსტყუვდა: ქართველი თავად-აზნაურობა ერთგული დარჩა რუსეთის მეფისა და არამც თუ აუჯანყდა მას, პირიქით თავისი საუკეთესო შვილები გააგზავნა მის ტახტის დასაცავად.

აი ასეთი იყო ქართველი თავად-აზნაურობის ორიენტაცია მაშინ, როდესაც რუსეთში თვითმპყრობელი მეფე ბრძანდებოდა.

2. ქართველი მენშევიკები გუშინ.

როგორი იყო მენშევიკების ორიენტაცია რუსეთში ნიკოლოზ მეფის და მის დროებით მოადგილე კერენსკის დროს.

მკითხველებს კარგად ახსოვთ, თუ რას აკეთებდნენ მენშევიკები იმპერიალისტურ ომის დროს. მათი ფრაქცია სათათბიროში ჩუმად მხარს უჭერდა ომს, ხოლო დანარჩენები შევიდენ ეგრეთწოდებულ „სამხედრო წარმოების კომიტეტში“. მესამენი კი ხელს უწყობდენ ომს სიტყვითა და კალმით.

მაგრამ დავიწყოთ უფრო შორიდან. ნ. ჟორდანია 30 წლის განმავლობაში აწარმოებდა მკაცრ პოლემიკას ქართველ ნაციონალისტების წინააღმდეგ. მთელი შინაარსი ამ პოლემიკისა წარმოადგენდა იმის მტკიცებას, რომ საქართველო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ შესისხლხორცებულია რუსეთთან და ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლიაო. ქართველი ნაციონალისტები ამბობდენ: ჯერ ნაციონალური თავისუფლება, მერე ეკონომიური აყვავებაო. ჟორდანია მათ მარქსისტულათ უპასუხებდა (მაშინ ჟორდანია მარქსისტი იყო): ნაციონალური დამოუკიდებლობა უნდა იქნეს აშენებული ეკონომიურზედ, ხოლო ეს უკანასკნელი საქართველოს საერთო აქვს რუსეთთანო. მაშასადამე, მაშინდელ ჟორდანიას აზრით შეუძლებელი იყო საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფა.

ეხლა შევეხოთ იმპერიალისტურ ომის დროინდელ ჟორდანიას. 1915 წლის ბოლოს ჟორდანიამ დასწერა წერილი,*) რომელმაც მაშინ ააღელვა ზოგიერთი მისი ამხანაგებიც კი. იმ წერილში ავტორი ამტკიცებდა, რომ იმპერიალისტურ ომის მიზეზი და ინიციატორი არის გერმანია და ავსტრო-უნგრეთი. ამიტომ ის მოუწოდებდა ყოველ მოქალაქეს რუსეთის დაცვისაკენ. აი რას ამბობდა: „აქ თავდამსხმელი მხარეა გერმანია, თავდამცველნი—დანარჩენები“ (წაიკითხეთ რუსეთი).**)

შემდეგ ჟორდანია აქებს „სოციალისტების“ გედისა და ვანდერველდეს პატრიოტიზმს (გედი და ვანდერველდე შევიდნენ ომის დროს თავიანთ ქვეყნების ბურჟუაზიულ მთავრობებში) და მოუწოდებს მენშევიკურ პარტიას, რათა ამ უკანასკნელმაც მათ მიბაძოს“. „ვაი იმ პარტიას, რომელიც ხალხის ტრაგედიას (წაიკითხეთ—იმპერიალისტურ ომს. ი. ტ.) უყურებს გვერდზედ მდგომი და ხელს იბანს რა პილატესავით, თავს ირთობს ფანტაზიით თავისი სახისა და გეგმის სისწორე-სიწმინდეზე. ასეთ ჯგუფს ხალხისას საერთო არა აქვს რა ისეთ დიდებულ სახალხო პარტიასთან, როგორიც არის სოციალ-დემოკრატია“ ***) ამას ამბობს ჟორდანია და მოუწოდებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მიიღოს აქტიური მონაწილეობა ომში.

რომ თავისი მოწოდება მისაღები გახადოს, ის მარქსიზმის ასეთ ყალბ განმარტებასაც აძლევს: „ხალხი იყოფა ორ დიდ ჯგუფათ: ღარიბებათ და მდიდრებათ. გარეშე მტრის წინაღმდეგ ისინი იბრძვიან შეერთებული ძალებით, ხოლო შინაურ ცხოვრებაში აწარმოებენ ურთიერთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას“. აი ასეთ კლასთა შეთანხმებისაკენ მოუწოდებს ჟორდანია საქართველოს მასებს, რათა ხელი შეეწყო რუსეთის ომისა და ჯარების მთავარ-სარდლის ნიკოლოზ მეფისათვის.

შემდეგ ჟორდანია ასურათებს გერმანიის მილიტარისტულ პოლიტიკას, ხატავს მას გაცილებით უფრო შავი ფერებით, ვინემ რუსეთის პოლიტიკას და სცდილობს დაამტკიცოს, რომ გერმანიის დამარცხება დემოკრატიის გამარჯვება იქნებაო“. იგი (რუსეთი) გაიმარჯვებს რა ომში, ჩქარა განვითარდება ეკონომიურად, მაშასადამე პოლიტიკურადაც; ხოლო თუ დამარცხდა, მაშინ დიდხანს შეჩერდება არსებულ ეკონომიურ საფეხურზე და უკან დაიწევს პოლიტიკურად“ *). ასე გვარწმუნებს ჟორდანია და მოითხოვს, რომ ყველანი დაეხმარონ რუსეთის თვითმპყრობელს გერმანიის დასამარცხებლად.

აღნიშნული წერილი ნ. ჟორდანიასი სიხარულით მიიღო მაშინდელმა რუსეთის მეფის ცენზურამ და მგონი ყველა ევროპიულ ენებზედაც გადაბეჭდვინა.

ისტორიამ არ გაამართლა ჟორდანიას „საბუთები“. მაშინდელი რუსეთი დამარცხდა ომში და მის ნამსხვრევებზედ შემდეგ შესაძლო შეიქმნა სოციალისტური მშენებლობის წარმოება.

ჟორდანიას ორიენტაცია რუსეთისადმი ვერ შესცვალა ვერც თებერვლის რევოლიუციამ; აი რას ამბობს ის 1917 წელში: „ცხადია, რომ ჩვენ ეხლაც ვდგევართ იმავე ნიადაგზე, რომელზედაც ვიდექით წინად (წაიკითხეთ: ნიკოლოზ მეფის დროს. ი. ტ.) ე. ი. რუსეთთან ერთობის ნიადაგზე. გაიარა ასმა წელმა რუსეთთან შეერთების დღიდან. ეს შეერთება არ იყო ვინმეს პირადი სურვილის საქმე ან კიდევ უბრალო შემთხვევითი. ის იყო ისტორიული აუცილებლობა. იმ დროს საქართველო იდგა დილემის წინაშე: აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, და ჩვენმა წინაპრებმა გადასწყვიტეს ჩამოშორებოდენ აღმოსავლეთს და მიემართად დასავლეთისათვის. მაგრამ გზა დასავლეთისაკენ მიდიოდა რუსეთით და მაშასადამე დასავლეთისაკენ წასვლა ნიშნავდა რუსეთთან შეერთებას. ასი წელია ჩვენ ვდგევართ ამ ნიადაგზედ... ბევრი ტანჯვა, ბევრი მწუხარება გამოვიარეთ ჩვენ ამ ას წელში, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, არც ერთი პოლიტიკური პარტია არ თხოულობდა რუსეთისაგან ჩამოშორებას, ყველა პარტიები ადგენ ერთსა და იმავე გზას: სცდილობდენ ადგილობრივ ცხოვრების პირობების შეცვლას რუსეთის შემწეობით“. *)

აი ეს დიდი ციტატა ეკუთვნის საქართველოს მენშევიზმის ლიდერს ნ. ჟორდანიას, რომელიც თავის პარტიის დავალებით აკეთებდა მოხსენებას საქართველოს ეგრედ წოდებულ ნაციონალურ ყრილობაზედ.

აქედან ცხადათ სჩანს, თუ როგორი მომხრე იყო მენშევიკების პარტია რუსეთთან ერთობისა და კავშირისა. ჟორდანია ამბობს კიდევ უფრო მეტს. ის აცხადებს, რომ არამც თუ მენშევიკები, არც ერთი პოლიტიკური პარტია საქართველოში არ მოითხოვდა რუსეთისაგან გამოთიშვასო.

მაგრამ უფრო საინტერესოა გავიგოთ, თუ როგორ ოცნებობდა ჟორდანია რუსეთის მომავალ სახელმწიფოებრივი ფორმაზე თებერვლის რევოლიუციის დღეებში.

„რუსეთში შესაძლებელია ერთი ტიპი ნაციონალურ მართველობისა: ერთ რესპუბლიკის ფარგლებში რამოდენიმე თვითმართველი ნაციონალური ოლქები, სადაც ყოველ ადგილობრივ კითხვების გადასაჭრელად გამოიცემა ადგილობრივ კანონები, ხოლო საერთო საქმეებში დაემორჩილდებიან საერთო ცენტრს. თქვენ შემეკითხებით, რა უფლება-მოსილება უნდა ჰქონდესო ამ ნაციონალურ ოლქებს, ე. ი. რა საქმეები უნდა მართონ მათ. მათი კომპეტენცია უნდა იქნეს შემდეგი: 1) გატარება ცხოვრებაში ყველა კანონებისა, რომლებიც გამოცემული იქნება ცენტრში, 2) ყველა ადგილობრივი კულტურული საქმეები: აგრონომიული, სავაჭრო, მრეწველობა, ადგილობრივი სასამართლო, ადგილობრივი ადმინისტრაცია, მართვა მუნიციპალურ (ოლქის მთავრობის ხელში მყოფ) მიწებისა, ე. ი. ყოფილ საუფლისწულოთა, სახელმწიფოსა, საეკლესიო, სამონასტრო, საკაბინეტო და სხვებისა; აგრეთვე მუნიციპალიზაცია მრეწველობათა, რომელთაც ექნებათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა (ეს იქნება ნაციონალიზაცია. ი. ტ.), ადგილობრივ საჭიროებისათვის გადასახადთა დაწესება და აკრება, საერთო კანონთა გამოცემაში ინიციატივა, ადგილობრივ მნიშვნელოვან კანონების გამოცემა და სხვა. ერთი სიტყვით ყველა კითხვები ადგილობრივ ხასიათისა წყდება ადგილობრივად, გარდა ამისა ყოველი კანონი გამოცემული ცენტრში გადაეცემა ადგილობრივ ხელისუფლებას, ადგილობრივ ძალებს ცხოვრებაში გასატარებლად“.*)

აი რა სახით ოცნებობდა ჟორდანია მომავალი რუსეთის პოლიტიკურად მოწყობის შესახებ. ჟორდანიას იდეალი იყო: ერთიან რუსეთის ფარგლებში ნაციონალურ ოლქების მოწყობა შინაური საქმეში თვითმართველობით.

ეს ხომ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციიდან ამონაწერსა ჰგავს, ხოლო იმ „შესწორებით“, რომ ჟორდანია მოითხოვს ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიურ ოლქებს, დღევანდელი ს. ს. რ. კ.-კი შესდგება დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კავშირისაგან.

ნუ თუ ჟორდანიას ოცნება არ არის განხორციელებული ს. ს. რ. კ. კავშირით?

ნუ თუ ს. ს. რ. კ. არ წარმოადგენს უდიდებულეს დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ მიღწევას დღევანდელ საერთაშორისო იმპერიალისტურ ხანაში. ნუ თუ შეიძლება უფრო თავისუფალი, უფრო დემოკრატიული, უფრო სუვერენული კავშირი ნაციონალურ სახელმწიფოთა.

ჟორდანია მხოლოდ იდეალში ისახავდა ასეთ კავშირს; საბჭოთა ხელისუფლებამ ეს რეალური გახადა. მაშ რათ ებრძვის ჟორდანია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს, რათ ებრძვის ჟორდანია საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც შესძლო ამ დიდი იდეალის ცხოვრებაში გატარება.

„ბოლშევიკურმა გამოსვლამ ოქტომბერში, როდესაც რუსეთის პროლეტარიატში გაიმარჯვა სრულათ ბოლშევიზმის იდეამ ე. ი. იმ იდეამ, რომ ეს რევოლიუცია არის სოციალური რევოლიუცია, აი ამ იდეამ, ამ გამოსვლამ გასწყვიტა შემაერთებელი ძაფი და დაამსხვრია რუსეთი მთელ რიგ დამოუკიდებელ ოლქებათ .... სულ ცოტა ხანია მას შემდეგ რაც ჩვენ ვოცნებობდით, რომ ჩქარა, ძალიან ჩქარა შევერთდებით რუსეთის დემოკრატიასთან და მასთან ერთად ავაშენებთ ეკონომიურ და პოლიტიკურ რუსეთის რესპუბლიკას“. *)

აი სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი: საქართველო რუსეთს ჩამოშორებია მხოლოდ იმიტომ, რომ იქაური მუშები საბჭოთა ხელისუფლების მომხრენი გახდენ. მაშასადამე ყოველგვარი „მოტივები“, რომლითაც დღეს ჟორდანია ევროპის პრესას აყრუებს—მოტივები რუსეთისა და საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურ შეუფარდებლობისა მხოლოდ სიყალბეა. ჟორდანია მთელი თავის ნაწერებში უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ამტკიცებდა მხოლოდ იმ აზრს, რომ საქართველო ეკონომიურად და პოლიტიკურად შესისხლხორცებულია რუსეთთან და მისი რუსეთისაგან გამოშორება ემსგავსებოდა ორგანიზმის დაქუწვასო და

---

*) Н. Н. Жордания. „Война и мир“. „Совр. мир“ № 7—8, 1916 г.

**) იქვე გვერდი 52.

***) იქვე გვ. 35.

*) იქვე გვ. 58.

*) Н. Жордания. „За два года“ доклады и речи—изданная в 1919 году—Тифлис. Стр. 53.

*) იქვე გვერდი 31.

*) იქვე გვერდი, 65.

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის

საპილენძის სატკეცი ქარხანა

შეხვალთ თუ არა ქარხანაში, პირველ ყოვლისა იგრძნობთ სიცხეს; აგრეთვე თქვენს ყურადღებას იპყრობს ის მძიმე მუშაობა, რომელიც უნდა აწარმოონ მუშებმა. ქარხანა შესდგება სხვადასხვა განყოფილებისაგან: **სადნობი**, სადაც ხდება ნობა და სამუშავებელი მასალისა, აქ სდგას ვეებერთელა ღუმელი, რომელიც ერთბაშად რამოდენიმე წუთში ადნობს **100 ფუთ მასალას**, აქედან გადნობილი ლითონი ისხმება ბალონებში და შემდეგ ტარდება სატკეც დაზგაში. არის აგრეთვე **სამანქანო განყოფილება**, რომელშიაც სდგას „საჰაერო ლოკომობილი“, საჰაერო მას მიტომ ჰქვიან, რომ ჰაერის და მაზუთის შეერთებით გამოწვეული წვით სწარმოებს მისი მუშაობა. მას თავის მხრივ მოჰყავს მოძრაობაში სატკეცი დაზგა. თვით პროცესი სადნობი ღუმლის გახურებისა, ასეთივე ჰაერის და მაზუთის შეერთებით გამოწვეული წვის სისტემით სწარმოებს. არის აგრეთვე ქარხანაში მეორე ღუმელი, ამის დანიშნულება ის არის, რომ უკვე გატკეცილი სპილენძი, რომელსაც აქვს შავი ფერი და ადვილად იმტვრევა, გაატარონ ამ ღუმელში: აქ მას ირგვლივ თავისებური პროცესი ხდება, რის შემდეგ გამოიღებენ ლითონს, ჩასდებენ წყალში და ამნაირად მიიღება სპილენძი ჩვეულებრივი ფერის და მოქნილობითი თვისების მქონე. რადგან ქარხნის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერს, ამისათვის არის მისი მოსაგროვებელი და გადამუშავებელი განსაკუთრებული მანქანა. უკვე დამზადებულ სპილენძს ჰყვება სხვადასხვაგვარი დეფექტები, როგორც მაგ. უსწორმასწორო ნაპირები, რომელიც სცილდება მას საჭრელი დაზგის საშუალებით. აღსანიშნავი და ხაზგასასმელი ის გარემოება არის, რომ ყველა მანქანები ვარგებულია და არავითარ შეკეთებას არ მოითხოვენ.

წარმოება.

როდესაც ვეხებით წარმოებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ეს ქარხანა ერთად ერთია; არსებობენ ასეთები მხოლოდ მოსკოვში და ლენინგრადში. ქარხანა ამზადებს პრტყელ ფურცლოვან სპილენძს, ძველი უვარგისი სპილენძის ნივთებიდან და ე. წ. „ჩუშკებიდან“, რომელსაც ამზადებს სპეციალური ამისი ქარხანა. (ა | კ. მათი რიცხვი სამ უდრის მათ შორის ახლო ხანად მუშავდა ერთი). სპილენძის ქარხანა ამზადებს თვეში 1000-1200 ფუთამდე. შემკვეთლებად ითვლებიან ყველა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოები ა | კ. მასშტაბით. ამ ჟამად ქარხანა ასრულებს სომხეთის ს. მ. უ. ს-ს და ა | კ. რკ. გზების შეკვეთებს. უმთავრეს ბაზრებად ქარხნის ნაწარმოებისათვის ითვლებიან მთელი ამიერ-კავკასია, კასპის იქით მხარე, და სამხრეთ რუსეთი. შემკვეთლების მოთხოვნილებას ქარხანა თითქმის ყოველთვის წესიერად ასრულებს. დასამუშავებელ მასალას ქარხანა ან თვით შემკვეთლებისაგან იღებს, ან არა და ჰყიდულობს. ნაწარმოები საღდება ადგილობრივ ქარხანაში. დამუშავებულ სპილენძის ხარისხი საუცხოვოა; ასე, რომ მას ყოველთვის ჰყავს მუშტარი. წარმოებას დეფიციტი არ აქვს, იგი სარგებლიანია, თუ დასამუშავებელი მასალის კრიზისს არ ექნა ადგილი, წარმოება განუწყვეტელი იქნება და დიდ სარგებლობასაც მოუტანს ჩვენს საბჭ. სახელმწიფოს ღარიბ ჯიბეს.

სასურველი იქნებოდა, თუ ქარხნის ადმინისტრაცია ისე მოაწყობდა საქმეს, რომ ზედმეტ საათების მუშაობას მოიცილებდა თავიდან, ამით მუშების მდგომარეობაც გამოკეთდება და ქარხანაც განთავისუფლდება ზედმეტ ხარჯებისაგან.

მუშაობა და მუშათა მდგომარეობა.

თავშიაც აღვნიშნე და ეხლაც უნდა გავიმეორო, რომ ეს წარმოება დიდ ენერგიას მოითხოვს მუშებისაგან. როგორც შეხვალთ ქარხანაში პირველად თვალში გეცემათ ყველაზე მაღლა მდგომი მუშა, რომელიც ატრიალებს ჰახრაკს, მისი შრომა ყველაზე ძნელია. სატკეც დაზგას აქვს გვერდზე ზევით ეს ჰახრაკი, რომლის საშუალებით ხდება რეგულიაცია იმ ნაწილების, რომელზედაც უნდა გასრიალდეს გავარვარებული ლითონი. ეს ჰახრაკი მაშასადამე ტრიალდება ხელით შეფარდებით დაზგის სრბოლასთან. აქეთ-იქით დაზგის იმ ნაწილებთან, რომელზედაც სრიალებს გახურებული ნაკვერჩხალივით ლითონი, დგანან მუშები, რომლებიც ხელს უწყობენ მის მიმდინარეობას და სხვა. ერთის სიტყვით სურათი მუშაობისა აუტანელია.

ორი ღუმელი ქარხნის აქეთ და იქით მხარეს, რომლებიც მაქსიმალურ თიებრებას გამოსცემენ, გახურებული ცეცხლის მსგავსი ლითონის სიმხურვალე და ამასობაში მძიმე და ფიზიკური შრომის გაწევა—რაღაც კოშმარულ სურათს ჰქმნის შენობაში, რის გამო ადამიანს შიგ დიდხანს არ გაძლებინება და მუშებსაც მალიმალ უხდებათ გამოსვლა გარედ გასაგრილებლედ, სრულიად გაწუწულებს ოფლში. ასეთი არის მუშაობის სურათი და თვით მუშების მდგომარეობა გარეგნულად. რაც შეეხება მათ მდგომარეობას უფრო ახლოს ასეთია: ჯამაგირებს ღებულობენ ხუთიდან თერთმეტ ხარისხამდე, ე. ი. 29 მ. 90 კაპ-დან—4 ეიკ9 მანეთამდე, რომელსაც ყოველთვის წესიერად ღებულობენ. გარდა ამისა ყოველი ფუთი ლითონის დამზადებიდან ეძლევათ 1 მანეთი და 63 კაპეიკი. 1922 წლიდან მუშაობენ ნარდად. ამ ჟამად განსაკუთრებულ სამხედრო შეკვეთების გამო უხდებათ მუშაობა დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. ზედმეტი საათების რასაკვირველია ეძლევათ. დამოკიდებულება ადმინისტრაციასა და მუშებს შორის, როგორც თვით მუშების სიტყვიდან სჩანს, კარგია. ქარხკომზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. იგი ყოველთვის მუშებთან არის და ყველაზე მეტ შრომას ეწევა. (აი იმ ჰახრაკს სწორედ ის ატრიალებს). მუშებს იგი ძალზე უყვართ და თავის მხრივაც იგი მზად არის მათ დაეხმაროს, რითაც კი შეუძლიან.

რა აკლიათ მუშებს.

ვეცნობი რა მათ მდგომარეობას, ყველანი ერთ პირად სჩივიან სპეცტანსაცმელის უქონლობაზე.

— ხელშეკრულების თანახმად გვერგება იგი წელიწადში სამი ხელი, ჩვენ კი სულ მივიღეთ ერთჯერ, რაც არ გვყოფნის; მუშაობა დიდია და მძიმე, ამისათვის მალე გვიცვდებაო,—მეუბნებიან ისინი.

— გვერგება აგრეთვე ფეხსაცმელები, რაც სრულიად არ მიგვილია, ჩვენსას ვცვითავთ, არა და მალე იხევა, რადგან მუდამ გვიხდება გახურებულ ლითონზე სიარული.—მეუბნება აგრეთვე მეორე მუშა და სხვაც ემოწმება.

— ამხანაგო! აი რას უნდა მიექცეს აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება,—მეუბნება უფროსი მუშა,—ჩვენი მუშები ყველანი ძალზე არიან დაშორებული ქარხანას. ზოგი ავლაბრიდან მოდის, ზოგი ვერიდან, ზოგი ლენინის უბნიდან და სხვა. დიდი შრომის შემდეგ მუშებს საშუალება არა აქვთ კარგად დაისვენონ. ის იძულებულია ღამით ადგეს და წამოვიდეს, რომ სამუშაოზე არ დაიგვიანოს. ბოლოს და ბოლოს ადამიანის ორგანიზმი ამას ვერ აიტანს და ერთ-ერთ დღეს სრულიად დავარდება. ასეთი მუშების შოვნა კი, როგორც ამ წარმოებას სჭირდება, ძნელია, არ მოიპოება. აღნიშნეთ, რომ ამ გარემოებასაც მიაქციოს ყურადღება მელითონეთა კავშირმა.

კულტურული მდგომარეობა

კულტმუშაობა ქარხანაში ჯერჯერობით მოიკოჭლებს: არ აქვთ არც სამკითხველო, არც კლუბი. ამ ცოტა ხანში განზრახულია გახსნან „ლენინის კუთხე“. გაზეთები მოუდის გარდა „კომუნისტი“-სა. წერა-კითხვის უცოდინარნი მხოლოდ მოხუცებია 45 წლისა და მეტის. მაგრამ მათ უკითხავენ გაზეთებს ხმით და აცნობენ ქვეყნის ამბებს. მუშები ყველანი მოწადინებული არიან ასწავლონ თავიანთ შვილებს, მაგრამ აქაც დაბრკოლებები ეღობებათ წინ.

— რაში გამოიხატება ეს დაბრკოლება?—ვეკითხები მუშებს.

— რა ვიცით! გვეუბნებიან, რომ „ადგილები აღარ გვაქვს“, ან-და მიზეზად იმას ასახელებენ, რომ „თქვენი შვილი პატარაა“-ო და პატარები კი აღარ არიან—სწავლის დრო მოსული აქვთ, სასურველია ამაში დაგვეხმარონ,—ამბობენ მუშები.

— გასაკვირველია, მაშ ვიღასთვის უნდა იყოს სკოლებში ადგილი, თუ არა მუშის შვილებისთვის?

სანიტარული მდგომარეობა კარგია. ეზო ყოველთვის სუფთად ინახება, შიგ ქარხანაშიაც, რამდენადაც შეიძლება, იცავენ სისუფთავეს. მუშებს ქარხნის უკან აქვთ თავისი აბანო, სუფთად მოწყობილი. იგი დიდ დახმარებას უწევს დაღლილ-დაქანცულს და მუშაობისაგან გასვრილ მუშებს, რომლებიც მუშაობის შემდეგ იქ გაიბანებიან და სუფთად მიდიან შინ. „აბა ეს რომ არ ჰქონდეთ, სად შეუძლიათ ყოველთვის იარონ საზოგადო აბანოებში და იარონ ასეთი დიდი გზა ისედაც დაღლილებმა?“ მუშებს ეძლევათ ყოველთვიურათ ორ-ორი გირვანქა საპონი, გარდა იმისა, რასაც ქარხანაში ხმარობენ. პირსაბანი აქვთ. ადუღებული წყალი ყოველთვის წესიერად მოიპოვება. სპეც-ტანსაცმელი ჭუჭყიანი აქვთ, თუმცა იგი ირეცხება, მაგრამ ნაყოფი ამისაგან ნაკლებია, არც ღირს შრომად.

ინფ. კ—რძე.

მექვაბეებში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 100 პროცენტით

წლიურად მაგალითად 1912 წ. მექვაბეთა საამქრომ ჩააბარა 46 ქვაბი კაპიტალური შეკეთებით. 1923 წ. კი ჩავაბარეთ 49, სამი ქვაბით მეტი. მაშინ კვალიფიციურ ხელოსანთა რიცხვი აღემატებოდა 150 კაცს. 1923 წელს კი იყვნენ [illegible] კაცი—დანარჩენნი კი თანა[illegible]. მაშინ ვმუშაობდით 9 საა[illegible] უმთავრესი კი მასალა იყო თავზედ საყრელი, იარაღი ყოველნაირი. დღეს კი საიარაღო მასალა ძალიან მოიკოჭლებს; ხშირად სულ არ არის. გარდა ამისა, ქვაბები ძალიან დაზიანებულია და მათი შეკეთება ძალიან ძნელია. 1924 წელს 8 თვის განმავლობაში გამოუშვით 35 ქვაბი, რომლებიც შედარებით 1912 წელთან უფრო მეტ შეკეთებას მოითხოვენ. მაშინ სულ ორი ან სამი ქვაბი გადიოდა ახალი ლუმელით და 1924 წელს კი გადის 10 ახალი ლუმელით. ეს კი იმის მზგავსია, ვითომდა 5 ახალი ქვაბი გაგვეკეთებინოს, მაშინ, 1912 წელში კვირა-უქმე დღეებს და სალამოობით დაშვებული იყო სამუშაო. ყველა ეს რომ ერთმანეთს შევადაროთ, გამოდის, რომ 1924 წელს—შრომის ნაყოფიერება მექვაბეთა საამქროში გადიდებულია შედარებით 1912 წელთან თითქმის 120 პროცენტით იმ ტეხნიკის საშუალებით. ეს იცის ყოველმა მუშამ და ამბობს: „მომეცით იმდენი, რომ ადამიანურად ვიცხოვროვო“.

დღეს კი 100 ქვაბიც რომ დამზადდეს, თუ გზას საერთო მასშტაბით შემოსავალი არ ექნება, მარტო ეს ქვაბები არას გვშველის. ასი დამზადებული ქვაბები ტყუილად მოცდებიან დღეს რკინისგზას არ აქვს იმდენი საშუალება, რომ ყველა დარგი თავის წარმოებისა დააყენოს თავის დონეზე და დააკმაყოფილოს. დღეს ჩვენ ერთნაირ ბლოკადას განვიცდით. საზღვარგარეთიდან ნაკლები საქონელი შემოდის, და რკინისგზასაც ამიტომ ნაკლები შემოსავალი აქვს. ტრანზიტი როდესაც გადიდდება, გადიდდება გზის შემოსავალიც და მაშინ შეიძლება ჩვენი შრომის ნაყოფიერების დაფასებასაც შეუდგეთ იმ პრინციპიალურ თვალსაზრისით, როგორც ამას დღეს სამართლიანად აღნიშნავენ ამ დარგის მუშები, ისინი, ვინც შეასრულა ყველა 100 პროცენტი თავის მოვალეობისა შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. საჭიროა თვით მუშის დაინტერესება წარმოების წარმატება-მსვლელობაში.

მუშა მექვაბე **ვ. ნ. ბ.**

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს საქმიანობა

პირველი საკითხი წარმოების გადიდებისა და მის სათანადო სიმაღლეზე დაყენების არის მასალა. თავის თავად ცხადია, თუ მასალა არ ვარგა და მასთან ერთად იგივე მასალა საძებარი არის, ამით ვერ მივაღწევთ ჩვენ მიზანს. ჩემი 3 წლის პრაქტიკიდან ვიცი, რომ ძლიერ ხშირად არის ასეთი შემთხვევები: რომელი მასალაც სწორედ საჭიროა რომელიმე საგნის გაკეთებისათვის, მაგალ. რკინა, ჟესტი, ფოლადი, და ან სხვა რაიმე, ამაზე იწერება მოთხოვნილება მთავარ საწყობში; მიდის მუშა მოსატანად; მაგრამ რა! არაფერი. მოთხოვნილება მოდის უკან დიდი რეზოლიუციით (не имеется). შემდეგ მიდის მიწერ-მოწერა სამასალო სამსახურში, იქიდან-აქეთ, აქედან კიდევ იქით და ამასობაში მუშა სდგას და ელოდება მასალას. ამ დროს კი საჭირო მასალა ადგილობრივ ბაზარზე ბევრია.

რისთვის არ უნდა იყოს ყოველივე საჭირო მასალა რკ. გზ. მთავარ საწყობში? რისთვის უნდა ხდებოდეს, რომ მუშა საჭირო მასალას თითო კვირას ელოდებოდეს, და შემდეგ დიდი ვაი-ვაგლახით მიიღოს ან და მიიღოს მისთვის გამოუსადეგარი? აი პირველი და უმთავრესი მიზეზი წარმოების დაცემისა.

აქ, ამ დარგში, უნდა იყვეს სასწრაფო ზომები მიღებული, რომ რკ. გზის მთავარი საწყობი გაისინჯოს, თუ რა მასალა არის შიგ, დაწყებული თვით უმნიშვნელო მასალიდან მნიშვნელოვანამდისინ, საჭიროა, დაინიშნოს მუშური კომისია თვით შეგნებული მუშის მეთაურობით (ასეთები ჩვენ ბევრი გვყავს), რომლებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას თვით წარმოებაში, ვინაიდან მათ ესმით, თუ როგორი მასალაა საჭირო თვით წარმოებისათვის. ასეთი კომისია უნდა იყვეს დანიშნული რკ. გზ. ყველა სახელოსნოებიდან; როგორიც არის მთავარი სახელოსნო, დეპო, რონოდათა ფარეხი, მეექვსე უბნის სახელოსნო და სხვა. ასეთივე კომისია უნდა დაინიშნოს იქ, სადაც შემსყიდველ აგენტებიდან მოდის სხვადასხვა მასალები, ვინაიდან ბევრჯერ დამტკიცდა, რომ მასალის შემყიდველი აგენტები დაინტერესებული არიან არა მასალის სიკარგით, არამედ მასში პროცენტების აღებით.

მასთან ერთად უნდა გადათვალიერდეს სამასალო განყოფილების შემყიდველი აგენტების შტატი, თუ ვინ და რას წარმოადგენენ ისინი. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები, რომელნიც ჩვენდა სამწუხაროდ ბევრნი იმყოფებიან ჩვენ დარგში, ხეირს არ მოგვცემენ. ისინი შეეცდებიან წარმოების არამც თუ წინ წაწევას, არამედ მის განადგურებას.

ეხლა გადავიდეთ თვით საწარმოვო იარაღზე. როგორი იარაღით მუშაობენ ჩვენი მუშები? მე ზევით შევეხე მასალის უვარგისობას, რომელიც მძიმე ლოდათ აწევს ჩვენს წარმოებას. ამ მასალაში შედის თვით ფოლადიც, ფოლადი არის მაგარი და არის რბილიც, მაგარ ფოლადიდან მზადდება იგივე სახარატო ფოლადის დამჭრელი გასაჩარხავი იარაღი, რომლებსაც ხმარობენ ხარატები ყოველგვარ სამუშაოზე. ეს საჭრელი იარაღი ხშირად ფუჭდება. ვერ მოასწრო ოსტატმა საჭრელის დაზგაზე დაყენება და მისი გაშვება, იგი უკვე გატყდა, უკვე არ ვარგა. ის უნდა გადავაგდოთ და ახალი უნდა მივსცეთ. ახალი საიდან? ისიც იგივე უვარგის ფოლადიდან.

ეხლა გადავიდეთ საქვაბო და საზეინკლო იარაღებზე. აქაც იგივე სურათი გვიდგება თვალწინ. საქვაბო საამქროში მეტ ნაწილად ხმარობენ „სასულე იარაღებს“ (Воздушные инструменты), სასულე სახვრეტი მანქანა. (Воздушная Сверлильная машина) ასეთი მანქანები თუმცა ბევრი არ არის, მაგრამ რაც არის, ისიც 50 პროცენტამდე გაფუჭებულია. ისინი თითქმის ყოველ ხმარების შემდეგ მიდიან შესაკეთებლად. შეკეთება კი იწვევს ზედმეტ დროს და ხარჯს. თვით სახვრეტი მანქანა და აგრეთვე სასულე ჩაქუჩი (Воздушный молоток) მარტო ვერ წარმოებენ. მათ ესაჭიროებათ რეზინის გრძელი ხელი სასულე მილიან შესაერთებლად, რომელიც ჩვენ ძლიერ ცოტა მოგვეპოვება. არის ასეთი შემთხვევა, რომ მანქანა კარგი არის, მაგრამ მისთვის ხელი არ არის. თხოულობენ მოთხოვნილებით საწყობიდან. საწყობი კი უარით უმასპინძლდება. ბაზარზე კი რამდონიც გინდათ იმდენს იშოვნით.

სხვა საქვაბო იარაღებიც, როგორც არიან ლოჯები (Зубила), კალიცმეისტრები (крейцмейсем) ესენი სულ მტვრევის პროცესში არიან. ვსთქვათ მაგ. წაიღო ოსტატმა საიარაღოდან ლოჯი ან კალიცმეისტერი, იმ წამსვე უკან მოაქვს წვერმოტეხილი, ან შუაზე გახეთქილი. რა მოხდა? ფოლადი არ ვარგა. „ყალბია“—აცხადებს ოსტატი.

რაც შეეხება სხვა სადურგლო იარაღებს, ისინი სულ ხშირად იმტვრევიან და ილუნებიან. მუშამ დიდი გაჭირვებით უნდა იმუშაოს და უკიდურეს შემთხვევაში უნდა გაჩერდეს.

გადავიდეთ ეხლა საზეინკლო იარაღებზე. მეჩიკები, რომლებითაც მუშების მეტი ნაწილი მუშაობს, სჭრიან რეზებს. თითქმის ახალი იარაღი ხშირად იმტრევა და ეს ხდება იმისგამო, რომ ფოლადი არ ვარგა, ან ძლიერ გამომწვარია.

ქლიბების საკითხიც ძლიერ მწვავედ სდგას სახელოსნოებში. აქ საიარალო საამქროსთან არსებობს მექლიბეთა ჯგუფი, რომლებიც ქლიბებს აკეთებენ. აქ პირდაპირ უბედურება არის. კეთდება ქლიბი, მაგრამ არავის არ მიაქვს. რისთვის? მისთვის, რომ ისინი სრულებით არ ვარგა წარმოებისთვის. ამ ქლიბებით ვერ მუშაობენ მუშები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც სუფთა საქმე აქვს, ან ვინც არმატურაზე მუშაობს. ადგილობრივი გაკეთებული ქლიბები თითქმის 20 პროცენტი არ ხმარდება წარმოებას. აქ უკვე საკითხი თავის თავად იბადება. რა მიზეზია? პასუხი იგივეა მასალის უვარგისობა და თვით მუშა ხელის ნაკლი. **მასალა იხარჯება, მუშას ხელფასი ეძლევა, ნამუშევარს კი ნაყოფი არ მოაქვს.**

ეს რასაკვირველია ძლიერ ხელს უშლის წარმოების გადიდებას.

გარდა ამისა არ შემიძლია, არ აღვნიშნო ზოგიერთ საჭირო იარაღების უქონლობა, რომლებზედაც ხშირი მოთხოვნილებაა სახელოსნოებში. სრული 8 თვეა, რაც ბოქლომები და არშინები არ არის საიარაღოში, რომელიც ძლიერ საჭირო არის მუშებისათვის საიარაღო ყუთების დასაკეტად, რომ მათ იარაღები არ გაუფლანგდეთ. არშინებს თითქმის ყოველ დღე თხოულობენ მუშები, ამავე დროს ადგილობრივ ბაზარზე რამდენიც გინდათ, იმდენს იშოვით. ყველა ჩემ მიერ მოყვანილი დეფექტები ულმობელი მტერია ჩვენი წარმოების გადიდების. თუ ჩვენი მორიგი ლოზუნგი წარმოების გადიდებას წარმოადგენს, ჩვენ მთელი ჩვენი ენერგიით უნდა ვეცადოთ, რომ ეს დეფექტები გამოვასწოროთ; წარმოება გადიდდება მაშინ, როდესაც მუშა უზრუნველყოფილი იქნება კარგი მასალით, იარაღით და მას შრომის ხელფასიც გაუდიდდება, როდესაც მუშის მძლავრი ხელი და შორსმჭვრეტი თვალი ჩაერევა ყოველგვარ მასალების და იარაღების მიმღებ კომისიაში, როდესაც სამასალო განყოფილებიდან განიდევნებიან ის პარაზიტები, რომლებიც ჩვენი წარმოების განადგურებას და თავიანთ ჯიბეების გასქელებას ლამობენ, როგორც ამაზე გულწრფელად ლაპარაკობდნენ საწარმოო კონფერენციაზე გასულ კვირაში მუშა-დელეგატები, ჩვენი წარმოებაც სათანადო დონეზე დადგება. ყოველი პატიოსანი მუშა-მოსამსახურე, რომელიც გამსჭვალულია ჩვენი წარმოების გადიდების ინტერესებით, ვალდებულია ხელი შეუწყოს ჩვენ ახალ საქმის და, რითაც შეუძლია, დაეხმაროს მას.

მუშკორი **ელდორადო.**

ს. მ. უ. ს. საფეიქრო, ზეთ-სახდელი და საპნის ტრესტი

ორთაჭალაში, კომუნის ქუჩაზე შესაფერ ადგილებში მოთავსებულია ფაბრიკა-ქარხნები: საფეიქრო, ზეთსახდელ და საპნის ტრესტის. ტრესტი აერთიანებს შემდეგ ფაბრიკა-ქარხნებს: 1) **საპნის ქარხანა „კარლ მარქსის“ სახ.**, 2) **ბამბის ფაბრიკა „წითელი პროფინტერნის“ სახ.**, 3) **ზეთ-სახდელი ქარხანა „კარლ-მარქსის“ სახ.**, 4) **ძაფის ფაბრიკა** მე-3 კომინტერნის სახ., (რომელიც შეჩერებულია შეკეთების გამო დროებით). 5) **„ცირომაზის“** ქარხანა—ზეთ-სახდელი, რომელიც მოკლე ხანში გაიხსნება. აგრეთვე ტრესტს ეკუთვნის ქუთაისის მაუდის ქარხანა, რომლის ოფიციალური გახსნა განზრახულია 7—ოქტომბრისათვის. ტრესტის ნაწარმოებს შეადგენენ სარეცხი საპონი სხვა და სხვა ხარისხების, ხელის საპნები სხვა და სხვა ხარისხების, ბამბა, მატყლი, გიგროსკოპიული ბამბა, ზეთი, ძაფი და სხვა. ტრესტის საშუალო საერთო დამუშავებას მარტიდან ივნისამდე წარმოადგენს ძაფ-ნართი 4445 ფ. სარეცხის და ხელის საპონი სხვა და სხვა ხარისხის 5,854 ფ., გიგროსკოპიული ბამბა 172 ფ., უბრალო ზეთი—1891 ფ., უბრალო ბამბა—172 ფ.

საქონლის დამუშავება მშვიდობიანობის დროსთან შედარებით—საპნები სხვა და სხვა ხარისხების 150 პროცენტი. დანარჩენი პროდუქტები 100 პროცენტი. საპნის ქარხანამ კაპიტალურ შეკეთების შემდეგ დაიწყო მუშაობა სამ წყებად.

ტრესტის პროდუქცია საღდება ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ნედლი მასალა ტრესტისათვის საკმარისია საოპერაციო წლისათვის.

ნედლი მასალა ინახება შესაფერ ადგილას საკუთარ საწყობებში.

ტრესტს ჰყავს საკუთარი ტრანსპორტი.

საერთო მდგომარეობა ტრესტის დამაკმაყოფილებელია.

მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება.

ტრესტში არსებობს ორი ქარხკომი—საფეიქრო და ქიმიკოსთა კავშირების. საფეიქრო კავშირის ქარხკომი აერთიანებს 100 მუშას, ქიმიკოსთა კავშირის ქარხკომი—160 მუშას. მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 30 კაცამდე, მუშების ხელფასი კოლექტიურ ხელშეკრულებით განისაზღვრება პირველი ხარისხის მუშისათვის 15 მან. მოსამსახურისათვის 12—მან. მუშები ღებულობენ სპეც-ტანსაცმელს, წელიწადში ორჯერ ეძლევათ, საპონი და უფასო აბანო. ჯამაგირი რიგდება თვეში ორჯერ.

მუშები ირიცხებიან შემდეგ საზოგადოებათა წევრებად: საჰაერო ფლოტის მეგობართა. „რემედას“-ს, მუშათა კოოპერატივის და სხვა. მუშათა შორის განწყობილება ერთსულოვანია. იქ არა აქვს ადგილი რაიმე ცულლუტობას. ყველა ერთნაირად ეწევა შრომის ნაყოფიერების ზრდას. მუშების და ადმინისტრაციის შორის ამხ. განწყობილება არის.

კულტურული მუშაობა

ჰყავთ არჩეული კულტკომისია, რომელიც აწარმოებს კულტურულ მუშაობას. წერა-კითხვის უცოდინარები არ არიან. არსებობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო, დრამატიული წრეები, „ლენინის კუთხე“ (იგი ვერ არის შესაფერისად მოწყობილი). იწერენ გაზეთებს.

ქიმიკოსთა ქარხკომს აქვს გამოწერილი 160 მუშაზე 95 გაზეთი, საფეიქრო ქარხკომს 33 გაზეთი.

ჰყავთ აყვანილი შეფობის ქვეშ სოფ. დიდი-ანაგეთი, სადაც მუშები დრო-გამოშვებით დადიან და მიაქვთ სხვა და სხვა ლიტერატურული წიგნები. ამასთანავე უწევენ სხვა და სხვა დახმარებებს გლეხებს. სოფელში არსებობს ქოხ-სამკითხველო, კოოპერატივი. განზრახულია გლეხების თხოვნით ეკლესიების კლუბად გადაკეთება.

სანიტარული მდგომარეობა ვერ არის მოწესრიგებული ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებში. უსუფთაობა სუფევს მაგალითად საპნის ქარხნის ეზოში. აქ ნახავთ ნეხვებს, ნაგავლორებით სავსეა ეზო. საჭიროა ადმინისტრაციამ დაიცვას სისუფთავე ფაბრიკა-ქარხნებში.

მუშკორი **კინო.**

თუ ეხლა ის სცდილობს საწინააღმდეგო აზრის დამტკიცებას, ეს იმიტომ კი არა, რომ ამ მხრივ პოლიტიკური და ეკონომიური პირობები შეიცვალა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა დაირღვა და იქ გაბატონდა მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება. ზემოაღნიშნულ ციტატაში ჟორდანია ამას გულახდილათ ამბობს და ჩვენ მის გულ ახდილობას ვერწმუნებით. ჟორდანია ცდილობს რუსეთში ბოლშევიკური მთავრობის ჩამოგდებას, რომლის შემდეგაც ის კვლავ აპირებს რუსეთთან შეერთებას. აი რას ამბობს ის: „როცა ჩვენ ვაწყობთ ჩვენს ადგილობრივ საქმეებს და ვძლიერდებით პოლიტიკურად, ჩვენ ვეცდებით გავლენა ვიქონიოთ რუსეთზედაც, რათა იქ კვლავ შეიქმნას ცენტრალური მთავრობა ყველასათვის (წაიკითხეთ მენშევიკებისათვის ი. ტ.) ერთ რიგათ მისაღები... თუ რუსეთში არ შესწყდა ანარქია (ასე იხსენიებს ჟორდანია მუშურ-გლეხურ მთავრობას ი. ტ.) და შეუძლებელი გახდა დამფუძნებელი კრების მოწვევა, ჩვენ მაშინ იძულებული ვიქნებით შევქმნათ ჩვენთვის კონსტიტუცია. *).

აქედან ცხადია ჟორდანია კვლავ აპირებს საქართველოს რუსეთთან შეერთებას, თუ იქ მუშურ-გლეხური მთავრობა მოისპობა და გამეფდება ან მონარქია ან ბურჟუაზია. მანამდის კი ჟორდანიამ გადასწყვიტა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა.

აი ამ ბრძოლის ერთ-ერთ მაგალითს მე შევეხები ქვემოთ, მაგრამ წინას უკაცრავათ, თუ მან არ მოგაგონოთ არც ბასტილიის ამღებთა ენტუზიაზმი, არც პარიზის კომუნარების თავდადება და არც ოქტომბრის გმირების ვაჟკაცობა. მენშევიკების ბრძოლა უფრო მოგაგონებთ კრილოვის არაკში „სპილო და ფინია“-ში მოთხრობილ ამბავს, რომ განმარტებით, რომ [illegible] საბჭოთა [illegible] უჭერს სამ თავიანი ფინია: მენშევიკებისა, თავადებისა და მღვდლების სახით.

3. ქართველი თავად-აზნაურობა და მენშევიკები დღეს.

28 აგვისტოს ღამის 3 საათზე ოციოდე შეიარაღებულმა კაცმა, შემდგარმა: ყოფილ ოფიცრებისაგან, თავად აზნაურებისა და მღვდლებისაგან სწრაფად დაიკავა ჭიათურაში „ჩონის“ შენობა, და განაიარაღა მისი ოთხი დარაჯი, ხელთ იგდო თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი. შემდეგ ასტეხეს სროლა. სროლაზე მუშებმა კომუნარებმა, მილიციელებმა მიაშურეს თანახმად სანიშნო პირობებისა „ჩონის“ შენობას. როდესაც შიგ შევიდენ, მათი უმრავლესობა განიარაღებული და დატყვევებული იქნა შემთქმელებისაგან. დანარჩენებმა შეიტყვეს რა სროლის მიზეზი დაიხიეს ჭიათურიდან სხვადასხვა მიმართულებით და შეუდგნენ ძალების შეკრებას. აღსანიშნავია, რომ ჭიათურაში იყო მხოლოდ ხუთმეტი მილიციონერი, რომელთა ნახევარი სოფლებში იყო სამსახურის გამო დაგზავნილი.

შემთქმელებმა დატყვევებული მუშები, კომუნისტები და ყოფილი მენშევიკები ციხეში ჩაამწყვდიეს, სამაგიეროდ იქიდან გამოუშვეს ყველა ყაჩაღები და ქურდები და სწრაფად შეაიარაღეს. აღნიშნულ ბანდას მიემატა იძულებით გაწვეული ჭიათურის ვაჭრები და რამოდენიმე მიაფე აზნაურები.

ეს ბანდა თავს დაესხა სახელმწიფო მარგანეცის მმართველობას და კომპანია „ფოლრუდ-სეილარის“ ფირმას. გაიტაცეს უმთავრესად ცხენები და შეადგინეს „ცხენოსანთა რაზმი“ თხუთმეტ-ოცი კაცისაგან. ბანდის მეთაური იყო ჭიათურის რაიონში ცნობილი ლოთი და კარტის მოთამაშე ძველი ოფიცერი და ყოფილი მეწყველი კოწია ჩაჩანიძე, მისი თანაშემწე—ყოფილი [illegible] და ნიკოლოზის ოფიცერი გ. [illegible]

„აჯანყებულთა მთავრობის“ თავმჯდომარე იყო ძველი აზნაური და მენშევიკი—გიორგი წერეთელი, მისი თანაშემწე ჭიათურის ყოფილი ვაჭარი გრიგოლ ფხალაძე. ძალით გამოწვეულებს იარაღებს ურიგებდა ძველი გარყვნილი ექსპლოატატორი აზნაური — სოსიანა აბაშიძე. მასთან იყო კიდევ ვიღაც ყოფილი ოფიცერი—ხვიძე.

„აჯანყებულთა არმია“ შესდგებოდა მხოლოდ და მხოლოდ თავადებისა და აზნაურებისაგან, ყოფილ ოფიცრებისა და მღვდლებისაგან. აი მათი გვარებიც: წერეთლები, აბდუშელიშვილები, აბაშიძეები, მაჭავარიანები, ვაშაძეები, ჯაფარიძეები, ტყემალაძეები. ამ გვარებს კარგად იცნობს ზემო იმერეთის გლეხობა, აღზრდილი მათ მათრახებისა და ფეოდალურ უღელ ქვეშ.

ბანდამ გამოუშვა მოწოდება. აი იქიდან ზოგიერთი ადგილები: „მამულიშვილნო! ქართველმა ერმა ვეღარ აიტანა რუსეთის მონობის უღელი და აჯანყდა. აჯანყებულების ხელშია თბილისი, ბათომი, ბაქო და მთელი კავკასია. ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრდა აგრეთვე რუსეთიც... ბათომში და ფოთში მოვიდნენ ინგლის-საფრანგეთის გემები და გადმოსხეს დიდძალი ჯარი ჩვენს დასახმარებლათ. მათთან არის ჟორდანიაც... რუსეთის აგენტები—კომუნისტები თითქმის ყველა დატყვევებულია, ხოლო რამოდენიმემ მოასწრო და თავი ტყეს შეაფარა... ყოველი ქართველი მოქალაქე ვალდებულია იბრძოლოს ჩვენ რიგებში ბოლშევიკების წინააღმდეგ—სარწმუნოებისა, კერძო საკუთრებისა და ეროვნულ სიამაყის აღსადგენათ“...

ამ მოწოდებას ხელს აწერს: „საქართველოს დამოუკიდებლობის დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი“.

28 აგვისტოს ღამით მივედით სადგურ რკვიაში. ჩემთან მოირბინა ლიანდაგის მორიგმა მეთვალყურემ და გადმომცა, რომ ის ეხლა მორბის ორი ვერსის მანძილიდან, სადაც მან დაინახა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, სადგ. რკვიისკენ მომავალი.

მართლაც რამდენიმე წუთის შემდეგ სადგურის ბაქანზედ გაჩნდა ოციოდე კაცი. მე ჩამოვედი და მივმართე მათ კითხვით, თუ ვის ეძებდენ. ერთმა მათგანმა მიპასუხა:

— „ჩვენ ვეძებთ მთავრობის კაცს“.

მე აუხსენი ვინც ვიყავი და უთხარი, რომ შემიძლიან მოუსმინო. მაშინვე გარს შემომეხვია რამოდენიმე გლეხი. ერთმა მათგანმა მომმართა.

— აი ჩვენ მოვიყვანეთ ოთხი თოფიანი კაცი. ესენი ძველი ქურდები არიან. მთელი ჩვენი სოფლები გაფცქვნეს, ქათმები აღარ შეგვარჩინეს. დიდი დევნის შემდეგ დავიჭირეთ და ჭიათურის ციხეში გადავგზავნეთ. ჩვენ ვითხოვდით მათ სიკვდილით დასჯას. დღეს კი უკანვე დაბრუნდნენ თოფებგადაკიდებულნი და გამოგვიცხადეს, რომ ჭიათურაში ახალი მთავრობა არის, რომელმაც ჩვენ სოფლების კომისრებათ დაგვნიშნაო.

— ეს როგორ შეიძლება, შენი ჭირიმე—წაართვა სიტყვა პირველს მეორე გლეხმა,—სიცოცხლე გაგვიმწარეს, სახლში აღარა შეგვარჩინეს რა და ეხლა დასჯის მაგიერათ ჩვენს კომისრებათ დაუნიშნავთ“.

— შენ უნდა იყო ჩემი მთავრობა, შე მამაძაღლო?—ეუბნებოდა ერთი გლეხი მუშტ-მოღერილი დაჭერილ თოფიანს.

როგორც გამოირკვა, ეს ქურდები გამოეშვათ ციხიდან „აჯანყებულებს“ და გაეგზავნათ სოფლებში თავისივე მსგავს „რევოლიუციონერთა“ შესაკრებათ.

ერთმა გლეხმა გადმომცა მთელი კონა მოწმობებისა, რომელიც ქურდებისთვის ჩამოერთმია.

სასაცილოა—ოთხი თოფიანი კაცი ათიოდე უთოფო გლეხებმა დაიჭირეს ყოველგვარ წინააღმდეგობის გაუწევლათ და მიჰყავდათ ალმასკომში. საქმის გამორკვევის შემდეგ გლეხები გაეშურენ ადგილობრივ საბჭოში—ჩვენ წავედით ჭიათურისაკენ.

გათენებისას სალიეთში მივედით. აქ იდგა რვა კაცისაგან შემდგარი (რკინისგზის და ადგილობრივ მუშებისაგან) რაზმი. მათ გვითხრეს, რომ ჭიათურასა და სალიეთ შუა ერთ ადგილას აყრილია რკინისგზის ლიანდაგი. ჩვენ გავეგზავნეთ დასათვალიერებლად ხუთი კაცი. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოგვესმა სროლა. ჩქარა ჩვენმა გაგზავნილებმა მოიყვანეს თხუთმეტი ტყვე. ხუთ მათგანს იარაღის გადაყრა მოესწრო. ჩემი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ტყვეთა შორის შვიდი თუ რვა, ცამეტ-თოთხმეტი წლის ბავშვები იყვნენ. მე შევეკითხე ერთ მოზრდილთაგანს, რომელმაც თავი ჭიათურელ ვაჭრათ დაასახელა, თუ რატომ არის მათ შორის ეს პატარა ბავშვები.

— ესენი არიან, შენი ჭირიმე, რაც არიან. ამათ წამოგვიყვანეს ძალით და ხვრეტითაც დაგვემუქრნენ, თუ არ ვიბრძოლებდით. აი ამას სცემეს კიდეც,—ვაჭარმა მიმითითა მეორე ტყვეზე. მადლობა ღმერთს რომ თქვენ მობრძანდით და ერთ უბედურებას გადაგვარჩინეთ.

ტყვე ვაჭრები სტიროდენ და მადლობას გვეუბნებოდნენ დატყვევებისათვის.

ბავშვები აღმოჩნდნენ ჭიათურის ტეხნიკუმის მოწაფე ყოფილი აზნაურის შვილები: მაჭავარიანები, აბდუშელიშვილები, ტყემალაძეები. მათი „სარდალი“ იყო ვინმე სტუდენტი ყოფილი აზნაური ჯაფარიძე, რომელიც პირველ გასროლის თანავე მძიმეთ დაჭრილიყო, ამით მისმა „არმიამ“ ისარგებლა და ტყვეთ დაგვნებდა.

გავსწიეთ ჭიათურისაკენ. გზაში შევიტყვეთ, რომ ჭიათურაში ადგილობრივ მუშებს, კომუნარებს უკვე წესრიგი აღედგინათ. მისვლისთანავე ჩვენ დავედევნეთ გაქცეულ ბანდიტებს და ორის მეტი (გიორგი წერეთლისა და გრიგოლ ფხალაძისა) ყველანი დავიჭირეთ. შემდეგ საჩხერისაკენ წავედით. ღამე გზაში წავაწყდით ბანდიტთა ერთ ჯგუფს. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ყველანი დავიჭირეთ. ბანდიტებმა ღამით ისარგებლეს, თოფები სიმინდებში გადაყარეს და ვითომ უბრალო მოქალაქეებათ მოგვაჩვენეს თავი. როცა სადგურ დარკვეთში ჩამოვიყვანეთ, ჩვენი ტყვეები კარგათ იცნეს ადგილობრივმა გლეხებმა.

—ჩვენ მაგათი ყოფილი ნაყმევები ვართ და კარგათ ვიცნობთ რა ვაჟბატონებიც არიან. ეგენი გუშინ საღამოს ყველა თოფებით ხელში ჯრუ[illegible] წისქვილთან [illegible] —[illegible]რის გლეხებმა. სწორედ ამ ადგილას აგვიტეხეს ჩვენ ღამე სროლა.

ტყვეები აღმოჩნდენ გვარათ აბდუშელიშვილები—ყოფილი აზნაურები მათი მეთაური იყო ალუა აბდუშელიშვილი, ძველი მენშევიკი, პარტიიდან ვითომდა გამოსული.

საჩხერეში უფრო უკეთესი სურათი ვნახეთ. „აჯანყებულთა“ შტაბი შესდგებოდა ოთხი ყოფილ ოფიცრების და თავად წერეთლებისაგან. „მთავრობის“ უფროსათ დანიშნული იყო ადგილობრივი ვაჭარი და მენშევიკი—გიორგი გაფრინდაშვილი. მის თანაშემწეთ ვიღაც ყაჩაღი სვანი—ქურდიანი. „მთავრობაში“ შედიოდნენ: მღვდელი სერგო მაჭარაშვილი, მისი ძმა ძველი მენშევიკი, ყოფილი შავი ქვის მრეწველი გიორგი გუჯეჯიანი (ნაც.-დემოკრატი) და ისაია გურულიშვილები — დევნილი ყაჩაღები. ამათ ზურგს უმაგრებდა რამოდენიმე თავად-აზნაური. ეს ბანდა „ბრძანდებოდა“ საჩხერეში რამოდენიმე საათი.

აი მათი საგმირო საქმეებიც: 1) მოჰკლეს ერთი კომუნისტი; 2) დახიეს ლენინის სურათი; 3) საჩხერის სადგურში ჩამოჭრეს ტელეფონის მილი; 4) აჰყარეს ორი რკინისგზის „რეიკა“; 5) ადგილობრივ კოოპერატივიდან გაიტაცეს პაპიროსები; 6) რამოდენიმე საათს ყვიროდენ ქუჩებში: „გაუმარჯოს საქართველოს“; 7) გამოსცეს ბრძანებები საბჭოთა ხელისუფლებისაგან ჩამორთმეულ მიწების უკან დაბრუნებისა და ეკლესიების გაღების შესახებ, მაგრამ მათი დაგზავნა სოფლად ველარ მოასწრეს.

ამრიგად გათავდა ის ავანტიურა, რომელსაც მენშევიკები უწოდებენ ხალხურ მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის.

ადგილობრივმა გლეხობამ ნათლად დაინახა, თუ ვის ეყრდნობიან ქართველი მენშევიკები. „შენი ამხანაგი მიჩვენე და გეტყვი ვინა ხარო“—ასე ახასიათებდენ მენშევიკებს გლეხები.

ამ აჯანყებამ მოიტანა ერთი დიდი სარგებლობა: გლეხები დაარწმუნა, რომ სოფლები უნდა გაიწმინდოს მავნე მენშევიკების ნაშთებისა და მათი ამყოლთაგან.

ი. [illegible]

---

*) იხ. [illegible]

მთავარ სახელოსნოს სადურგლო განყოფილება

სადურგლო განყოფილებაში 168 კაცი მუშაობს (დურგალი, მხერხავი ხარატი და შავი მუშა). მუშაობა სწარმოებს ორ წყებად, დღით და ღამით. აქ კეთდება ვაგონების და ოროთქმავლების სხვა და სხვა ხის ნაწილები. ეს ნაწილები იგზავნება მთავარ სახელოსნოს როგორც სხვა დარგის განყოფილებებში, ისე მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაზზე დეპოებში, ზოგიც ინახება თადარიგისათვის. შეკვეთები აუარებელია, მხოლოდ იმ შეკვეთიდან კეთდება ის ნაწილები, რაც ძალიან საჩქაროა. მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობა გახურებული სწარმოებს და ყველა მუშას კარგად ესმის თავისი მოვალეობა, მაინც ვერ ასწრობს ყველა შეკვეთებს და არც თადარიგისთვის არის რამე დამზადებული. ამის მიზეზი ხის მორების ნაკლებულობაა. არ არის ხმელი მუხა და არც საკმარისია ფიჭვის ხეები. რაც შეეხება სახერხ და სარანდავ მანქანებს, მეტი ნაწილი ძველი სისტემისაა; არა აქვს ჩქარი მსვლელობა და კარგა ხნის ნამუშევრებიც არიან. ამის შესახებ კარგა ხანია მისწერა განყოფილების გამგემ ვასო ახობაძემ სადაც ჯერ არს, მაგრამ დღევანდლამდის არავითარი პასუხი არ არის. მთავარ სახელოსნოს სამექანიკო ნაწილში შეკვეთილია გადასაკეთებლად ერთი უნივერსალური მანქანა 6 თვეზე მეტია, მაგრამ ჯერაც არ დაუწყიათ.

კარგა ხანია, რაც დაიწყეს შეკეთება მასალის საშრობ შენობისა, რათა მუდამ იყოს ხმელი მასალა დამზადებული, მაგრამ ჯერაც არ დაუმთავრებიათ და როგორც ეტყობა საქმეს ძალიან აჭიანურებენ.

სპეცტანისამოსი

რაც შეეხება მუშებისათვის სპეცტანისამოსის მიცემას, მუშათა ერთმა ნაწილმა მიიღო და ნაწილს კი ვერ მიუღია დღემდე. დაგვპირდენ წინსაფრებს, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. ამბობენ: ზოგი ირეცხება და ზოგი იკერებაო.

განყოფილების გამგე ვასო ახობაძე ძალიან [illegible] არის საქმეში—[illegible] მასალა თავის რიგზე აქვს დაწყობილი და დაფარებული. მას ჰყავს თანაშემწე, მაგრამ მაინც მას უყვარს ყველა საქმეში თვით ჩარევა და გაგება. სამსახურში ყველა მუშებზე ადრე ის მოდის და მეორე წყების სამუშაოზე (ე. ი. ღამით) თუმცა ვალდებული არ არის, მაინც მოდის და რჩება რამდენიმე საათს.

განყოფილებაში არიან ორი მუშა-წარმომადგენელი **ტატო მეჩიტაშვილი და ლუკა მელნიკოვი**, რომლებიც ძალიან ერთგულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. თუ სადმე ნაკლი შენიშნეს, სცდილობენ მის მოგვარებას და ახობაძესთან ერთად შეთანხმებით მუშაობენ.

ჩვენი სანიტარია

ქარხნის ჭერი აჭრელებული ქვარტლიანი და ახალი გამონაცვალი ფიცრებით. ურიგო არ იქნება, რომ შეღებავდნენ მას. სახერხი და სარანდავი განყოფილების კარები ორივე მხრიდან მუდამ ღიაა. მათში ერთი კარის დახურვა აუცილებელია. ამ კარებიდან მუდამ ქრის ნიავი, მეტადრე ზამთარში, მუშას სიცივისაგან თითები ვერ გაუშლია. კარგს იზამენ, რომ შენობის შიგნით გარშემო რკინის მილები იყოს გაყვანილი, სადაც იდენს ზამთრობით ორთქლი და ცოტათი მაინც გაათბობს მუშებს

ზამთარში ყინვისაგან შეწუხებული მუშა იძულებულია შევიდეს იქვე გვერდზე ცეცხლფარეშში, სადაც აკრძალულია შესვლა. ამაზე ხდება ჩხუბი ცეცხლფარეშის გამგესთან ქარხანაში არ არის ჰაერის გასაწმენდათ ვენტილიაცია, რის გამო იქ აუარებელი მტვერი დგება და მისგან შეწუხებული მუშა იძულებულია გარედ გამოვარდეს და იქ მოიბრუნოს სული.

რაც შეეხება სასადილოს, ის ისეთი პატარაა, რომ ზამთრობით მუშების ნახევარიც არ ეტევა და იძულებულნი არიან მტვერიან დაზგებზე დალიონ ხოლმე ჩაი.

ასეთია ჯერჯერობით სადურგლო განყოფილების მდგომარეობა.

მუშა გიორგი [illegible]

პატარა ფელეტონი*)

სამოქალაქო ომი და ორიენტაცია

ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ ადამისა და ევის სიცოცხლეში დაიწყო.

როგორც ვიცით, პირველი სამოქალაქო ომი ასტყდა კაინსა და აბელს შორის.

მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ კლასებათ დაყოფილი საზოგადოებები, რომლებზედაც უნდა დაყრდნობოდნენ მებრძოლი მხარეები, ამიტომ შეტაკება მოხდა მხოლოთ ამ ორ ძმათა შორის, რომელიც დამთავრდა აბელის დამარცხებით და კაინის გამარჯვებით.

მიწის მუშა კაინი, მეცნიერული სიტყვით, რომ ვთქვათ,—ეს პირველყოფილი ფეოდალია; მეჯოგე აბელი კი ახლათ ჩასახულ ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელია.

და აი, ამ ძველი და ახალი ქვეყნების წარმომადგენელთა შორის არ შეიძლებოდა არ მომხდარიყო სამოქალაქო ომი თავიანთი ძალა-უფლების განუყოფელათ დამყარებისათვის დედამიწაზე.

აქ არაფერ შუაშია ზღაპარი კაინისა და აბელის მიერ მსხვერპლის შეწირვის შესახებ, აბელის შეწირულ მსხვერპლისგან კვამლის პირდაპირ ცაში ამართვა და კაინის მსხვერპლის კვამლის დედამიწაზე მოფანტვა.

ეს მხოლოთ ყველა რჯულის სასულიერო წოდებათაგან არის მოჩმახული. თვარა ეს რომ მართალი იყოს, მაშინ მორწმუნეთაგან გაღებული ყოველივე შეწირულება ცეცხლზე უნდა იწოდეს და არა ამ სასულიერო წოდებათა საკუჭნაოში მიდიოდეს.

შესაძლებელია მხოლოთ ერთი რამ. აბელის ორიენტაცია (მიდრეკილება) ცის ღმერთებისკენ იქნებოდა მიმართული, კაინის კი მიწიერ ეშმაკებისკენ.

ალბათ იმ დროსაც კი აუცილებელი იყო რომელიმე ორიენტაციის ქონვა, თორემ უამისოთ ოთხი ადამიანის ცხოვრებაც კი არ შეიძლებოდა ამ ქვეყნათ.

აქ ერთი რამ არის მხოლოთ გასაკვირველი: როგორ მოხდა, რომ ძველი ქვეყნის წარმომადგენელმა, ფეოდალმა კაინმა აჯობა ახალგაზრდა ბურჟუაზიის წარმომადგენელ აბელს?

მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოხსენებულ ორიენტაციებს, ესეც ადვილი ასახსნელი იქნება.

აბელის ორიენტაცია უფრო სუსტი ძალის, უნიადაგო, ცაში გამოკიდებულ ღმერთებისკენ იყო მიმართული, კაინის ორიენტაცია კი ეპყრობოდა მიწაზე მაგრათ, ფეხმოდგმულ ეშმაკების ძალებზე.

ისტორიაში ხშირი ყოფილა მაგალითები, რომ ეშმაკები გამარჯვებული გამოსულან ღმერთებთან ბრძოლაში.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ამა თუ იმ ორიენტაციის არჩევის დროს ადამიანს რამდენათ დიდი სიფრთხილე მართებს და ყოველთვის არ უნდა დაინდოს ძველ ავტორიტეტს, როგორც ეს აბელს მოუვიდა.

ამნაირათ, ცხადია, რომ ყოველივე ომის ასე თუ ისე დაბოლავება ბევრათ დამოკიდებულია ამა თუ იმ ორიენტაციაზე.

უტყუარი საბუთებით დავამტკიცეთ რა ეს დებულებები, ამის შემდეგ თამამათ შეგვიძლია გადვიდეთ ჩვენი გამოკვლევის მთავარ საგანზე, რომელსაც შეადგენს ამ დღეებში ჩვენში მომხდარ სამოქალაქო ომის გამომწვევი მიზეზები.

ლიგა „დრომ“ რომ არ დაგვაბრალოს უბრალოთ დროს დაკარგვა, ამიტომ ჩვენ არ შეუდგებით წინანდელ სამოქალაქო ომების მიზეზების გამოკვლევას,—დაე ეს უფრო მოცლილმა ხალხმა იკვლიოს.

ჩვენში მომხდარ ამბავს რომ უაღრესათ ეკონომიური და პოლიტიკური სარჩული და ზედაპირი ჰქონდა, ამის დამამტკიცებელი საბუთები აუარებელი გვაქვს ხელთ, მაგრამ ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოთ ორიოდე მათგანს.

აგრეთვე ორიენტაციები რომ თამაშობდენ გადამწყვეტ როლს, ესეც ყოველივე ეჭვს გარეშეა.

პირველ ყოვლისა შევეხებით ეკონომიურ მხარეს და მოვიყვანთ იმ ცოცხალ მაგალითებს, რომლებიც ჩვენი თვალებით გვინახავს და ყურებით გვსმენია:

1) როდესაც ოლღარვა მარიამობისთვეს დილით სოფელ ზერაყეში ძალაუფლება საბჭოების ხელიდან დემოკრატიულ მთავრობის ხელში გადავიდა, პირველათ ყოვლისა გაქრა ადგილობრივ კოოპერატივიდან ყველაფერი შინაბადები საქონელი.

მეორე დღეს დილითვე ახლათ დანიშნული ასისთავი ნიკიფორე ბუტერაძის ცოლი ელპიტი ახალ ფეხსაცმელებში, ჩულქებში და თავშალში გამოწყობილი კოხტათ დაგოგავდა მეზობლებში და მხურვალე აგიტაციას ეწეოდა საბჭოების წინააღმდეგ და დემოკრატიულ მთავრობის სასარგებლოთ.

ელპიტს ამ დღეს არც ათისთავის ასალო ჩურჩუტაძის ცოლი ივლიტი ჩამოუვარდებოდა სიკოხტავეში, რომელსაც გაშანთულ კისერთან ისეთი თეთრი ლოყები ჰქონდა, რომ კოოპერატივიდან წაღებული ერთი კოლოფი პუდრის ამ ლოყებისაგან მითვისება ყველასათვის აშკარა იყო.

2) ამ დღეებში რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი ჩაფიქრებული. ცეკას მახლობლად უცებ ზედ შემეჩეხა ერთი კაცი და კინაღამ თითონაც წაიქცა და მეც წამაქცია. მე ბოდიშის მოხდა დავიწყე უცნობის წინაშე, რადგანაც დამნაშავეთ ჩემს თავს ვგრძნობდი, რომ ჩაფიქრებულმა ვერ შევამჩნიე მომავალი ადამიანი. ჩემს ბოდიშზე მანაც ბოდიშით მიპასუხა და ხმაზე ვიცანით ერთმანეთი. თურმე ეს ჩვენი რუბენი იყო, რომელიც ეს არი დაბრუნებულიყო ტყვეობიდან. მისთვის ტყვეობაში ყველაფერი ზედნაქონი ჩამოერთმიათ და სათვალეებიც ზედ მიეყოლებიათ, უსათვალოთ რუბენი ჩემს დღეში არ მენახა და აბა როგორ ვიცნობდი! ისიც სათვალეებით ძლივს ხედავს რამეს და აბა უსათვალოთ როგორ დამინახავდა!

მართალია, ჩვენ შუბლები კინაღამ შევახეთქეთ ერთმანეთს, მაგრამ ამ ერთმანეთის შეხლამ ჩვენ გამომაფხიზლა ღრმა ფიქრებიდან და მომცა უტყუარი საბუთი იმისა, რომ მომხდარ შემთხვევას მიედგომოდი სწორი თვალსაზრისით, რომ ამ გამოსვლებს ეკონომიური ნიადაგი არ ჰქონოდა, განა ასე ააცანცლიდენ რუბენს ყველაფერს, სათვალეებიდან დაწყებული? რა თქმა უნდა, არა!

ამნაირათ, ამ ორი თვალსაჩინო მაგალითებით, მე ვფიქრობ, მტკიცდება ამ დღეებში პარიტეტულ კამიტეტის მიერ მოწყობილი გამოსვლების ეკონომიური სარჩული.

ახლა გადავიდეთ მის პოლიტიკურ ზედაპირზე.

როგორც ვიცით, ეკონომიკა პოლიტიკასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული და გადაბმული. ამიტომ აქ საქმე ერთი ორათ რთულდება.

ელპიტის და ივლიტეს ფეხსაცმელებით აქ ფონს ვერ გახვალთ! არც რუბენის სათვალეები გიშველით! აქ საქმის მეტი აწონ-დაწონვა, დაკვირვება და გამოანგარიშება არის საჭირო.

აქ უნდა გამოვიანგარიშოთ იმ ქონების რაოდენობა, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ წაიღო საზღვარგარეთ საქართველოს გასაბჭოების დროს. ამას უნდა მიუმატოთ იმ თანხის რაოდენობა, რომელიც პარიტეტულმა კამიტეტმა მიიღო სუბსიდიის სახით იმპერიალისტურ სახელმწიფოებიდან საქართველოში აჯანყების მოსაწყობათ. ყველა ეს უნდა შეუფარდოთ იმ ქონებათა რაოდენობას, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩამოერთვათ ჩვენებურ თავადაზნაურებს, მღვდლებს და ვაჭრებს. და თუ ეს ქონება მეტი იქნება გაქცევის დროს წაღებულ და სუბსიდიათ აღებულ ქონებაზე,—ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ უსათუოდ მეტი იქნება,—იმ შემთხვევაში ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, თუ რატომ აირჩიეს პარიტეტჩიკებმა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ორიენტაცია და არა საბჭოების.

იქნებ ზოგიერთებისთვის მაინც გაუგებელი იყოს ეს დებულება. იმ შემთხვევაში ვეცდებით უფრო გასაგებათ განვმარტოთ იგი.

გასაბჭოების დროს წაღებული ქონება ხომ დაულეველი არ იქნებოდა, ის ალბათ დიდი ხანია გაფლანგულია და მის შესახებ მხოლოთ ტკბილი მოგონება ექნებათ დარჩენილი ნიკო ელიავას და გიორგი ერაძეს.

აღებული სუბსიდიაც ხომ ტომრებით არ იქნებოდა. მისი საგრძნობი ნაწილი მარტო ვლასა მგელაძეს არ აუთავდებოდა. საუზმეებზე. ახლა პარიტეტულ კამიტეტის წევრებს რამდენი დასჭირდებოდათ! როგორც ვიცით, ყველანი ქართველ თავად-აზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსული და ისინი ხომ იმ თავითვე პურმარილიან ხალხათ არის ცნობილი.

ამნაირათ ზემოხსენებულ თანხებიდან მხოლოთ სამი თითებისგან შემდგარი ბიშტი დარჩებოდა და მეტი არაფერი.

ახლა წარმოვიდგინოთ ერთ წუთში,—თუმცა ეს ყოვლათ წარმოუდგენელია,—რომ ევროპიული ბურჟუაზიული მთავრობების დახმარებით პარიტეტჩიკებს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. მაშინ ხომ მათ დაუბრუნდებოდათ ყველა ჩამორთმეული მამულები, სახლები, საყდრები და სხვა შემოსავლიანი წყაროები. რა თქმა უნდა, ეს ათასჯერ მეტ სიმდიდრეს წარმოადგენდა, ვიდრე სამი თითებისგან შემდგარი ბიშტი!

მოდი და ნუ გახდებოდენ ასეთ შემთხვევაში პარიტეტჩიკები ევროპიულ ბურჟუაზიულ მთავრობების ორიენტაციის მომხრენი!

მართალია, ცოტა შეცდომა მოუვიდათ, მაგრამ თუ კი აბელი შესცდა ღმერთების ორიენტაციაში—რა დიდი საქმეა, რომ ნოე ჟორდანია შემცდარიყო!..

ს. თ—ძე.

---

*) რომელიც არც ისე პატარა არის.
ასოთ-ამწყობი.

მენშევიკების ავანტიურის მსხვერპლს

არჩილ ბილანიშვილს


ამხ. არჩილ ბილანიშვილი.

შენ განიგმირე მუხთალი ტყვიით,
უდროოდ დასჭკნა გაშლილი ვარდი,
წმინდა იდეის მსხვერპლად გადიქეც,
მტერს კი ცოცხალი არ ჩაუვარდი!

ამხანაგებში ძმა ბიჭი იყავ,
ხალისიანი, შრომის ერთგული,
და ამიტომაც შენმა სიკვდილმა
შენს მეგობრებსა დაგვიწყვიტა გული!

ზიზღი ჯალათებს, ზიზღი მტარვალებს,
რადგან ნორჩ არჩილს ჩაგიქრეს კერა,
ათწილად მოსთხოვს სამაგიეროს
ჩაქუჩ-ნამგალი ვინც გამოკვერა!...

შენი საყვარელი ძმა ერა

პროფკავშირებში

პროვინციის პროფკავშირებში

ზუგდიდში

— ზუგდიდში უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში სწარმოებდა კამპანია ადგილობრივ ხე-ტყის დამზადებაში მონაწილე მუშათა კავშირში ჩაწერისათვის, რის შედეგათ ჩაწერილია 310 ახალი წევრი და არჩეულია ადგილკომი. ახლათ არჩეული ადგილკომი უკვე შეუდგა სატარიფო-ეკონომიურ და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სუსტათ სწარმოებს. მუშაობას აფერხებს სხვათა შორის ის გარემოება, რომ სახსრის უქონლობის გამო აუშენებელი დარჩა ცენტრალური მუშათა კლუბის შენობა. გაზეთები პროფბიუროს რეგულიარულათ მოსდის, დაარსდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

სამაზრო პროფბიუროს ფინანსიური მდგომარეობა აგრეთვე სუსტია: საწევრო გადასახადების აკრეფა სწარმოებს ინდივიდუალურათ და დიდი დაგვიანებით, რადგან მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირი და ხელფასი დროზე არ ეძლევათ. ურთიერთ დახმარების სალაროები არსებობენ მხოლოთ ალაგ-ალაგ იქ, სადაც ასეთნი არიან, სალაროში ჩაწერილია კავშირის წევრთა 95 პროც. მუშების სოციალური დაზღვევა შესრულებულია სავსებით.

გ ო რ ი.

გორის სამაზრო პროფბიურო აერთიანებს სხვადასხვა კავშირის 8 განყოფილებას და 8 რწმუნებულს 1902 წევრით. სამი თვის განმავლობაში (აპრილ, მაისი და ივნისი) გამართული იყო სამი კამპანია „რემედას“-ის, წითელი ჯვრისა და ადგილობრივ კოოპერატივებში წევრათ ჩაწერის სასარგებლოთ.

წევრთა ჩარიცხვის მუშაობის შედეგში კავშირებში ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა 90 პროც. პროფორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ადგილობრივი ახალგაზრდათა კომკავშირი.

შრომის ხელფასის უმცირეს განაკვეთს წარმოადგენს 7 მ. 80 კ. ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში მყოფ მუშების კი 5 მან. 20 კაპ. მუშა-მოსამსახურეთა დავალიანებას გორის მაზრაში ადგილი თითქოს არ აქვს. სამაზრო ბიურომ გახსნა სამკითხველო და ბიბლიოთეკა. განზრახულია კინოთეატრის გახსნა და ლექციების გამართვა ადგილობრივ განათლების მუშაკთა სახლში.

ქრონიკა

— **რესპუბლიკაში დასახლებულ ადგილების სიის გამოცემა.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს რესპუბლიკაში დასახლებულ ყველა ადგილების სია, მდებარეობითა და ცხოვრებათა ყოფა-რაოდენობის შესახებ დაწვრილებითი ცნობების თან დართვით.

— **ტელეფონების აბონენტების რიცხვი.** ა|კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის ცნობით, ამჟამად სულ ამიერ-კავკასიაში, ტელეფონის აბონენტების რიცხვი არის 5,498.

საჰაერო ფლოტის მეგობართა ყრილობა შესდგება 15 ოქტომბერს თფილისში.

— **ახალი ვაგონები.** ტრამვაის სახელოსნოებიდან უკვე გამოუშვეს ახალი ტიპის მისაბმელი ვაგონები.

— **წყალსადენის დირექციას** განზრახვა აქვს გამოიყვანოს ზემო-ავჭალიდან თბილისში კიდევ ერთი მთავარი მაგისტრალი, ვინაიდან არსებული წყალსადენის მაგისტრალები ველარ აკმაყოფილებენ ქალაქის მოთხოვნილებებს.

— **ზემო-ავჭალის ელექტრო სადგურის** არხზე ახლო ხანში სავსებით დასრულდება ხიდის აგება.

— **ციმბირის ჭირის წინააღმდეგ.** ქ. საბეითლო სექცია შეუდგა ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამზადებას.

— **ა|კ. შინა-ვაჭრობას.** სახ. კომისარიატის თავმჯდომარე ამხ. მირზაროვი გაემგზავრა მოსკოვს, საშემოდგომო მატყლის განაწილების საკითხის გამოსარკვევათ.

— **საჰაერო მიმოსვლა.** ა|კ. საავიაციო საზოგადოებამ დაამთავრა თბილის-ვარანცოვკას შორის საჰაერო მიმოსვლის მოწყობა.

— **საჰაერო მიმოსვლის ცხრილი.** ა|კ. საავიაციო საზოგადოებამ დაამთავრა სამგზავრო ჰაეროპლანების მიმოსვლის ცხრილი ა-კავკასიაში არსებულ ყველა პუნქტებისათვის.

— **საშემოდგომო მატყლის დამზადება.** ა|კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა საშემოდგომო სეზონში 65,000 ფ. მატყლის დამზადება, აქედან საქართველოში 35,000 ფ., სომხეთში—10,000 ფ. და აზერბეიჯანში 20,000 ფ.

— **1 ოქტომბრიდან.** ა|კ. რკინის გზები გადაყვანილი იქნებიან გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის ბიუჯეტზე.

— **საექიმო დახმარება დაზღვეულებს.** თბ. დამზღვევ კასამ გადასდო 1500 მან. დაზღვეულთათვის რენტგენის სხივებით ექიმობის გასაფართოებლათ.

— **ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ უნივერსიტეტში**, დღეს, 1 ოქტომბერს დანიშნულია დამატებითი მისაღები გამოცდები. ეს არის უკანასკნელი ვადა გამოცდების.

შემთხვევები

— თვითმკვლელობა. 29 სექტ. საღამოს 7 საათზე ალექსანდრეს ბაღში, ვინტოვკით თავი მოიკლა ივ. ბერკოვმა, რომელიც დატოვებულ წერილში აღნიშნავს, რომ თავს იკლავს რადგან ვერ დაამთავრა სწავლა.

—ხარის მოპარვა. 29 სექტ. სოფ. სოღანლუღში მამედ ალი-ოღლს მოპარეს ხარი 80 მან. ღირებული. ეჭვით შეიპყრეს ადუა მურად-ზაიკ და სეიდ-ისაკ-ოღლი.

— პატიმრის გაქცევა. 28 სექტ. ღამით მეორე კომისარიატიდან გაიქცა პატიმარი ზლოდეევი, რომელიც ისევ შეიპყრეს 29 სექტემბერს.

— ქურდების შეპყრობა. 28 სექტ. შეიპყრეს ვიღაც გარიბოვა, რომელსაც ბრალდება ლერმონტოვის ქ. ორლოვის ბინის გაქურდვა.

— ქურდობა. 27 სექტ. პუშკინის ქ. № 3 გაქურდეს კერესელიძის სავაჭრო. წაიღეს 300 მან. საქონელი. ეჭვით შეიპყრეს გალუსტოვი და მამისთვალი.

— 29 სექტ. ბორჯომის ქ. № 2, გაქურდეს ნ. ახვლედიანის ბინა, წაღებულია 200 მ. ნივთები.

— 29 სექტ. სუპკარაპეტის ქ. № 2, გაქურდეს მელიქ-სარქისიანცის სავაჭრო, წაიღეს 400 მან. ნივთები.

— ამავე დღეს წილკანის ქ. № 4, გაქურდეს გ. კიმროვის ბინა, ბოროტგამზრახველებმა წაიღეს 600 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ევანგულოვის ქ. № 4 გაქურდეს ევანგულოვის ბინა, წაიღეს 200 მან. ნივთები.

ხელოვნება

თვითმშრომელთა კლუბში.

შაბათს, 27 სექტემბერს, თვითმშრომელთა კლუბში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა შალვა დადიანის პიესა „როს ნადიმობენ“. ამ პიესაში ავტორს ჰყავს გამოყვანილი სხვადასხვა ტიპები, კაპიტალისტი, მებატონე, სასულიერო წოდება, მგოსანი, მეცნიერი, გლეხები და მუშები. ამ ტიპების განსახიერება მეტად ძნელია. ხსენებული სცენის მოყვარენი იმდენად უხეიროდ ასრულებდენ თავის როლებს, რომ მაყურებელი საზოგადოება იძულებული იყო პირი მოერიდებია სცენისათვის. ეს კი იმის ბრალია, რომ მათ სრულებით არ ჰქონდათ ამისათვის მომზადება, რადგან მათ არ ჰყავთ რეჟისორი, რომელიც შესძლებს მათ გაწრთვნას, ამაში კი ბრალი მიუძღვის პირველ ყოვლისა უმთავრესად კლუბის გამგეობას. გამგეობა, როგორც ჩანს, ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ წარმოდგენები რიგიანად იდგმებოდეს, აქვე მეორე დამნაშავეთ უნდა ჩაითვალოს თვით სცენის მოყვარენი, რადგან მათში ჯერ კიდევ არ მომსპარა ძველებური კულისების სენი: ინტრიგების, როლის უსწავლელობა, რეპეტიციები, გაუცდელობა და სხვა, რის ყველა გამო მახინჯდება ავტორის ნაშრომიც და ხელოვნების პრესტიჟიც ეცემა, საზოგადოებაც ქართულ წარმოდგენებს ნაკლებად ესწრობა. ისეთი დაწესებულებისათვის კი, როგორიც არის თვითმშრომელთა კლუბი, რომელსაც 3000-მდე წევრი ჰყავს, ძნელი არ არის ერთი კარგი რეჟისორის მოწვევა, რომელიც შესაფერად მოამზადებს სცენის მოყვარეებს და მომავალში ადგილი არ დაურჩება პიესების დამახინჯებას და მუშა მშრომლებიც მეტი ხალისით დაესწრებიან წარმოდგენებს.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს ოთხნახევარ საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი“-ს მუშკორთა

მორიგი კრება

კრებაზე დასწრება მუშკორებისთვის სავალდებულოა.

რა მიზეზია?

(მელითონეთა კავშირის კულტგანის საყურადღებოდ).

როგორც მკითხველებს მოეხსენება, მუშათა ცენტრალურ კლუბში არსებობდა მელითონეთა კავშირის პროფტეხნიკური კურსები, სადაც მთელი წლის განმავლობაში მეცადინეობდნენ ქარხანა-სახელოსნოებიდან წარმოგზავნილი მუშები: მელითონეები, რკინისგზელები, ტრამვაელები, ტრანსპორტელები; მსმენელებს უნდა დაესრულებიათ კურსი ოქტომბრის დღესასწაულებისათვის, და, როგორც კვალიფიციურ მუშებს, მიეღოთ უმაღლესი ტეხნიკური სწავლა. ივნისის აქეთ კურსები დაიკეტა და მუშები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი არიან. მათ ბინა არ აქვთ და მუშები სწავლას სცდებიან. მათ სწყურიათ მეცადინეობა და უბინაობა ხელს უშლის. რა მიზეზია?

ჩვენი მოვალეობაა კურსებს მივსცეთ საშუალება მეცადინეობისა.

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას მართებს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

მუშკორი მელითონე.

მუშები წითელარმიელის დასაფლავებაზე

ხუთშაბათს, 25 სექტემბერს, სოფ. წაღვერში თბილისიდან ჩამოასვენეს და თავის სოფელ კიმოთეს უბანში დაასაფლავეს ტრაგიკულად დაღუპული თბილისში კომკავშირის წევრი—მიშა ლომიძე, რომელიც საქართველოს წითელ არმიაში მსახურობდა. ის შეიქნა მსხვერპლი უცაბედათ მის მიერ ნაპოვნი ხელის ყუმბარისა, რომელიც მას ეპოვნა ვერაზე და ხელში აღების დროს აფეთქებულიყო.

წაღვერის დასასვენებელ სახლებში მყოფნი მუშები მის დასაფლავებას მთლიანად დაესწრენ და ის მიაცილეს სოფ. კიმოთეს უბანში, რომლის დროსაც მის საფლავზე წარმოითქვა მხურვალე სიტყვები ამხანაგების მიერ. კუბოს ამშვენებდა ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინი და შავ ტილოზე სამგლოვიარო წარწერა. აგრეთვე ჩვენ მიერ შეგროვილ იქნა მცირე თანხა, რომელიც გადაეცა მიშა ლომიძის მშობლებს.

დასასვენებელ სახლებში მყოფ მუშა-მოსამსახურეების მიერ დასაფლავებაზე დასწრებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა სოფ. კიმოთეს უბნის მშრომელ გლეხობაზე.

მუშკორი ყანი.

მიხედეთ ავლაბარსაც!

(სახგანკომის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ავლაბრის მოსახლეობა უმეტეს-ნაწილად მუშა-მოსამსახურეებისაგან შესდგება. აქ კი არ არსებობს არავითარი კულტურული გასართობები. გარდა ერთი პროექტორისა, რაც ვერ აკმაყოფილებს მათ დაღლილ-დაქანცულ გონებას. მუშებს სწყურიათ შეიძინონ ცოტა რამ გონებრივი განვითარებისათვის. მის საშუალება მათ არა აქვთ. ამ რაიონში კი არსებობს ბლომად სამიკიტნოები, რაც გამანადგურებელია მუშის გონებისა; რომ ასცდენ ამ უბედურებას მუშები და მიიღონ განვითარება, ამისათვის საჭიროა სხვათა შორის თეატრი რასაც არავითარი ხარჯი და აშენება არ სჭირია. ავლაბრის ერთ-ერთ კუთხეში არსებობს ახლად შეკეთებული მშვენიერი თეატრი, სადაც ყოველთვის მიდიოდა ქართული და სომხური წარმოდგენები. მაგრამ აგერ უკვე ორი თვეა, რაც რაღაც მიზეზების გამო დაბეჭდეს ეს თეატრი და წარმოდგენები აღარ მიდის. ამავე თეატრის კუთხეში არსებობს მე-3 რაიონის ახალი კომკავშირის კლუბი, სადაც არის სომხური, ქართული და რუსული დრამწრეები. ის ამხანაგები ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას ეწევიან, ამზადებენ პიესებს; უკვე აქვთ რამოდენიმე მომზადებული პიესები. მაგრამ ამაოდ, სცენის უქონლობის გამო ამხანაგები დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამისათვის მე-3 რაიონის ახლენკომკავშირის სახელით მოგმართავთ თქვენ ვისგანაც ჯერ არს დაგვითმოთ ეს თეატრი.

მუშკორი კომკავშირელი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-სადგური.

ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის და მენშევიკების დროსაც იყო პროექტი წარმოყენებული ამ ალაგას ასეთი სადგურის აშენების შესახებ, მაგრამ ყოველივე ის ისევ პროექტად დარჩა. მისი სინამდვილეში მოყვანა და განხორციელება შესძლო მხოლოდ და მხოლოდ მუშურ-გლეხურმა წითელმა მთავრობამ. ამ საქმის წინაშე ჩაბმულმა ქალაქის ალმასკომმა საძირკველი ჩაუყარა 1921 წელს მას, სადაც დღეს მუშაობს დაახლოებით 700—800 კაცამდე, და მართლაც, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების ძალა გიგანტიურია, ამას ამტკიცებს ეს ფრიად მნიშვნელოვანი დიადი საქმიანობა. ამ სადგურის არხის სიგრძე გადაჭიმულია დაახლოებით სამნახევარი ვერსის მანძილზე, რომლის სიღრმე იქნება სამი საჟენი.

დამოკიდებულება მუშებსა და ადმინისტრაციას შორის არის დამაკმაყოფილებელი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებაში არის დაბრკოლება მასალების თავის დროზე უქონლობის გამო, მაგრამ ამას მალე არ ექნება ადგილი და ამ მოკლე ხანში მთელს ქალაქს და მის მიდამოებს გაანათებს ავჭალის ჰიდროსადგური.

ინჟ. ჰარნაბი.

ასჯერ დაიწერა, ერთხელ მაინც გაიგონეთ

(პროკურატურის საყურადღებოდ)

არა ერთხელ ყოფილა ჩვენ პრესაში დაწერილი ეკატერინა კაუფმანის გმირობაზე ბათომის ქუჩაზე მდებარე სახლის № 8, სადაც სცხოვრობენ მუშა-მოსამსახურეები, მაგრამ მის ამ ეზოდან გაძევებას არაფერი არ ეშველა, ის ძველებურად განაგრძობს თავის ბნელ საქმეებს, რომელიც გამოიხატება მდგმურების ლანძღვა-გინებაში. თავის პირად ინტერესებისათვის ის არაფერს არ ერიდება, რომ რამე ავნოს ადამიანს. ის დასცინის ჩვენს პრესას „რამდენიც გინდათ სწერეთ, მე ვერავინ ვერას მიზამსო“—ასე ბრძანებს ქალბატონი კაუფმანი. მისი შვილი ვოლდემარ კაუფმანი მდგმურებს შავ-რაზმელებს უწოდებს, როდესაც ის თვითონ წარსულში შავრაზმელთა ლაშქარში მოხალისედ მსახურობდა. დენიკინის ლაშქარი, ინგლისელების და გერმანელების იმპერიალისტური ჯარი—აი სად ბრძანდებოდა მოქ. ვოლდემარ კაუფმანი 1917 წ. საქართველოს გასაბჭოებამდე. პროკურატურამ ამას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და ერთხელ და სამუდამოდ უნდა ბლგავოს ეს ვაჟბატონი აქედან.

მუშკ. ელდორადო.

სადილს გვაჭმევენ თუ ბუზებს?!

(პროფ-კავშირთა საბჭოს საყურადღებოდ)

შაბათს, 27 სექტემბერს პირველ ინტერნაციონალის 60 წლის აღსანიშნავი დემონსტრაციის შემდეგ „კინო-პალასის“ ოთხი მუშა შევიდა კ. მ. კლუბის ბუფეტში სასადილოდ. რასაკვირველია, პირველ კერძად მუშებს მოუტანეს ბორში, მეორედ „კატლეტი“. აქ უნდა ითქვას შემდეგი: ჯერ ერთი, რომ ვიდრე „კატლეტი“ „მოიწვებოდა“ თითქმის ნახევარ საათზე მეტი გავიდა; შემდეგ კი, როდესაც მოგვიტანეს „კატლეტი“, აღმოჩნდა, რომ იგი იყო ძველი,—შიგ ხორცის გული ცივი და მოხარშულ ბუზებით სავსე.

გასაკვირალია, თუ ბუფეტის გამგე რად აგვიანებდა მეორე კერძის მოწოდებას, თუ კი იგი ძველი იყო? გასაკვირია ისიც, რატომ კლუბის გამგეობა, ანუ ადგილკომი არ აქცევს ყურადღებას თავგასულ „ბუფეტჩიკებს“ რომ დაღლილ მუშებს, არ გაუმასპინძლდენ ბუზებით „მოწამლულ“ ხორცით. ადგილკომმო, საჭიროა კარგი ცოცხი!

მუშკორი გ. მ—შვილი.

დიდი უწესობაა თბილისის სადგურზე.

თბილისის სადგური გარდა მგზავრებისა გადაქცეულა რაღაცა ბრბოს სათარეშოდ. რა ჯურის ხალხს არ გინდათ, რომ აქ არ შეხვდეთ, რადგანაც ერთად ერთი ადგილია ქურდობისათვის მოხერხებული, განსაკუთრებით მატარებლების მიმოსვლის დროს. ოდნავ გაჩერებისთანავე ვაგონები ივსება სხვადასხვა საეჭვო პირებით, ნივთებს დაუკითხავად იტაცებენ ყოველ მხრიდან.

მგზავრს დიდი გამოცდილება და სიფხიზლე სჭირია, რომ არაფერი მოჰპარონ ერთმანეთში ისინი განგებ ჩხუბსაც ასტეხენ ხოლმე, რომ ამით ისარგებლონ. გადმოხვალ როგორმე მატარებლიდან. აქ—სხვა მწკრივი შეგხვდებათ და ატანენ ნივთებს ხელებს. ასე ბოლომდის, ვიდრე გახვალ გზა მშვიდობას. იქ შეხვდებით თვალცრემლიან გულუბრყვილო მგზავრებს, რომლებიც ეძებენ მუშებს, ვისაც გაატანეს ნივთები. ნუ თუ არ შეიძლება ამის მოწესრიგება და ქურდების ალაგმვა?

მუშკორი აკოსტა.

სხვადასხვა

(ჩვენი მუშათა ცხოვრებიდან).

— ელექტრო-სადგურის შეკეთება. კინო-პალასის ელექტრო-სადგურის თვითმოძრავი მანქანის ზოგიერთ ნაწილები შეკეთდა, რომელზედაც დაიხარჯა დაახლოვებით 200 მანეთამდის.

— **ელექტრონის მანქანა პატარაა.** კინო-პალასის ელექტრო-სადგურის მანქანა პატარაა და კინოს უმეტესი ნაწილი თითქმის სიბნელეში იმყოფება. გარდა ამისა კინოს აქვს ერთი მანქანა, რომელიც გამუდმებით მუშაობს. ყოველ წუთს მოსალოდნელია მისი გაჩერებაც, ამისათვის საჭიროა რაიმე ზომების მიღება.

— **კინოსათვის მეტი განათება.** კინო-პალასის გამგეობამ დაადგინა, რომ კინოს მიეცეს მეტი განათება, ვინაიდან ასეთი მას ამ ჟამად ნაკლებად აქვს.

— **სადგურის სახურავი არ ვარგა.** კინო-პალასის ელექტრო-სადგურის სახურავის უმეტესი ადგილიდან წვიმა ჩამოდის, მეტადრე შუა ადგილას. ნუ თუ ამას შეკეთება არ სჭირდება?!

— **უბედურების წინაშე.** კინო-პალასის დარბაზის შუა ადგილი თითქმის (ნახევარი არშინი) ჩამოწოლილია და ადვილად შესაძლებელია მუშაობის დროს, როდესაც დარბაზი სავსე არის დამსწრე ხალხით, უბედური შემთხვევა მოხდეს. ამისათვის საჭიროა სასწრაფო ზომები იქნას მიღებული პროფკავშირის მიერ.

— **კინოს სახურავიც დაზიანებულია.** კინო-პალასის სახურავი დიდი ხანია კეთდება. დღესაც კი „კროულჩიკი“ მუშაობს, მაგრამ წვიმის დროს კინოს ზიანი მოსდის. წვიმა ჩამოდის და ჭერის მშვენიერი დახატული ნაწილები ძირს ეცემა. საჭიროა მისი სასწრაფოდ შეკეთება [illegible] და არა „ფინა-ჩურალ“.

— **ახალი გამგე.** კინო-პალასში დაინიშნა პროფკავშირის მიერ ახალი გამგე, მუშა ამხ. ს. პეტრიკინი, რომელზედაც შეიძლება დიდი იმედების დამყარება წარმოების მხრივ.

— **ელექტრო-სადგურის შეკეთება.** „კინო-აპოლოს“ ელექტრო-სადგურის თვითმოძრავი მანქანის დიდი ნაწილი დაზიანებულია და სახ. კინო-წარმოების მიერ გამოიყო კომისია, რომელმაც ამ დღეებში დაათვალიერა ელექტრო-სადგური და გადასწყვიტა მისი შეკეთება.

მუშკორი გ. მ.—შვილი.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **რკინისგზელ ავადმყოფებს.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა ადგილკომის შრომის დაცვის კომისიამ მიმართა რკ. გზ. საავადმყოფოს ადმინისტრაციას გასცეს ავადმყოფებს საზამთრო [illegible] და ხალათები.

— **დელეგატად აირჩიეს.** ა|კ. რკინისგზელთა მე 5 ყრილობაზე ამხ. ლენინის სახ. მე 6 სალიანდაგო სამსახურის მუშათა საერთო კრებამ დელეგატად აირჩია ამხ. სარდლიშვილი.

— **შენობა ფსიქო-ტეხნიკურ ლაბორატორიისათვის.** ა|კ. საუბნო პროფკავშირმა გადასცა ფსიქო-ტეხნიკურ ლაბორატორიას შენობად თბ. დეპოს მუშათა სასადილოს ბინა. სასადილო გადატანილი იქნება სხვა შენობაში.

— **იზრდება კავშირი.** ამხ. ლენინის სახ. სალიანდაგო სამს. მე 6 უბნის ადგილკომის დელეგატების კრებამ კავშირში ჩარიცხა 20 [illegible]

— **საცვლები და ხალათები.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშათა ადგილკომმა მიმართა ადმინისტრაციას გასცეს რკ. გზ. საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას საჭირო საცვლები და ხალათები.

— **შეშა მუშებს.** თბ. საუბ. პროფკავშირი შუამდგომლობს მატერიალურსა და სატყეო სამსახურების წინაშე, რათა რკ. გზელ მუშა მოსამსახურეთ შეშა მიეცეთ 20 პროც. დაკლებით.

— **ქალთა მუშაობა.** როგორც თბ. კვანძის საექიმო დარგის საუბნო კომიტეტის ადგილკომის ანგარიშიდან სჩანს, 4 თვის განმავლობაში მუშა-მოსამსახურე ქალთა საერთო კრებები ყოფილა 4 ჯერ, დელეგატური კი 8 ჯერ.

— **ტ|კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.** ამხ. ლენინის სახ. სალიან. სამს. მე 6 უბნის ადგილკომი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ აარსებს პირველ და მეორე საფეხურიან შრომის სკოლებს.

— **5 მუშფაკელისათვის..** თბ. საუბ. პროფკავშირი შუამდგომლობს რკ. გზ. დაწესებულება-წარმოებებთან, რათა 5 მუშფაკელს, რომლებიც ეხლა ხაზზე მუშაობენ, მიეცეთ სამსახური თბილისში, რკ. გზ. დაწესებულებებში.

— **საშეფო სოფელს.** თბ. კვანძის საექიმო დარგის უბკომის ადგილკომმა გაგზავნა საშეფო სოფელ ხიდისთავში 100-ზე მეტი წიგნი.

— **პოლიტწრე.** ამხ. ლენინის სახ. სალიანდაგო სამს. მე-6—უბნის ადგილკომის კულტკომისია აარსებს პოლიტწრეს მუშებისათვის.

— **სკოლის შენობის დამთავრება.** თბ. საუბ. პროფკავშირმა დაავალა კულტ-განყოფილებას დაასრულოს სად. გორში რკ. გზ. სკოლის შენობის აგება.

— **მომვლელ ქალების შტატი.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა ადგილკომმა საჭიროდ სცნო რკ. გზ. საავადმყოფოს კლინიკაში მომვლელ ქალების შტატის გადიდება.

— **ახალი წიგნები.** „ზაკტპო“-ს ადგილკომმა ახლად მოწყობილ „ლენინის კუთხისათვის“ შეიძინა 100-ზე მეტი ქართულ-რუსული წიგნი.

— **გაერთიანებული კუთხე.** „ზაკცეპს“ ადგილკომმა მოაწყო გაერთიანებული კუთხე „რემედასის“, „ქიმიის საზოგადოების“ და „საჰაერო ფლოტისა“.

ახალი საბინაო ამხანაგობები

ქალაქის ალმასკომის საბინაო კოოპერაციის ქვე-განყოფილებამ კომუნალური მეურნეობის [illegible] კოლეგიას დასამტკიცებლათ წარუდგინა შემდეგი საბინაო ამხანაგობების წესდება:

1) ნორიოს აღმართისა და უფლისციხის ქუჩის კუთხეში მდებარე სახლი (უნომრო).

2) კომუნალური შეხვევისა და სუკსარქისის ქუჩის კუთხეში მდებარე სახლი № 11|50.

3) მახათის შეს. და ბეგლაროვის ქუჩის კუთხეში მდებარე სახლი № 1|2.

4) თუმანოვის 2-ე ქუჩაზე მდებარე სახლი № 16 დ.

5) [illegible] მეორე ჩიხში მდებარე სახლი № 7.

პროვინციაში

ფოთის ალმასკომის აღმშენებლობითი მუშაობა

არც თვითმპყრობელობის, არც მენშევიკების დროს ქალაქს არ ჰყავდა ისეთი გულშემატკივარი პატრონი, რომ რამე გაეკეთებია, და თუ რამე გააკეთეს ამ ხნის განმავლობაში, იგიც არა ხალხის სასარგებლოდ, არამედ ჯიბის გასასქელებელი და ხალხის მოსატყუებელი.

ათასობით და ათი-ათასობით იხარჯებოდა ფული ეკლესიის ასაშენებლად ქალაქის ცენტრში იმ დროს, როდესაც ხალხს არ ჰქონდა გზა და ცოტა წვიმის შემდეგ მუხლამდის წყალში იარებოდა.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლებისა, თუმცაღა ქალაქი დარჩა გაძარცული თუ რამე გაჩნდა დაიტაცეს მენშევიკებმა გაქცევის დროს, მაგრამ ხელისუფლება ენერგიულად შეუდგა მუშაობას: შეაკეთა გზები, ხიდები ქალაქში, სასწავლებლები და სხვა ბევრი რამ.

მაგრამ უფრო აღსანიშნავია ეხლანდელი მუშაობა ალმასკომისა.

დღეს კეთდება ის, რაც სხვა დროს არ გაკეთებულა: კეთდება ხიდი რიონის ჩრდილოეთ შტოზე, რომელიც აერთიანებს ქალაქს და დიდ კუნძულს ნავთსადგურთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის, მუშა-მოსამსახურეებისათვის და მგზავრებისათვის და სხვ. კეთდება ქალაქის ბაღი, კეთდება საუკეთესო გზა ქალაქში, შენდება აეროდრომი ჰაეროპლანებისათვის.

მიღებულია ზომები აგრეთვე ქუჩების გასაკეთებლად, რომლებიც ძლიერ გაფუჭებულია. ამ მიზნით გადადებულია სპეციალური თანხები. ახლო მომავალში, სულ ერთი თვეში, დაიწყება მუშაობა. თუ ავდარმა არ შეუშალა ხელი.

ასეთ აღმშენებლობით მუშაობას აწარმოებს ფოთის ალმასკომი.

ნ. ფ—ძე.

სოფ. ნაგუთნი, ფიჯიანი და მეტეხი

(ცხინვალის რაიონი, ოქიანის თემი)

ამ სოფლების მცხოვრებთ, მიწის სიმცირის გამო, თითქმის მთელი წლის განმავლობაში უხდებათ შრომა, მაგრამ სარჩო მაინც საკმაო იშვიათათ მოუდით, რის გამო ძლიერ სიღარიბეს განიცდიან.

მორჩებიან რა ნათესების მოვლა-შენახვას, იძულებული არიან წავიდნენ სხვაგან სამუშაოდ, რათა სიმშილით არ ამოუწყდეთ ოჯახი. ასე, რომ აქაური გლეხი მთელი 12 თვის განმავლობაში ქედ-წახრილი შრომას სწევს. არის ხოლმე ხშირი შემთხვევა, რომ ძლიერი ავდრის დროს ვაიძრება—ნაწელგულარა მთელი ნადაგნაშრომი და ნიაღვარს მიაქვს. თუ ამას გადაურჩა მოსავალი მას მხეცისაგან მოელის საშიშროება. ყანებს ბარად მაჩვი ანადგურებს და მთებში დათვი, რის გამო დაღლილ-დაქანცულ გლეხს უხდება ყარაულობა მთელ ღამობით. როგორია მათი კულტურული მდგომარეობა?

დღემდის განსაკუთრებით ამ ხალხს არავითარი სკოლისეური არ გააჩნდათ სოფელში.

თუ ვინმე გამოჩნდებოდა მსურველი, თავის ბავშვისათვის ესწავლებინა, იძულებული იყო გაეგზავნა ცხინვალში, რომელიც დაშორებულია სოფლებს 12—15 ვერსით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლიდანვე დაარსდა ამ სოფლებში სკოლები, ყველას სურვილი ჰქონდა თავისი შვილებისათვის ესწავლებინა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სკოლები დაიხურა. პოლიტიკური წიგნები და გაზეთები აქ არ მოდის.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სოფელს.

მუშკორი ი. გაგიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭალადიდის თემი (სენაკის მაზრა)

ჭალადიდის თემი იყოფა ორ ნაწილად: ქვემო და ზემო ჭალადიდი. უკანასკნელს უვლის რკინის გზა და ამიტომ უკეთეს პირობებშია სხვადასხვა სავაჭრო პუნქტებთან დამოკიდებულებაში, ვიდრე ქვემო ჭალადიდი, რომელიც ძლიერ დაშორებულია სავაჭრო პუნქტებს. თვით თემში კი არ არსებობს არც ერთი სავაჭრო დუქანი, კერძო თუ კოოპერატიული. სოფელი ჩავარდნილია ფეხზე მოვაჭრე სპეკულიანტების, ხელში, რომელნიც ტყავს აძრობენ მშრომელ ხალხს. ბოლოს დაბოლოს სენაკის კოოპერატივმა რაიკავშირმა უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება ამ თემს და მშრომელ გლეხობის აქტიური მონაწილეობით გახსნას იქ კოოპერატივი. უამისოთ ჭალადიდის ღარიბი მოსახლეობა ვერ ეღირსება იმ შეღავათებს, რომლითაც სარგებლობენ ცენტრებთან ახლო მდებარე თემები.

ჭალადიდის თემი ცნობილია როგორც მეტად ჭაობიანი ადგილი, გავრცელებულია საშინელი ციებ-ცხელება. ეხლა მიმდინარეობს ჭაობის ამოშრობა ფოთი-ჭალადიდი-[illegible] მასშტაბით. ცხადია ეს ზომა გააბედნიერებს გლეხობას. ისე კი თემს ესაჭიროება ყველაზე მეტი დახმარება მედიკამენტებით. აქ არ არის აფთიაქი, არც ექიმი, არის მხოლოდ ფერშალი და ვინ იცის რამდენი მშრომელი ესალმება წუთისოფელს უექიმოთ და უწამლოთ. ქ. სენაკში ავადმყოფის ჩაყვანა და იქაურ აფთიაქებში წამლების შოვნა ძლიერ უჭირს გლეხს, რადგანაც თემი მოშორებულია სენაკს 15—20 ვერსით. საჭიროა მიექცეს დიდი ყურადღება ამ მხრივ ჭალადიდის თემს. ხოლო, რადგანაც ამ თემში დიდათ მოკიდებული აქვს ფეხი ციებ-ცხელებას, საჭიროა მივაწოდოთ დიდძალი ქინაქინი უფასოთ. სამალარიო ექსპედიციამ და წ. ჯვარმა ამას მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს.

სწავლა-განათლების მხრივ აქ არც ისე სახეიროდ სდგას საქმე. მართალია ამავე თემში არსებობს შვიდამდი ოთხწლიანი და ერთი შვიდწლიანი სკოლა, მაგრამ მასწავლებელთა სიმცირე ცუდ გავლენას ახდენს სწავლის მსვლელობაზე, რადგანაც ოთხი ჯგუფი აბარია ერთ მასწავლებელს, როგორც მაგ. ამავე თემის სალვამიჩაოს სკოლაში. განათლების ორგანოებმა ამას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება.

შინა-მრეწველობაში ჭალადიდის თემი შეიძლება პირველ ადგილზე დავაყენოთ. აქ ნახავთ სოფლის მშრომელ ქალებს, რომელნიც ბეჯითად ქსოვენ ოჯახურ მოთხოვნილებისათვის ჩოხებს. აქვე მზადდება ბაზარზე გასასაღებლად ჭილოფები, რომელთაც ქსოვენ კერძო ოჯახები. ამ საქმეში კი უფრო სასურველი იყო გაერთიანება. ეს მეტ მოგებას მისცემდა მშრომელ ხალხს.

ბ. უ-ნე-ლი.

პროვინციის ქრონიკა

— **გერმანელების გლეხკომი.** ლიუქსემბურგის გერმანელთა ახალშენის გლეხკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს კანალიზაცია, ააგოს ხიდები და შეაკეთოს ყველა დაზიანებული გზები.

— **ქალები გლეხკომებში.** ახალქალაქის მაზრაში გლეხკომების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალებიც.

— **დასახიჩრებულთა არტელები.** ახალქალაქის მაზრაში ამ ჟამად ეწყობა დასახიჩრებულთა არტელები.

— **იაფი წამლები გლეხებისათვის.** ახალქალაქის მაზრის ღარიბი მოსახლეობის და ინვალიდების საჭიროებისათვის, სამაზრო გლეხკომმა ხელშეკრულება დასდო საბჭოთა აფთიაქთან, წამლების მეოთხედ ფასათ დათმობის შესახებ.

— **მერძევეთა ამხანაგობა.** სოფელ მცხეთაში დაარსდა გლეხ მერძევეთა ამხანაგობა.

ბიბლიოგრაფია

„ახალი სკოლისაკენ“

სახალხო განათლების კომისარიატის ერთვიური პედაგოგიური ჟურნალი

№ 2—3

სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი 1924 წ. 400 გვერდი.

როგორც სარედაქციო კოლეგიის განცხადებიდან სჩანს, ჟურნალის მიზანი იყო, რომ იგი „სასკოლო ცხოვრების და საჭირბოროტო საკითხების ცოცხალ ანარეკლად ქცეულიყო“. სარედაქციო კოლეგიას მიაჩნია, რომ ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა და იმედს გამოსთქვამს, რომ „იქნებ შემდგომის ნომრისათვის მაინც მიეცემა ცოცხალი ადგილობრივი მასალის შეკრება“-ო. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კოლეგიას, რომ ჟურნალს მართლაც „თბილისიდან სოფლისაკენ“ მიმართული ხასიათი აქვს.

ჟურნალში მოთავსებულია წერილები, რომელთა მიზანს შეადგენს საქართველოს შრომის შკოლის კონკრეტიული შესწავლა. გამონაკლისს წარმოადგენს რამოდენიმე წერილი პროფ. პეტრე მელიქიშვილის იუბილესთან დაკავშირებული. პირველი ამათი წერილი ეკუთვნის ალ. მიქაბერიძეს და შეიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს და თავდება უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ ზეიმის აღწერით. მეორე წერილი რ. ნიკოლაძე პოლიევქტოვისა ახასიათებს პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობას საქართველოში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ორივე წერილს დაგვიანებული რევერანსის და საზოგადოებრივი მოვალეობის ოფიციალურ მოხდის იერი არ ჰქონდეს. საკვირველია რ. ნიკოლაძე პოლიევქტოვას წერილში ადგილი: „ღმერთმა მისი (ე. ი. იუბილიარის) თავი გვიდღეგრძელოს მრავალ და მრავალ წელს“. (გვ. 31) სადღეგრძელოს სტილს რომ თავი დავანებოთ, გაუგებარი რჩება მამა ღმერთის ტოლუმბაშობა: „ახალ სკოლისაკენ“ გზა, მგონი, „ღმერთი“-ს სადგურზე გავლით არ უნდა მიდიოდეს! ამ „წვრილმანისათვის“ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია, რომ ავტორი ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი და გამგე არ იყოს.

გამონაკლისს საერთო ტონიდან შეადგენს აგრეთვე დამსახურებული პროფ. პეტრე მელიქიშვილის წერილი „მეცნიერება და მეურნეობა“, სადაც ავტორი ჩვეულებრივის ენტუზიაზმით მიუთითებს მეცნიერების მიღწევათა გამოყენებაზე სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. კერძოთ მისი სურვილია, „რომ ჩვენმა პატარა მამულმა აიღოს მაგალითი განათლებულ ხალხებისაგან და გამოიყვანოს ჩვენი მეურნეობა იმ თითქმის პირველყოფილ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის დღეს იმყოფება“. (გვ. 13).

პედაგოგიურ წერილთა შორის თვალსაჩინოა მარიამ ორახელაშვილის წერილი „ჩვენი მასიური სკოლის შესახებ“, რომელიც წაკითხული იყო განათლების მუშაკთა კონფერენციაზე თებერვალში 1924 წელს და დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი და ცოცხალი აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგნად იქცა ფრიად დროული და შესაფერი ერუდიციით დაწერილი დოცენტ ნ. იოსელიანის წერილი „სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ საქართველოში“, ავტორი ენერგიულად იცავს იდეას, რომ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება უნდა დაუკავშირდეს ამ ცოდნის გლეხურ ფართო მასებში გატანას და ამის მთელ გეგმას იძლევა. ავტორიმტერია მოხელე მეურნეების მომზადების და საჭიროდ მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო სკოლების გვერდით მოეწყოს საგლეხო ზამთრის კურსები.

ასეთივე ძირითად საკითხებს ეხება წერილები: „საზოგადოებათ მეცნიერება მეორე საფეხურში“ გ. ნათაძისა, „გეოგრაფიის სწავლების შესახებ“ თ. ბებურიშვილისა, „ბავშვთა ფსიქოლოგიური დაკვირვება სკოლაში“ პროფ. დ. უზნაძისა, „თამაშის შესახებ შრომის სკოლაში“ რ. ნიკოლაძე პოლიევქტოვისა. საინტერესო საკითხია წამოყენებული ზეპირითვლის შესახებ წერილში „ჩვენი ზეპირი თვლის შესახებ“ რ. და გ. ნიკოლაძეებისა. საკითხი ოცობით თუ ათობით თვლის შესახებ ერთხელაც არის უნდა გადიქცეს საბოლოო მსჯელობის საგნად. არის კიდევ მთელი რიგი საინტერესო წერილებისა პრაქტიკულ პედაგოგიკიდან.

წერილებს შემდეგ მიდის სხვა და სხვა დაწესებულებათა აღწერა, რომელსაც გაუგებარია რა მოსაზრებით „ქრონიკის“ განყოფილება ეწოდება. „ქრონიკაში“ მოთავსებულია სხვათა შორის ი. მელიქ შახ-ნაზაროვის მოხსენება, წაკითხული თბილისის განათლების მუშაკთა სახლში. მოხსენება სჩანს რუსულიდან ნათარგმნი უნდა იყოს; თარგმანის ენა მძიმეა და ხშირად არა ქართული.

მაგ. „ცენტრალური ინსტიტუტი შრომისა“ ქართული არაა; უნდა იყოს „შრომის ცენტრალური ინსტიტუტი“. სიმძიმის მაგალითი: „ციში (ე. ი. შრომის ცენტრალური ინსტიტუტი) თავის მუშაობას არ ჰხრის (sic!) კლასიური მიმართულებით რუსეთის სინამდვილის თავისებურ სოციალ-პოლიტიკურ პირობათა ძალით (?!), რომელთა მიხედვითაც არ შეიძლება იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევა გამოყენებულ იქნას ბურჟუაზიის პრაქტიკულ ინტერესებისათვის“. მართალია, როგორც სარედაქციო კოლეგია აღნიშნავს, ეს ჟურნალი „თბილისიდან სოფლისაკენაა მიმართული“, მაგრამ, იგი „სოფლისათვისაც“ უნდა იყოს და ნუ გაუკვირდება კოლეგიას, თუ ასეთი ნაწერით მან სოფელთან კავშირის გაბმა ვერ მოახერხოს.

მიუხედავად აღნიშნული სარედაქციო დეფექტებისა, ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“ მაინც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მარტო ის რად ღირს, რომ ქართულ პედაგოგიურ აზრს და პრაქტიკას ვეებერთელა, დიდტანიანი ჟურნალი გააჩნია აზრისა და დაკვირვების გაცვლა-გამოცვლასა და გადახალისებისათვის. ეს ერთი დიდი გამარჯვებათაგანია კულტურულ ფრონტზე და ყველა განათლების მუშაკთა და ქართულ კულტურის მეგობართა თანაგრძნობის ღირსია ამ საქმის ინიციატორები—განათლების კომისარიატის ხელმძღვანელნი. იგივე უნდა ითქვას საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მიმართაც, რომელმაც ჟურნალი ასე მოხდენილად გამოსცა და ისეთი იაფი საფასურის წყალობით, როგორიცაა ერთი მანეთი ოთხას გვერდიან წიგნისათვის, იგი ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

შ. ნ.

მასწავლებლის ხმა

ამხანაგო რედაქტორო!

ავადმყოფობამ ღონისძიება არ მომცა მასწავლებელთა კრებას დავსწრებოდი და მონაწილეობა მიმეღო იმ რეზოლიუციის შემუშავებაში, რომელიც გამოტანილ იქნა საქართველოში მოსდარ უკანასკნელ გამოსვლების გამო.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით შეუერთო ჩემი ხმა მასწავლებლობის ხმას და ამასთანავე ვისარგებლო შემთხვევით და დავსძინო შემდეგი: 1921 წლის შემდეგ საბოლოოდ გავსწყვიტე ყოველგვარი კავშირი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან და უკვე 2 ნახევ. წელიწადია, რაც საბჭოთა პლატფორმის ნიადაგზე ვმუშაობ როგორც სახალხო განათლების სარბიელზე, ისე საზოგადოდ კულტურულ ფრონტის გასამაგრებლად საქ. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაში. რაც შემეძლო, ის გავაკეთე და საამისოდ ძალღონე არ დამიზოგნია, რადგან მწამდა, რომ ჩემი მცირე შრომა ერთ პატარა აგურად მაინც გამოდგებოდა იმ შენობისათვის, რომლის თანდათანი აგება ამჟამად ჩვენს თვალწინ სწარმოებს. ჩემს ძალ-ღონეს არც შემდეგ დავიშურებ და ხელს შეუწყობ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას იმ დარგში, სადაც ჩემთვის განსაზღვრული ადგილი მოუზომნია ჩემს მომზადებასა თუ უნარს.

ღრმად მწამს, რომ მშრომელი ხალხის მომავლისათვის, შრომის მეუფების დამკვიდრებისათვის კულტურულ ნიადაგზე მუშაობა უძლიერესი და უბასრესი იარაღია; ამიტომ საამისოდ მომზადებულთა ძოვალეობაა მთელის თავის ძალღონით გვერდში ამოუდგნენ საბჭოთა ხელისუფლებას კულტურულ ღირებულებათა შესაქმნელად და შრომის ბატონობის დასამყარებლად.

ვასილ ეგნატაშვილი.

ყოფილ „სახალხო გვარდიელების“ განცხადება

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოგვცეთ საშუალება გაზ. „კომუნისტის“ საშუალებით განვაცხადოთ შემდეგი:

1918 წლიდან 1920 წლამდე ჩვენ ვირიცხებოდით მენშევიკურ პარტიაში, და ამავე დროს ვიყავით სახ. გვარდიელები. ჩვენ როგორც მუშებს, გვეგონა ამით ვემსახურებოდით მშრომელ ხალხს. გასაბჭოების შემდეგ ჩვენ ჩამოვშორდით მენშევიკურ პარტიას და თვალყურს ვადევნებდით საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას და დავრწმუნდით, რომ მუშათა ხელისუფლება სდგას სწორ გზაზე. ვსთვლით უკანასკნელ გამოსვლებს ავანტიურათ და უერთდებით ყოფილ მენშევიკების განცხადებას.

ამავე დროს ვაცხადებთ, რომ ჩვენ გასაბჭოების შემდეგ არავითარი მუშაობა არ გვიწარმოებია მენშევიკურ პარტიაში.

ვალიკო ყიფიანი.
ბეჟან გოცირიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, ოთხშაბათს 1 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე გაიმართება **საერთო-სარაიონო პარტიული კრება** ნაძალადევის თეატრში.

დღის წესრიგშია: ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება „მენშევიკური ავანტიურის შედეგების შესახებ“.

ლენინის რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის მდივანი **გოლდბაუმი.**

— საქ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის **თბილისის კომიტეტი** აუწყებს ტფილისის კომიტეტის ყველა წევრებს და კანდიდატებს რაიკომების, იაჩეიკების ბიუროების მდივნებს და წევრებს, იაჩეიკების ინსტრუქტორებს, რომ დღეს, ოთხშაბათს 1 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე საბჭ. მოსამსახურეების კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება საქ. ახალგ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის **აქტივისტების კრება.**

დღის წესრიგში: პროფ. ანულოვის მოხსენება ჩინეთის ამბების შესახებ.

საქ. ახალგ. ლენინელთა კომკავშ. ტფილისის კომიტეტის მდივანი—მეტონიძე

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. აღლაძეს და ოგანეზოვს გამოცხადდენ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში საამშენებლო დარგში მომუშავეთა იაჩეიკასთან მისამაგრებლათ.

პასუხისმგებელი მდივანი—გ. სტურუა

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აუწყებს, რომ 1 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე გაიმართება ქალაქის რაიონის იაჩეიკების მდივანთა თათბირი.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

— 1 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში გაიმართება დელეგატ ქალების საზეიმო სხდომა ქ. ტფილისის მუშა ქალთა და დიასახლისების თანდასწრებით, კომინტერნის აღმასკომის წევრის ქალთა კომუნისტურ მოძრაობის ბელადის ამხ. კლარა ცეტკინის ჩამოსვლის გამო

ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფ. გამგე ო. კიდაიში.

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს მუშფაკის ყველა მსმენელებს და სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებს მოიხსნან ყველა იაჩეიკებიდან, სადაც არ უნდა იმყოფებოდენ და ქალაქის რაიკომის საშუალებით ერთ კვირის განმავლობაში მიემაგრონ სახ. პოლიტიკურ ინსტიტუტის იაჩეიკას.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: 1) იაკობ პოლიევს, 2) გაიკ [ავეტიანცს, 3) ნიკოლოზ ბუცოვს, 4) ივანე ისააკინს, 5) გერმან სადლოვსკის, 6) ნიკ. ბაბალაშვილს, 7) ივანე არჩაკოვს, და 8) მარიამ არტემოვს, გამოცხადდენ აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ხუთშაბათს 2 ოქტომბერს, დღის 9 საათზე სააგიტ.-საპროპ. განყოფილებაში იწვევს **თათბირს კოოპერატიულ-განმანაწილებელ მუშაობის საკითხის შესახებ.**

სავალდებულოა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირის, თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების, მუშათა მთლიანი კოოპერატივის, ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის, ცეკავშირის პოლიტიკური განათლების სამმართველოს, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის და პოლიტიკური სეკრეტარიატის წარმომადგენლების გამოცხადება.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე პენიაკოვი.

განცხადებები

თბილისის დამზღვევ კასის და შრომის ბირჟის გაერთიანებული **ადგილკომი** აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ორშაბათს, 29 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა დამზღვევ კასის თანამშრომელი, ძლიერ საყვარელი ამხანაგი

იპოლიტე ხარლამპის-ძე
ლომაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 1 ოქტომბერს ა | წ. დღის 3 საათ. გამოსვენება ქალაქის მეორე საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზედ (ნიკოლოზის) № 2224 1.

ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს

დიდ დარბაზში

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და ადგილკომების, მუშათა კოოპერატივის რწმუნებულების, კავშირების ცენტ. გამგ. პ | მ. მდივნების და ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის წევრების თანდასწრებით შესდგება საქ.

პროფსაბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი

1) ამხ. ყურულაშვილის მოხსენებები მ-2-ე გენტის კოოპერატიულ მსოფლიო კონგრესისა და 2) ინგლისის ტრედ-იუნიონების გულლის ყრილობის შესახებ.

2—1 ს. პ. კ. ს. სამდივნო.

სახ. განათლების კომისარიატის გამგებლობაში მყოფ

ტ. მ. ფილოიანის
საბუღალტერიო კურსები

(პლეხანოვის პროსპ. № 24)

გაიხსნა ახალი განყოფილება. მიღება გრძელდება

ნ. 1592—2—1

„კომუნისტი“

მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ., 2 თვით—1 მან. 10 კაპ., წლის ბოლომდი—1 მან. 80 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში
(ბინაზე მიტანით)

1 თვით	85 კაპ.
2 „	1 მან. 60 „
წლის ბოლომდი . .	2 „ 40 „

პროვინციაში
(გაგზავნით)

1 თვით	95 კაპ.
2 „	1 მან. 80 „
წლის ბოლომდე . .	2 „ 70 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“

ოქტომბრის პირველიდან გაზეთის თითო ეკზემპლიარი ეღირება 5 კაპ.

დადგენილება

№ 144.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის

ა.-წ. სექტემბრის 25-დან დაშვებულ იქნენ შრომის სკოლებში სახმარებლად როგორც სახელმძღვანელოები შემდეგი წიგნები:

1. ქართული ენა:

1 ჯგუფი (ჭუმბურიძე, მგელაძე „ჩვენი სკოლა“ 1 და 2 ნაწილები.
2 „ (და კიკვაძე.
3 „ (1. თ. კიკვაძე და გ. ჭუმბურიძე—„მეგობარი“.
(2. ტრ. თაბუკაშვილი—„განთიადი“ ნ. 1.
4 „ (1. ტრ. თაბუკაშვილი—„განთიადი“ ნ. 2.
(2. გ. ჭუმბურიძე—„თაიგული“.
5, 6 და 7 ივ. გომელაური—„ქართველი მწერლები ნაწ. 1, 2, 3 და 4.
8 „ ს. გორგაძე—„ხალხური პოეზია“ და „ჩვენი ძველი მწერლობა“.
9 „ „ „ „ჩვენი ახალი მწერლობა“ ნაწ. 1, 2 და 4.

2. რუსული ენა.

3 „ („СМЕНА“—Хрестом. под ред. Свердлова ч. 1.
(„НОВЫЙ ПУТЬ“—кн. для чт. в гор. шк. ч. 1.
4 „ („СМЕНА“ „ „ „ ч. 2.
(„НОВЫЙ ПУТЬ“ „ „ „ „ ч. 2.
5 „ (Те же книги часть 3 или („ОСВОБ. ТРУД“ ч. 1.
(„НОВЫЙ МИР“ ч. 1.
6 „ **Красная хрестоматия** - книга для чтения в партшколах и в школах политграмоты.
7 „ Фейдер **Хрестоматия классовой борьбы** ч. 1.
8,9 „ „ „ „ „ ч. 3.

3. გერმანული ენა:

4,5 „ შევარდნაძე და სვანიძე—გერმ. ენის სახელმძღვ. ნაწ. 1.
6 „ „ „ „ „ „ „ ნ. 2.
7 „ „ „ „ „ „ „ ნ. 3.
8 „ იგივე და გრამის ზღაპრები.
9 „ „Библиотека школьника“ сб. нем. сказок и расск.

4. არითმეტიკა.

3 და 4 „ ჩიმაკაძე და შუბლაძე—„არითმეტ. ამოცან. კრებული“ ნაწ. 2.
5 „ პ. ჩარექიშვილი—„არითმეტ. ამოცან. კრებული“.
6 და 7 „ ალ. მგალობლიშვილი—„არითმეტ. ამოცან. კრებული“.

5. გეომეტრია.

5, 6 და 7 ნ. შაფაქიძე—„თვალსაჩინო გეომეტრია“ 2-1, 2-2 და 3.
8 „ (ს. ოცხელი—„გეომეტრია“ ნაწ. 1 და 2.
(კისელიოვი—„სტერეომეტრია“

6. ალგებრა.

შარაშენიძე, სვანიძე „ალგებრ. ამოც. კრებული“ ნ. 1.
და კანდელაკი.
შაპოშნიკოვი და ვალცოვი „ „ „ ნ. 2.

7. ტრიგონომეტრია.

9 „ დევიძე და ხარაბაძე—„სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია“.

8. ფიზიკა.

6 და 7 „ (ჯანელიძე—„დაწყებ. ფიზიკა“ ნ. 1 და 2.
(ოცხელი და ნიჟარაძე—„დაწყებ. ფიზიკა“ ნ. 1 და 2.
8 და 9 „ (კრაევიჩი (თარგმ. კანდელაკი) ან კოსონოგოვი.
(ჯანელიძე— „ფიზიკა“ ნ. 2.

9. ბუნება.

4 „ ბ. რაიკოვი—„რვეული პრაქტ. მეცადინეობისათვის“—მიწა, ჰაერი, წყალი.
5 „ არკ. ჩხენკელი—„ბუნება“, ნაწ. 2.—„ბოტანიკა“.

10. პოლიტიკური ეკონომია

9 „ ა. ბოგდანოვი—„პოლიტ. ეკონომ. დაწყებ. კურსი“ (კითხვა-პასუხი).

დამატებითი იქნება გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები იმ საგნებში, რაც სიაში მოხსენებული არ არის.

შენიშვნა: ვინაიდან ჯერ არ მოიპოვება ქართულ ენაზე შესაფერი სახელმძღვანელოები საზოგადოებათ მეცნიერებისა, საქართველოს გეოგრაფიისა და ქიმიისათვის, მასწავლებლებს ვურჩევთ ისარგებლონ შესაფერი რუსული სახელმძღვანელოებით, მაგალითად: 1) საზოგადო მეცნიერებისათვის: 1) Жаворонков-Гейнике—„Сб. обществов“. 2) Вольфсон—„Очерки обществовед.“ 2) ქიმიაში—„ქიმია“ სოზონოვისა და ვერხოვსკის, თარგმ. ვ. კაკაბაძის. 3) საქ. გეოგრაფიაში—„საქ. გეოგრაფია“—რუხაძისა და „ეკონომ. გეოგრაფია“—პროფ. გეხტმანისა.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

კომისარის მოადგილე სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის გამგე **მარიამ ორახელაშვილი.**

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **პ. ზუმბაძე.**

ნ. 1594. 1.

„ჩვენი სკოლა“

მესამე ნაწილი ფერადსურათებიანი გამოცემა

შრომის სკოლის მეორე წლის სრული კურსი

ბითუმად იყიდება

ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში **„განათლება“** ლენინის (ოლღას) ქ. № 6.

ცალობით: . . . . . . 1 მ. 20 კ.
ბითუმად: . . . . . . 10—15 პროც. დაკლებით.

№ 2227—2—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსოვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—8

მთავარი საკურორტო სამმართველო

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი.

კურორტი აბასთუმანი, სამთო-კლიმატიური სადგური სიმაღლე—1273 მეტრი.

1 ნოემბრიდან **იხსნება** საშემოდგომო-საზამთრო-საგაზაფხულო **სეზონი 1924—1925 წლისა.**

საუცხოვოდ მოწყობილი სანატორიუმები ახლად ტუბერკულიოზდაწყებულთათვის და ცალკეთ კიდევ—ტუბერკულიოზით დასნეულებულთათვის. აგრეთვე ციებ-ცხელებიან და სისხლ-ნაკლებ ავადმყოფთათვის. სანატორიუმებში დამატებითი ფასის გაღებით შეიძლება იქონიოთ საკუთარი ოთახი.

სასმელ-საჭმელი—მრავალფეროვანი, უხვი და გემრიელი. დიეტიური საზრდოობა.

თითო საწოლის ფასი: კავშირის თვითეული წევრისთვის . . . 140 მან.
კერძო პირთათვის . . . . 180 „

პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს—განსაკუთრებული შეღავათი ცალკე მორიგებით.

მინერალური აბანოები და წყალთმკურნალობა.

აგარაკი მოწყობილია კარგად. განათება ელექტრონისა.

მიმოსვლა **ბორჯომიდან** (70 ვერსი) „ზაკავტოპრომტორგის“ საუკეთესო ავტომობილებით, 4 საათის სასიარულო.

მომსვლელთათვის სასტუმროები—ბორჯომში და აბასთუმანში.

იძლევა აგრეთვე ქირით ცალკე ოთახებიც და მთელი ბინებიც.

ფასები დაკლებულია შესამჩნევად.

საწოლის დამქირავებელთ ან ცალკე ოთახების მსურველებმა უნდა მისცენ განცხადება—**ექიმის მოწმობისა და ერთი თვის საფასურის** თანხლებით—მთავარ საკურორტო სამმართველოში. (ტფილისი, საპიორის ქ. № 30) ან—აბასთუმანში—საკურორტო სამმართველოს.

ნ. 1591 2—1

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს

ყველა სასწავლებელში შესასვლელად. ყველა კლასებისათვის. აგრეთვე ვიძლევი **მათემატიკის და რუსული ენის გაკვეთილებს და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს.** პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. 5) ნახვა 4—7 საათ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ საღამოს 5—7 საათამდე. ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფთ დილის 7—8 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 2100 25—8.

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე 0 0 0 ტრიპერი, სიფილისი 0 0 0

ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—1 ქ. № 2203.

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72. № 2005 25—12

ექიმი

ბ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჰლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შუხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—13

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

რუსთველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.

ქჰ. № 2046 25—12

ექიმი

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ექიმობს მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას

ელექტრო-სინათლის სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111, ბინა 2

ქვ. № 2052—25—11

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 4662, სევერიან ხოშტარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ

1—1 №2221

დავკარგე შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ მოცემული მანდატი № 2041, კარლოს ნინიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2220

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი გამოტანილი 1903 წ. № 47376 | 2020. ილია დავითის ძე მამაცაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2222

დავკარგე ძროხის მოწმობა **ბანძის** რაიაღმასკომიდან გაცემული, № 2812 პავლე კოკაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2225

დავკარგე პირადი წიგნაკი № 971 გაცემული მე-13 უბნის სამხედრო მაგიდიდან თედო ვარასოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2226

დავკარგე მეტრიკული მოწმობა სიმონ ლეჟავამ. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2230

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ილია დავითის ძე მამაცაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2231

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 3641, სერგო გიორგის ძე გოშაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2233

დავკარგე პირადობის მოწმობა **სახ.** უნივერსიტეტიდან მოცემული მიხეილ მშვილდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2234

დავკარგე საპენსიო ბარათი № 1002 ნიკოლოზ ხოდელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2219

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 3037 ვასილ სეხნიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2229

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 2497 ილია გეჯაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2228

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 16926. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ივანე ლოლაძე.

1—1 № 2235

დავკარგე პირადობის წიგნაკი და სამხედრო ნუსხა, აღებული ქალაქ გუდაუთის აღმასკომში, ნოე ბაჩურაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 № 2238

საშა წოლოლკიძის ქუჩა № 4.